ბიბლიოთეკა
თბილისი
1
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

[illegible]
ცენტრალური და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 26
ტელეფ. 5—43
ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში 4.000.000 მ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—4.500.000 კოლექტ. ხელის მოწ. 3.000.000 მანეთი განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 196 სამშაბათი 28 აგვისტო, 1923 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 175,000 მან. № 196

დ ღ ი უ რ ი

— სტამბოლის ევაკუაცია უკვე დაიწყო.

— მოსკოვში ჩამოვიდა მექსიკის წარმომადგენელი, რომელმაც განაცხადა, რომ მისი მიზანია ხელი შეუწყოს რუსეთ-მექსიკის დაახლოვებას.

— 27 აგვისტოს დიდის ზეიმით გაიხსნა უცხოეთის ექსპონატების განყოფილება საკავშირო გამოფენაზე.

— იაპონიაში გარდაიცვალა პრემიერი ბარონი კატო

დღევანდელი №-რი შეიცავს 6 გვერდს

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის

ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზტრესტი), რუსთაველის პროსპექტი № 26, ტელ. № 5—43.

ცენტრალური კანტორა ამით აცნობებს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომ 1 სექტემბრიდან გაზეთ „კომუნისტ“-ში განცხადებები მიიღება შემდეგი ფასით:

ნონპარელის სტრიქონი პირველ გვერდზე	30 კ.	ჩერვონცებით.
„ „ მეოთხე გვერდზე	15 კ.	„
თეატრალური განცხადება არა უმეტეს 60 სტ.	30 პროც	დაკლებით.
სამგლოვიარო არა უმეტეს 30 სტრ	4 მანეთი.	
საქმიო განცხადება თვეში	4 მანეთი.	

ყველა განცხადებები არა ნაკლებ 10-ჯერ დაბეჭდილი—10 პროც. დაკლებით.

იქვე მიიღება განცხადებები იმავე წესით თვიურ ჟურნალ „რევოლიუციის მატიანე“-ში, „კომუნიზმის დროშა“-ში და ორკვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგ“-ში. (6—1)

სამშაბათს, 28 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, შესდგება

ს. ს. ცაკის პრეზიდიუმის სხდომა

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ს. ს. ცაკის მდივანი პ. ხაბაშვილი.

ყოფილ მენშევიკების ყრილობა

სრულიად საქართველოს მენშევიკთა ყრილობა, რომელიც გაიხსნა ტფილისში, რუსთაველის თეატრში 25 აგვისტოს, განწირული მენშევიკური ცეკას სრულ უძლურების საუკეთესო დემონსტრაციას წარმოადგენს.

ცეკას ვერავითარმა მუქარამ, ლანძღვა-გინებამ და მოწოდებამ ვერ გასჭრა: ყრილობა გაბედულათ და უყოყმანოდ ახდენს პარტიის ლიკვიდაციას და ავანტიურისტული ცეკას მკვდარი ლეში ამიერიდან მაინც ჰაერში გამოკიდებული რჩება; საკვირველია, რომ ევროპის იმპერიალისტებმა შესძლონ მისი გაცოცხლება, ამოქმედება და თავის შავი ზრახვებისთვის გამოყენება.

პარტიის უძველეს წევრებმა, ცამეტი ათას კაცის წარმომადგენლებმა გაბედულათ, სრული შეგნებით გადასდგეს საპასუხისმგებლო ნაბიჯი და უყოყმანოთ განაცხადეს, რომ სდგებიან მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ, სცნობენ პროლეტარიატის დიქტატურას, უარყოფენ კოალიციის და პარლამენტარიზმის გზას.

მენშევიკური პარტიის თვითლიკვიდაციის პროცესი დაიწყო თავიდანვე მუშებში, რომლებმაც პრაქტიკული დაკვირვებით და გამოცდილებით დარწმუნდენ, რომ კომუნისტური პარტია მუშათა კლასის საქმეს აკეთებს და სავსებით ანხორციელებს იმ მიზნებს, რომლებსაც ისახავდა მუშათა კლასი რევოლიუციონური მოძრაობის დასაწყისში.

— მენშევიკური პარტია სავსე იყო მიკიტნებით, ოქრომჭედლებით და ყოველგვარი მედუქნეებით, რომლებიც ჩრდილავდნენ პარტიაში მუშების ხმას,—აცხადებს ძველი მემანქანე მუშა ამხ. კიმოთე შენგელია.

იგივე ორატორი ამბობს: მღვდელი შემხვდა, მომკიდა ხელი და მკითხა: როგორ არის ჩვენი საქმე კიმოთე შენგელია-ო. გამიკვირდა, რა საერთო საქმე უნდა მქონდეს მღვდლებთან, ჩვენ ხომ მღვდლების და ნაციონალ-დემოკრატების საქმეს არ უნდა ვაკეთებდეთ, არამედ მუშათა კლასის საქმეს და ამ საქმეს ხომ კომუნისტები აკეთებენ, მაშ რა გვაქვს მათთან საჩხუბარი?—კითხულობს ორატორი და მთელი აუდიტორია საერთო ტაშის გრიალით იწონებს მის აზრს.

ყველაფერი ის, რასაც აკეთებენ კომუნისტები, მომწონს.. მე მინდა შეკავშირება კი არა, შედუღება კომუნისტებთან,—აცხადებს იგივე ორატორი და აუდიტორია აღტაცებული ტაშით ეხმაურება მის სიტყვებს.

დაახლოებით ასეთივე იყო სხვა ამხანაგ მუშების გამოსვლა ყრილობაზე. მიუხედავათ ძველი შეხედულების და გზის უარყოფის სიძნელისა, ყველა გრძნობდა კომპარტიასთან გაერთიანების აუცილებლობას და მასთან საერთო ბრძოლის ფერხულში ჩაბმის საჭიროებას.

ძველ რევოლიუციონერ მუშებს არ უნდათ დარჩენ ბრძოლის გარეშე; არც იქით და არც აქეთ! ეს არ არის მათი გზა,--მათ უნდათ თავის რევოლიუციონურ მუშათა ოჯახთან ერთად მიიღონ მონაწილეობა რევოლიუციონურ ბრძოლაში ბარიკადის აქეთა მხარეს, ყველა ბურჟუაზიულ და სოციალ-შეთანხმებელთა პარტიების წინააღმდეგ.

ყრილობაზე ერთსულოვნება სუფევს, ყველა ორატორები არსებითად ერთ და იმავეს ამბობენ სხვადასხვა ფორმით და სიტყვებით, მენშევიკური პარტიის მოღვაწეობის და მოქმედების შესახებ მრავალი საინტერესო ეპიზოდების და მოგონებათა გადაშლით.

ეს ყრილობის ერთსულოვნება ოდნავაც ვერ შესცვალა მენშევიკური ცეკას დავალებით გამოსულმა ორატორმა მედუქნე მურმანოვმა, რომელიც მოყვა გაცვეთილ ჭორებს „რუს და სომეხ“ შოვინისტების ბატონობის შესახებ; ჩეკისტების ძალადობის დასამტკიცებლად მან სხვა მაგალითები რომ ვეღარ მონახა, რადგანაც ისინი იქვე ერთხმად უარყოფილ იქნებოდენ დელეგატების მიერ, თავის თავი დაასახელა ჩეკისტების ძალადობის ობიექტის ნიმუშათ. თუმცა ყრილობის პრეზიდიუმმა მას სრული საშუალება მისცა თავის როლის და დავალების „ნიჭიერად“ შესრულებისათვის, მაგრამ ალბათ თვითონაც არ სჯეროდა თავისი სიტყვები. მას სოფლელი ჩეკისტის „შეშინებია“ და სრულებით არ მორიდებია საჯარო სხდომაზე გამოსვლას და განცხადების, „მენშევიკურ პარტიაში მოვკვდებიო“. და ეს იქ, სადაც აუარებელი მაყურებელი კომუნისტები იყვნენ, ეს იმ ქალაქში, სადაც ჩეკისტები ბლომათ არიან. მოქ. მურმანოვი შეშინდა სოფელში და აუღელვებლად გულმაგარი გამოდგა ტფილისში. ასე აასრულა მან ცეკას დავალება.

მურმანოვი მშიშარა არ არის, როგორც ეს მშვენივრად დაახასიათა ამხ. მარტინოვმა, არა, ის პარტიული დისციპლინის კაცია და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გაბედულათ გაილაშქრა, თუმცა კარგათ გრძნობდა და ხედავდა რომ არც ერთი დელეგატი მას არ თანაუგრძნობდა და მისი საგარეჯოელი ამხანაგი მენშევიკებიც არ იზიარებენ მის აზრს.

მის შემდეგ გამოსულმა მისმა ამხანაგმა სახელწოდებით ტურამ (ვანო მაისურაძე) სრულებით გააქარწყლა მის მიერ განმეორებული ჭორები მენშევიკური ცეკიდან ნაჩურჩულები. ამხ. მარტინოვმა მოსწრებულათ და საერთო სიცილის ქვეშ განმარტა სიზანი ამ უბადრუკი გამოსვლისა.

მურმანოვის გამოსვლა ერთადერთი იყო ამ ყრილობაზე და ის საუკეთესო ნიმუში მენშევიკური ცეკას უძლურებისა. სად არის მათი „ურიცხვი ლაშქარი?“ ნუ თუ მურმანოვის მეტი იქ აღარ მოიპოვება?

განწირული და დაღუპულია იმ პარტიის საქმე, რომელიც თავის 13000 წევრ დელეგატთა შორის მხოლოდ ერთ მურმანოვს ნახულობს თავის პოზიციის დამცველად.

სხვათა შორის, მეტად საინტერესო და იუმორით სავსე იყო ამხ. ფარნიევის სიტყვა, რომელიც უძველესი პარტიის წევრია და შედარებით კარგად იცის მის წევრთა რაოდენობა სხვადასხვა დროს. მისი ანგარიშით, 1917 წლამდე საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ირიცხებოდა 15.000 წევრი, თუ ამას გამოვაკლებთ ყრილობაზე წარმოდგენილ 12.000 კაცს, დარჩა 3.000 კაცი. თუ ამას კიდევ გამოვაკლებთ ბოლშევიკებს, სხვადასხვა ომებში დაღუპულებს, გადასახლებულებს და სხვას, რაღა დაგვრჩება?,— კითხულობს ორატორი. აღარაფერი, რასაკვირველია, თუ არ ვიანგარიშებთ იმ მიკიტნებსა და სხვადასხვა ჯურის მედუქნეებს, რომლებმაც მტკიცედ მოიკალათეს მენშევიკურ პარტიაში რევოლიუციის შემდეგ.

დიახ, ამ ყრილობის შემდეგ მენშევიკურ ცეკას ირგვლივ რჩება სრული სიცარიელე და მათ საქმეს ვეღარ უშველის ვერც სნოუდენი, ვერც აბრამოვიჩი და ვერც ჩოლოყაშვილის ბანდა. საქართველოს მენშევიკური პარტია მოკვდა საუკეთესო მისი ნაწილის კომინტერნის დროშის ქვეშ დადგომის შემდეგ. საქართველოს მენშევიკური პარტია მოკვდა, მაგრამ არ მომკვდარა საქართველოს მუშათა კლასი, რომელიც ამიერიდან კიდევ უფრო უკეთეს ფურცლებს შესძენს მსოფლიო რევოლიუციონურ მუშათა მოძრაობის ისტორიას

ჩვენ ვსცდებოდით, ვტყუილდებოდით —აცხადებენ დელეგატები,—მაგრამ აწი თქვენთან ერთად ვიქნებით, თქვენთან ერთად დავღვრით სისხლს საერთო მტერთან ბრძოლაში. დიახ მუშათა კლასის რომელიმე ნაწილს შეუძლია დროებითი შეცდომების დაშვება, მაგრამ ბოლომდე ის არ ისურვებს თავისი ხელებით თავის მოსისხლე მტრების საქმის კეთებას. ამას დაამტკიცებენ ყოფილი მენშევიკი მუშები.

გაიგონოს მეორე ინტერნაციონალმა, კაუცკიმ, ვანდერველდემ, მაკდონალდმა და სხვებმა, თუ რას ამბობენ ყოფილ მენშევიკურ „ოაზისში“ მცხოვრები მუშები საბჭოთა ხელისუფლების სამი წლის არსებობის შემდეგ, თუ რა წყვლა-კრულვას უგზავნიან ისინი ყველა ჯურის სოციალ-შეთანხმებლებს. მენშევიზმი მოკვდა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მასშტაბით, კვდება საერთაშორისო მასშტაბით და მის ნანგრევებზე კარგა ხანია ძლევამოსილათ აღიმართა ბრწყინვალე დროშა კომუნისტური ინტერნაციონალისა.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი საქართველოში ადგილობრივ ბიუჯეტის თვალსაზრისით

ადგილობრივ ორგანოთა სასარგებლოთ გადასახადების შესახებ დებულების სუსტი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ სოფლის მცხოვრებნი სრულიად არავითარ გადასახადს არ იხდიან ადგილობრივ ორგანოთა სასარგებლოდ და არავითარ მონაწილეობას არ იღებენ ადგილობრივ ორგანოთა ხარჯებში. ა.-კ. ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს მიმდინარე წლის 2 აპრილის დეკრეტით გათვალისწინებულ გადასახადთა ნომენკლატურით, სოფლად შემოღებულია შემდეგი გადასახადები: იმ შენობებზე, რომელშიც მოთავსებულნი არიან სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებანი, ველოსიპედებზე, ავტომობილებზე, თვითმოძრავ ეტლებზე, საჯარო სასწორებზე, ტვირთზიდვის რეწვაზე. საჯარო სანახაობებზე და უძრავ ქონების (შენობების) სყიდვა-გაყიდვის აქტებზე. მაგრამ საქართველოში სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი სოფლად ან სულ არ არიან, ან თუ არიან მეტად ცოტა, ველოსიპედები და ავტომობილები, საჯარო სასწორი, საჯარო სანახაობანი და სხვა სრულიად არ არიან.

მაშასადამე, სოფლის მცხოვრებნი ადგილობრივ ორგანოს სასარგებლოდ თითქმის არაფერს არ იხდიან. და ეს მაშინ, როდესაც ადგილობრივი ორგანო სოფლის მცხოვრებლებზე თავის შემოსავლის საკმაო დიდს ნაწილს ხარჯავს. საკმარისი იქნება გავითვალისწინოთ, რომ მარტო თემების აღმასრულებელ კომიტეტების შენახვას, რომელნიც მხოლოდ სოფლის მცხოვრებთ ეხმარებიან, სჭირდება მთელს რესპუბლიკაში ადგილობრივ ორგანოთა ბიუჯეტის 14 პროც., ხოლო ზოგიერთ ეკონომიურად სუსტ მაზრებში ეს პროცენტი ადის 22 პროც. (თიონეთის მაზრაში), 28 პროც. (ზუგდიდის მაზრაში) და 35 პროც. (რაჭის მაზრაში) აღნიშნული ხარჯების გარდა არის კიდევ გადაუდებელ საჭიროებათა მთელი რიგი, რომელნიც დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას ითხოვენ. ეს ხარჯებიც უმთავრესად სოფლის მცხოვრებთ ხმარდებათ. სახელდობრ: სკოლების და საავადმყოფოების შენახვა, გზების შენახვა და გაყვანა, ბავშვთა თავშესაფარების, ინვალიდების, გამასწორებელ სახლების შენახვა, ხარჯები: ვეტერინარიაზე, სოფლის მეურნეობაზე, საქონლის ჭირთან ბრძოლა და სხვა. მარტო სახალხო განათლებაზე ოზურგეთის მაზრაში იხარჯება აღმასკომის მთელი შემოსავლის 36, 58 პროც. შორაპნის მაზრაში 35 პროც. და არც ერთს სხვა მაზრაში 15 პროც. დაბლა არ დადის. სახალხო ჯანმრთელობაზედ ადგილობრივ ორგანოთ მაზრებში ეხარჯებათ მთელი შემოსავლის 6—24 პროც. და სხვა.

თუ გავითვალისწინებთ ყველა ამ ხარჯებს თავისთავად მივალთ იმ დასკვნამდის, რომ ადგილობრივი ორგანო სოფლის მცხოვრებლებზე საქართველოში ხარჯავს მთელი შემოსავლის 50—60 პროც,

ძველს რუსეთშიც ასეთივე პროპორცია არსებობდა ქალაქებზე და სოფელზე გაწეულ ხარჯებს შორის 1912 წლის ცნობების მიხედვით რუსეთის ქალაქები ხარჯავდენ 275.949,000 ოქროს მანეთს, ერობები კი 257.381.000 მანეთს. აქედან სჩანს, რომ სოფელზე და ქალაქებზე წინათაც თითქმის თანაბარი თანხა იხარჯებოდა.

მაგრამ მაშინდელი ერობის მდგომარეობა, შემოსავლის მხრივ, დღევანდელ სამაზრო აღმასკომის მდგომარეობასთან შედარებით, ბევრად უკეთესი იყო, რადგან ძველის ერობის განკარგულებაში იყო შემოსავლის ფრიად დიდი წყარო, საადგილმამულო გადასახადის სახით. დღეს ეს წყარო ადგილობრივ აღმასკომს აღარა აქვს. მაგრამ ძველი ერობები, შემოსავლის აღნიშნული წყაროს მიუხედავად, ყოველთვის ფინანსიურად გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ და მუდამ სთხოვდნენ მთავრობას დახმარებას და იღებდნენ სესხს სახელმწიფოს ხაზინით და გარეთ.

დღეს ადგილობრივ ორგანოს მდგომარეობა გაუარესებულია. რაიმე თვალსაჩინო შემოსავლის მოლოდინი კომუნალურ მეურნეობიდან ახლო მომავალში ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან კომუნალურ მეურნეობის თითქმის ყველა წარმოებათ კაპიტალური შეკეთება სჭირდებათ და თუ ადგილობრივი ორგანო შესძლებს კომუნალურ მეურნეობის წარმოებას უდეფიციტოთ, ესეც დიდი დამსახურება იქნება იმის მხრივ.

ამგვარად გლეხკაცობა ადგილობრივ ორგანოს სასარგებლოდ არ იბეგრება, კომუნალური მეურნეობა თვალსაჩინო შემოსავალს არ იძლევა და მაშასადამე, ადგილობრივ ორგანოს ბიუჯეტი მთელის სიმძიმით აწვება ქალაქის მცხოვრებთ.

სოფლის მცხოვრებნი კი არ იხდიან იმ ხარჯის ნაწილსაც კი, რომელსაც ეწევა ადგილობრივი ორგანო თვით სოფლის მცხოვრებთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ამგვარად 2 აპრილის დეკრეტით შეიქმნა აღნიშნული არა ნორმალური მდგომარეობა, როდესაც სოფლის მცხოვრებლებზე ადგილობრივი ორგანო ხარჯავს 50—60 პროც. ბიუჯეტისას; თვით სოფლის მცხოვრებლები კი განთავისუფლებულნი არიან ყოველგვარ ხარჯებიდან ადგილობრივ ორგანოს სასარგებლოდ.

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოღებით ეს არა ნორმალური მოვლენა თუ სრულიად არ ისპობა, შემცირდება მაინც. ამ გადასახადს შეაქვს უსაჭიროესი შესწორება, კორექტივი ადგილობრივ გადასახადთა კანონმდებლობაში და სოფლის მცხოვრებთაც აღებინებს მონაწილეობას ადგილობრივ ორგანოთა ხარჯებში.

2 აპრილის დეკრეტით შექმნილი მდგომარეობის გამო, და რადგანაც ადგილობრივ ორგანოს ფინანსიურ მუშაობის საფუძველი „სამსახურ სამაგიეროს“ პრინციპით ადგილობრივ ორგანოს მორალური უფლება აქვს მოითხოვოს სოფლის მცხოვრებთა შემოსავლის ნაწილი ადგილობრივ ორგანოს სასარგებლოდ.

ასეთივე უფლება აქვს მას სხვა მოსაზრებითაც. ადგილობრივმა ორგანომ მაზრაში შემოსავლის წყაროები უნდა ეძიოს მაზრაში არსებულ ძირითად წარმოებიდან და თუ ამა თუ იმ მაზრაში ძირითადი წარმოება არის სოფლის მეურნეობა, ადგილობრივი ბიუჯეტიც მეურნეობის ამ დარგიდან უნდა იკვებებოდეს. ჩვენი ქვეყანა სოფლის მეურნეობის ქვეყანა არის, მაშასადამე, ადგილობრივ ორგანოს შემოსავლის წყაროს აქ სოფლის მეურნეობა უნდა შეადგენდეს.

ამიერ-კავკასიის მთავრობამ გაითვალისწინა აღნიშნული მდგომარეობა და 2 აპრილის დეკრეტით შექმნილი გარემოება და დაადგინა, ადგილობრივ ორგანოთ გადაეცეს სასოფლო სამეურნეო გადასახადიდგან შემოსული თანხის და ნატურის მეოთხედი. ამავე დროს სოფლის მეურნეობა განთავისუფლებულია ყოველგვარი სხვა როგორც სახელმწიფო, აგრეთვე ადგილობრივ გადასახადიდან. რას მისცემს ადგილობრივ ბიუჯეტს მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი? წინასწარ გამოანგარიშებით, საქართველოში შეკრებილი იქნება 4.000,000-მდე ფუთი ხორბლის ერთეულისა, ნაწილობრივ ფულათ და ნაწილობრივ ნატურით. თუ დაახლოვებით ვიანგარიშებთ ფუთს ხორბალს 3 000.000 მანეთად, საქართველომ უნდა მისცეს 12.000.000.000 000 მან. რომლის მეოთხედი შეადგენს სამ ტრილიონ მანეთს, ე. ი. საშუალოთ თითო მაზრაზედ 300.000.000.000 მანეთს. თანხა მეტად საგრძნობია და დიდი ყურადღების ღირსი. ამგვარად სასოფლო სამეურნეო გადასახადით შესაძლო ხდება ხსენებულ არა ნორმალურ მოვლენის მოსპობა.

მაგრამ ამ მოვლენის მოსასპობლად თვით სოფლის მცხოვრებლებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები. იგინი უნდა შეეცადონ დაამყარონ სოფელსა და ქალაქ შორის სასურველი გარმონია.

ამ გარმონიის შესაქმნელად და დასამყარებლად საჭიროა გლეხკაცობამ და ქალაქის მცხოვრებლებმა სწორათ გაიგონ ერთმანეთის ინტერესები. დღეს აღნიშნული გადასახადის გატარების დროს, გლეხკაცობამ უნდა შეიგნოს, რომ იგი მოვალეა სახელმწიფოს და ადგილობრივ ორგანოს წინაშე მოიხადოს თავისი ვალდებულება, პირნათლად შეასრულოს მოვალეობა ერთისა და მეორის წინაშე. ამ ვალის შესრულება გლეხკაცობას შეეძლება თუ გლეხკაცობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადს მთლიანად შეიტანს, თუ თვითონვე დაუწყებს დევნას იმ პირთ, რომელთაც გადასახადიდან გასხლტომის სურვილი აქვთ, ან ხელს უწყობენ მათ.

ზემოთ მოყვანილ მოსაზრებათა გამო, მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გატარებულ უნდა იქმნას მთლიანად და უნაკლოდ, რომ ადგილობრივ ორგანოთა ბიუჯეტს მიეცეს შესაძლებლობა სოფლის მცხოვრებთა მოთხოვნილებების სრული და გეგმაშეწონილად დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

ხ.

რადიო-დეპეშები

(„ზაქროსტას“ ცნობები)

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

ჩეხოსლოვაკიის ინტერესი საბჭოთა რუსეთისადმი.

პრაღა. 24 აგვისტო. გასული თვის განმავლობაში ჩეხიის გაზეთები დიდ ინტერესს იჩენდენ რუსეთის ურთიერთობისადმი უცხოეთის სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით სავაჭრო ურთიერთობის მოგვარების მიზნით. ქვეყნდება უმთავრესად საინფორმაციო წერილები ამ საკითხების შესახებ, რომლებშიაც აღნიშნულია ურთიერთობის გაფართოვების შემთხვევები და ხშირად გამოთქმულია რუსეთ-ჩეხიის სავაჭრო ურთიერთობის განვითარების და გაფართოვების სურვილი. მაგალითად, „ლიდოვე ნოვინი“-ის მოწინავე წერილი ეხება ინგლის-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობას და შეიცავს დებულებებს ბრიტანეთის სავაჭრო სამინისტროს ყოფილ რეფერენტის, რომელიც დაბრუნდა რუსეთიდან. „რუსეთის მოთხოვნილების კოლოსალური რაოდენობის დროს, სწერს გაზეთი, ჩვენ მზათ ვართ ვაღიაროთ, რომ ევროპის სახელმწიფოებიდან ინგლისს ყველაზე უფრო შეუძლია მოახერხოს მათი დაკმაყოფილება. მაგრამ დიდი-ბრიტანეთის პროდუქცია არ არის საკმარისი, რადგანაც ინგლისს არ შეუძლია გადაისროლოს ყველა თავისი საწარმოვო ძალები და ისიც ახალი მიმართულებით. ევროპის ყველა სამრეწველო სახელმწიფოები და ამერიკა მიიღებენ თავიანთ წილს მიუხედავად იმისა, ესაჭიროება მათ რუსეთის პური თუ არა. მაგალითად, ჩეხო-სლოვაკია შეიტანს რუსეთში სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ინგლისი მიიღებს სამაგიეროდ პურს და ციმბირის ერბოს და გადაუხდის ჩეხო-სლოვაკიას მაგალითად, საფეიქრო მანქანებით და კოლონიალური საქონლით. ამრიგად, ექსპორტის საშუალებით რუსეთში, შეიძლება კრედიტების მიღება ლონდონში. ეს უკეთესია, ვინემ ვალებით დატვირთვა ლონდონში.

სამხრეთ-სლავიის და რუსეთის დაახლოვება.

პრაღა. 24 აგვისტო. გაზეთი „ლიდოვე ნოვინი“ აღნიშნავს დაწყებულ დაახლოვებას ს. ს. რ კ. და სამხრეთ-სლავიას შორის და იმედს გამოსთქვამს, რომ ახლო მომავალში დადებული იქნება სავაჭრო ხელშეკრულება.

რუსეთ-საფრანგეთის ეკონომიური დაახლოვება.

პრაღა. 24 აგვისტო. გაზეთი „პროვოლიდე“ ჩერდება რა იმაზე, რომ მოსკოვსა და პარიზს შორის სწარმოებს მოლაპარაკება ეკონომიური დაახლოვების შესახებ და რომ სრულიად-საკავშირო გამოფენა იქნება გამოყენებული კონტაქტის დასამყარებლად საფრანგეთის მრეწველობასა და რუსეთის სასოფლო მეურნეობას შორის, სწერს: „საფრანგეთის მთავრობა ცხადია, ხელს შეუწყობს საფრანგეთის მრეწველების ცდას გამოფენაში თვალსაჩინო მონაწილეობის მისაღებად“.

ამერიკელთა კომპანიის მოღვაწეობა რუსეთში.

მოსკოვი 26 აგვისტო. გაერთიანებული ამერიკული კომპანია, რომელმაც ერთი თვის წინეთ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან, ანვითარებს ფართე სავაჭრო და საიმპორტო,—მოღვაწეობას. კომპანიამ რამოდენიმე მსხვილი გარიგება მოახდინა ამერიკულ ბამბისა და ამერიკულ მრეწველობის სხვა ნაწარმოების რუსეთში შემოტანის შესახებ.

თავის რიგათ, კომპანიამ ნიჟეგოროდის ბაზრობაზე დიდძალი ჯაგარი და ბეწვეული შეიძინა. კომპანიის გამგეობამ სხვადასხვა ამერიკულ მსხვილ ფირმისაგან 44 წერილი მიიღო, რომლებიც მოწმობენ, რომ ამერიკის საქმიან წრეებს სურთ სავაჭრო დამოკიდებულება ჩამოაგდონ რუსეთთან.

რუსეთი ამერიკის მეტოქეა მსოფლიო ბაზარზე.

ნიუ-იორკი. 25 აგვისტო. ჩიკაგოდან იტყობინებიან: რუსეთის მიერ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათათვის ხორბლის მიყიდვისა და მოსკოვიდან დაბრუნებულ „არა“-ს წარმომადგენელ პოლკოვნიკ ჰასკელის განცხადებამ რუსეთში კარგი მოსავლის შესახებ, **შეერთებულ შტატებში ხორბალზე ფასის დაწევა გამოიწვია.**

საუბარი მექსიკის მთავრობის წარმომადგენელთან.

მოსკოვი. 26 აგვისტო. მოსკოვში ჩამოვიდა მექსიკის მთავრობის წარმომადგენელი ბალესტეროსი, რომელიც სპეციალურათ არის გამოგზავნილი სრულიათ კავშირის გამოფენასთან გასაცნობათ. „როსტა“-ს კორესპონდენტთან საუბარში ბალესტეროსმა განაცხადა, რომ **მექსიკის ხალხი მეგობრულათ არის განწყობილი რუსეთის მიმართ. უცხოეთის სახელმწიფოთა მისწრაფება მექსიკის შეზღუდვისაკენ აიძულებს მექსიკის ხალხს ყურადღება მიაქციოს რუსეთს და შეისწავლოს მისი რევოლიუცია.** ბალესტეროსი დარწმუნებულია, რომ **სულ მოკლე ხანში მექსიკის მთავრობა გაგზავნის რუსეთში თავის სრულუფლებიან წარმომადგენლებს რუსეთის ს. ს. რესპუბლიკასთან მოლაპარაკების გასამართავათ.**

მექსიკა არ მიისწრაფის, სხვა სახელმწიფოების მზგავსათ, რუსეთის სავაჭრო მიზნით გამოყენებისაკენ. მას სურს გაიცნოს ის წესწყობილება, რომელიც შეიქმნა რუსეთში სოციალისტურ რევოლიუციის შედეგში.

ბალესტეროსი გაოცებულია საკავშირო გამოფენის არაჩვეულებრივ ხასიათით, რაც იმაში გამოიხატება, რომ გამოფენა არ ცდილობს მხოლოდ რეკლამა შექმნას მრეწველობისათვის, არამედ მისი მიზანია— ნათელჰყოს მიღწეული შედეგები და სახალხო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ზომები.

საბჭოთა კავშირი და გერმანია.

მოსკოვი. 26 აგვისტო. პეტროგრადში ჩამოვიდა ბერლინის ახლო ხე-ტყის ქარხნების პატრონი შინბერგი ილმენის ტბაზე ხე-ტყის კონცესიებზე მოსალაპარაკებლათ.

ჩეხო-სლოვაკია რუსეთთან ვაჭრობისაკენ მიისწრაფის.

პრაღა. 25 აგვისტო: სავაჭრო პალატის თათბირზე რუსეთთან ვაჭრობის შესახებ, რომელშიაც მონაწილეობდენ მრეწველთა კავშირის და უმსხვილეს ბანკების წარმომადგენლები, მრეწველთა კავშირის წარმომადგენელმა დიუფეკმა ჩეხო-სლოვაკიის პასიური დამოკიდებულება რუსეთთან ვაჭრობის მიმართ ახსნა პოლიტიკურ ხასიათის მიზნებით. მაგრამ, ვინაიდან ამჟამათ რუსეთისაკენ ის სახელმწიფოებიც კი მიისწრაფიან, რომლებიც განსაკუთრებით უარყოფდენ რუსეთთან კავშირს, დიუფეკი მოითხოვს საჭირო კრედიტების გაღებას რუსეთ-ჩეხიის სავაჭრო დამოკიდებულების განსაახლებლათ.

გერმანიის ამბები

შტრეზემანს სურს ავსტრიის მაგალითს მიბაძოს.

ბერლინი. 25 აგვისტო. კომუნისტების პროტესტზე საპასუხოთ შტრეზემანმა განაცხადა თავის სიტყვაში, რომ ავსტრიის მაგალითი სრულიათ მისაღებია გერმანიისათვის: ოკუპაციისაგან განთავისუფლებას გერმანიას ოქროს სესხი მიანიჭებს. ეს დღე იქნება გერმანელ ხალხის პირველი დღესასწაული.

ავსტრიის ნაციონალისტები გერმანელ მოძმეებს შეუხმატკბილდენ.

ვენა. 25 აგვისტო. ავსტრიელ და გერმანელ ნაციონალისტების თათბირზე ზალცბურგში მიღწეულია **შეთანხმება გერმანელ ნაციონალისტებისათვის დახმარების შესახებ გერმანიაში სამოქალაქო ომის დაწყების შემთხვევაში. პირველი მოთხოვნისთანავე ავსტრიის ნაციონალისტები გაგზავნიან გერმანიაში შეიარაღებულ ჯარისკაცებს.**

მოსალოდნელია გერმანიის ადმინისტრატიულ აპარატის კატასტროფა.

ბერლინი. 25 აგვისტო. რეიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვაში გილფერდინგმა აღნიშნა, რომ ადმინისტრატიულ აპარატის კატასტროფის ასაცილებლათ, მთავრობამ, სრულიათ იმპერიის დეფიციტის გარდა, ცალკე ადგილობრივ სამმართველოების ხარჯებიც უნდა დაფაროს. ბანკნოტების სიმცირემ გამოიწვია რამდენიმე ათეულ ტრილიონი მარკის საანგარიშო ნიშნების გამოშვება, რომლებიც არაფრით არ იყო უზრუნველყოფილი და რომლებსაც კერძო დაწესებულებებიც კი უშვებდენ.

აღნიშნა რა, რომ დეფიციტის მთავარ წყაროს წარმოადგენს საზავო ხელშეკრულების შესრულებისა და რკინის-გზის ხარჯები, გილფერდინგმა გამოიანგარიშა უკანასკნელ თვეების დეფიციტი 450 ტრილიონ მარკათ. გილფერდინგი საჭიროთ სთვლის რკინის-გზის ტარიფის გადიდებას.

გამოსავლის ძიებაში.

რომი 26 აგვისტო. ბერლინიდან მიღებული ცნობით, იქ შესდგა თათბირი, რომელზედაც დაესწრენ ფინანსთა და სახალხო მეურნეობის მინისტრები და აგრეთვე მრეწველობის წარმომადგენლები. ირჩეოდა ღონისძიებები ექსპორტის სფეროში უცხოეთის დევიზების შეუჩერებელი შემოსვლის უზრუნველსაყოფად.

ფინანსთა მინისტრმა გილფერდინგმა განაცხადა რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიაში, რომ მთავრობას განზრახული აქვს მიიღოს სასტიკი ზომები ამათ წინააღმდეგ, რომლებიც ფარავენ უცხოეთის დევიზებს; იქნება მიღებული ზომები გერმანიის ცალკე ფედერატიული ნაწილების დეფიციტის დასაფარავად.

უკანასკნელ იმედებს მრეწველებზე ამყარებენ.

ბერლინი. 25 აგვისტო. რეიხსტაგის მთავარ კომისიის სხდომაზე გილფერდინგმა აღნიშნა შინაურ მოვალეების დამშვიდების მიზნით სავალიუტო ბაზრის დაპყრობის მნიშვნელობა. მას სამრეწველო წრეების იმედი აქვს, რადგან მრეწველთა უკანასკნელ რეზერვის,—შტრეზემანის კაბინეტის გაკოტრება,—გერმანიის სახელმწიფოს აღსასრულს მოასწავებს. უახლოეს მომავალში რეიხსბანკი გასცემს კრედიტებს მტკიცე ვალიუტით. გზათა მინისტრის ეზერის მოხსენების შემდეგ გერმანიის რკინის გზების დეფიციტის შესახებ გამართულ კამათის დროს, დემოკრატიულ და სახალხო პარტიის წარმომადგენლები აკრიტიკებდენ გილფერდინგის პროგრამას. მათ აღნიშნეს, რომ გილფერდინგის მიერ განზრახულ გადასახადების გაწერა იძულებითი სესხთან ერთად გერმანიის რეალურ ღირებულებების გაყიდვას გამოიწვევს. სოციალ-დემოკრატ ველსის აზრით, გერმანიის მთავრობამ ყოველი ზომა უნდა იხმაროს იმისათვის, რათა შესძლოს თავის განკარგულებაში იქონიოს გერმანიაში არსებული უცხოეთის მთელი ვალიუტა.

„საგანგებო ზომები“ არა სერიოზულია.

ბერლინი. 25 აგვისტო. პრესსა თანაგრძნობას გამოსთქვამს გილფერდინგის სიტყვის მიმართ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს: „როგორც სჩანს ახალი ზომები ოდნავ შეეხება შეძლებულ კლასებს და სრულიათ არ აპირებს კაპიტალისტების ინტერესების სერიოზულ შელახვას“. „როტე ფანე“ აღნიშნავს რომ მთელი უცხოეთის ვალიუტის ხელში ჩაგდების მაგიერ მთავრობა დაკმაყოფილდება მხოლოთ უცხოეთის ვალიუტის ოქროს სესხზე ნებაყოფლობითი გაცვლით, რასაც მაინც წინააღუდგება კაპიტალისტების საბოტაჟი.

ამის შემდეგ შეთანხმებლობა შეუძლებელია.

ვენა. 25 აგვისტო. ამსტერდამიდან დაბრუნებულმა ტომასმა, პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს, განაცხადა, რომ ის დარწმუნებულია, რომ შტრეზემანის მთავრობა გერმანეთში—უკანასკნელი კოალიციონური მთავრობაა, რომლის შემდეგ შესაძლებელია ან უკიდურეს მილიტარისტების დიქტატურა ან მემარცხენე პარტიების ხელისუფლება კომუნისტების მეთაურობით.

საკონტრიბუციო საკითხი

პრესა შტრეზემანის სიტყვის შესახებ.

ბერლინი. 7 აგვისტო. გერმანიის პრესა მეგობრულ კომენტარიებს უკეთებს შტრეზემანის სიტყვას, აღიარებს რა, რომ იგი არის დიდი ნაბიჯი დამძიმებელ ატმოსფერის გასაფანტავად ევროპაში.

„გოლუა“ ამბობს: „სიტყვა მიმართულია იქითკენ, რათა გაიწმინდოს ატმოსფერა, მაგრამ საფრანგეთს არ შეუძლია დაიწყოს მოლაპარაკება, რადგან გერმანია განაგრძობს პასიურ წინააღმდეგობის გაწევას“.

„ფიგარო“ სწერს: „შტრეზემანი თავის სიტყვაში არ უხშავს კარებს მოკავშირეებს დაიწყონ მოლაპარაკება. მან გაადვილა გზა საფრანგეთთან უშუალო მოლაპარაკებისაკენ“.

„პტი პარიზიენი“ აღნიშნავს, რომ კანცლერი სცდილობს ზეგავლენა მოახდინოს მსხვილ მრეწველებზე, რათა სძლიოს ფინანსიური ქაოსი.

ინგლისის პრესის აზრი.

ლონდონი. 27 აგვისტო. ინგლისის პრესა იწონებს შტრეზემანის სიტყვის შემარიგებელ ტონს.

„დეილი ნიუზი“ ამბობს: „შტრეზემანმა თავის სიტყვით ჩაუყარა საფუძველი გერმანიისათვის რეინლანდის დაბრუნებას და საკონტრიბუციო საკითხში მოლაპარაკების დასრულებას“

„ტაიმსი“ ფიქრობს, რომ შტრეზემანის სიფრთხილე და მისი სიტყვის საქმიანი ხასიათი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ყველა გერმანიის საზოგადოების წრეებში მომწიფდა აზრი ისეთი დებულების ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ, რომელიც დაემყარებოდა ჯანსაღ საფუძვლებზე. მიუხედავათ ზოგიერთ ადგილებისა სიტყვა არ სპობს საშუალებას საფრანგეთთან უშუალო მოლაპარაკებისათვის.

საერთოდ შტრეზემანის სიტყვის დარწმუნებული ტონი მოწონებულია ლონდონში. თუმცა მდგომარეობა რთული რჩება, მაინც შტრეზემანმა არაფერი არა სთქვა ისეთი, რაც მდგომარეობას კიდევ უფრო გაართულებდა.

საფრანგეთის პრესა შტრეზემანის სიტყვის შესახებ.

პარიზი. 27 აგვისტო. „ტან“-ი ხაზს უსვამს შტრეზემანის განცხადებას, რომ ის შეხედულება, რომელიც გამოთქმულია საფრანგეთის „ყვითელ წიგნში“ არ შეიძლება ჩაითვალოს გერმანიის მიერ საკონტრიბუციო პრობლემის გადაწყვეტად.

„ჟურნალ დედება“ შტრეზემანის სიტყვის გამო სწერს: „ჩვენ რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია განსაკუთრებული მნიშვნელობა მივაკუთნოთ ტონის გამოცვლას, „თუ შტრეზემანის სიტყვა არ იძლევა საფუძველს იმისას, რომ გერმანიის პოლიტიკა შეიცვლება, თუ ეს სიტყვა ჯერ კიდევ სავსებით ნათელი არ არის,—ყოველ შემთხვევაში იგი არ აქარწყლებს მომავლის იმედს, მაგრამ შტრეზემანს არ შეუძლია არ იცოდეს, რომ საფრანგეთს მეტი არაფერი არ აინტერესებს თუ არა გერმანიასთან შეთანხმება. მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ ეს მოხდეს ისეთ პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს მომავალში ყველა ჩვენ გარანტიებს. შტრეზემანმა აგრეთვე უნდა იცოდეს, რომ ჩვენ აღარაფერს აღარ დავუთმობთ იმაზე მეტს, რის უფლებაც გვაქვს“.

—

შრომის საერთაშორისო კონფედერაციის პროტესტი.

პარიზი. 25 აგვისტო. ვანდერველდეს ორგანო „პეპლ“-ში გამოქვეყნებულ დეკლარაციაში, შრომის საერთაშორისო კონფედერაცია პროტესტს აცხადებს საფრანგეთის მმართველ წრეების პოზიციის წინააღმდეგ საკონტრიბუციო საკითხში და ხაზს უსვამს საკონტრიბუციო გეგმის არსებობას, რომელიც შემუშავებული იყო საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციაზე და რომლის მიზანია მთლიანი ფრონტის შექმნა.

ტრედუნიონების გენერალურ საბჭოს მოწოდება.

ლონდონი. 25 აგვისტო. ტრედ-უნიონების გენერალურ საბჭოს გაერთიანებული სხდომა გამოტანილ რეზოლიუციაში კიცხავს საფრანგეთის მოქმედებას და რურის სამხედრო ოკუპაციას და მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ საფრანგეთი არ დათანხმდა ექსპერტების მიუდგომელ კომისიის დაარსებაზე. რეზოლიუცია მოუწოდებს საფრანგეთის მუშებს გავლენა მოახდინონ მთავრობაზე და აცხადებს, რომ პასიური წინააღმდეგობა გამოხატავს გერმანიის ხალხის ნამდვილ ნებას, რომელსაც არ სურს დაემორჩილოს უცხოელების შეიარაღებულ დიქტატურას. რეზოლიუცია წინადადებას აძლევს ინგლისის მთავრობას მტკიცეთ მოითხოვოს ახალი მოლაპარაკების დაწყება იმ მიზნით, რომ გადაწყვეტილი იქნეს საბოლოოთ საკონტრიბუციო საკითხი.

„ყვითელ წიგნი“.

პარიზი. 25 აგვისტო. საფრანგეთის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ „ყვითელ წიგნში“ მოყვანილია მოლაპარაკების ისტორია გერმანიასა და მოკავშირეებს შორის სან-რემოს კონფერენციიდან დაწყებული. პუანკარე ეყრდნობა მოკავშირეების მიერ ხელმოწერილ დოკუმენტებს და სცდილობს დაამტკიცოს რურის ოკუპაციის კანონიერება; ის დაჟინებით მოითხოვს საფრანგეთის მიერ წარდგენილ მოთხოვნილებების შესრულებას. დასასრულ პუანკარე აღნიშნავს, რომ საფრანგეთს შეუძლია გადაუხადოს ინგლისს ვალი მხოლოდ მის შემდეგ, როცა გერმანია შეასრულებს მისდამი წარდგენილ მოთხოვნილებებს.

შტრეზემანის სიტყვა საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ბერლინი. 25 აგვისტო. შტრეზემანი თავის სიტყვაში გერმანიის საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომელიც მან წარმოსთქვა მრეწველთა ბანკეტზე, შეჩერდა უმთავრესად კუნოს მთავრობის ივნისის მემორანდუმზე, რომელსაც ემხრობა გერმანიის ახალი მთავრობაც. მემორანდუმში ნათქვამია, რომ გერმანია მზათ, არის მიანიჭოს მოკავშირეებს, საკონტრიბუციო ვალდებულებათა შესრულების გარანტიების სახით, გერმანიის მრეწველობის ნაწილი; მაგრამ მემორანდუმი სრულებით დაუშვებლათ სთვლის რეინისა და რურის ოლქების დანარჩენ გერმანიიდან ჩამოშორებას. საფრანგეთის წინადადება,—მიცემულ იქნეს ღონეებით გირაოს სახით რეინის ოლქი, რკინის გზები და რურის სამთო-მადნო წარმოებები, ვერ იქნება მიღებული საფუძვლათ საკონტრიბუციო საკითხის გადაწყვეტის დროს.

საკონტრიბუციო საკითხის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთის პოლიტიკური თვალსაზრისი, რომელიც უკანასკნელ ნოტაში სჭარბობს, ადგილს დაუთმობს ეკონომიურ თვალსაზრისს.

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის
ცენტრალურ **კანტორისაგან** ყოფილი ზაკტრესტი,
რუსთაველის პრ. № 26. ტელ. 5—43.

ენკენისთვეში გაზეთ „კომუნისტ"-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

თვიური ხელისმოწერა ქალაქში შინ მიტანით . . .	4.000.000
„ ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის	4.500.000
კოლექტ. ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის . . .	3.000.000
ერთი ეკზემპლიარი . . .	175.000

ჟურნალ „ნიანგი"-ს ფასები:

თვიური ხელის მოწერა . . .	700.000
ერთი ეკზემპლიარი . . .	400.000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელისმომწერლებს 1 ენკენისთვიდან შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი არავის არ გაეგზავნება.

0—3

ინგლისსა და საფრანგეთს შორის მოსალოდნელია განხეთქილება.

ლონდონი. 20 აგვისტო. ინგლისსა და საფრანგეთს შორის წარმოებულ მიწერ-მოწერის გამოქვეყნების გამო, „მანჩესტერ გარდიენ"-ი აღნიშნავს, რომ მიწერ მოწერა ისეთ ძლიერ უთანხმოებას აშკარავებს მოკავშირეთა შორის, რომ შესაძლებელი ხდება ვილაპარაკოთ ამ ორ ქვეყანას შორის შესაძლებელ განხეთქილებაზე.

იტალიელები უკმაყოფილონი არიან საფრანგეთის ნოტით.

ბერლინი. 27 აგვისტო. რომის გაზეთ „სტამპა"-ს სიტყვებით, საფრანგეთის ნოტამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა იტალიის მთავრობის წრეებში. მიუხედავათ ნოტის მეგობრული ტონისა, მას მაინც პუანკარეს შეურიგებლობის გამოხატულებათ სთვლიან, რომელიც აძლიერებს იტალიის უკმაყოფილებას.

ინგლისის ვაჭრობის მინისტრის სიტყვა.

პარიზი. 27 აგვისტო. აბერდინში გამოსულმა ინგლისის ვაჭრობის მინისტრმა ლლოიდ-გრიმმა დაახასიათა ინგლისის პოლიტიკა საკონტრიბუციო საკითხში. მან სთქვა: „ინგლისის მთავრობის უმთავრესი მიზანია—მიიღოს უახლოეს დროში გერმანიისაგან კონტრიბუციის მაქსიმუმი, მეორე—აღადგინოს ევროპის შერყეული მდგომარეობა, რაც საშუალებას მისცემს კონტინენტის სახელმწიფოებს აწარმოონ ურთიერთი შორის ვაჭრობა და მომარაგება". იცავდა რა ინგლისის კაბინეტს პრესის თავდასხმებისაგან, ლლოიდ-გრიმმა განაცხადა: „აბსურდი და შეურაცხყოფა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ომის შემდეგი საკითხების მოგვარების დროს ინგლისი, რომელიც თვითონ მონაწილეობას იღებდა ომში, გერმანიის დაცვის ნიადაგზე დადგეს".

მოკავშირეთა პრემიერების კონფერენცია.

ლონდონი. 27 აგვისტო. ფიქრობენ, რომ ბელგიის ნოტის მიერ წამოყენებული მოკავშირეთა პრემიერების კონფერენცია შესდგება 10 ენკენისთვეს.

პუანკარე ამერიკის პოზიციის შესახებ.

ლონდონი. 27 აგვისტო. კონდრეკურეში ფრონტზე ამერიკის ჯარის პირველ ნაწილების ჩამოსვლის მოგონების საპატივსაცემო ძეგლის გახსნის დროს, პუანკარემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც სთქვა: „ის საშიროება, რომლისგანაც დაგვიცვა ჩვენ ამერიკის ჯარებმა, არასოდეს აღარ განმეორდება, თუ სახელმწიფოთა კავშირი, რომელიც ესე მჭიდრო იყო ომის დროს, შეინარჩუნებს მშვიდობიანობის დროს საკავშირო ხელშეკრულების ხასიათსა და ძალას, რაც უზრუნველყოფს საფრანგეთის უშიშროებას და კონტრიბუციის მიღებას. თუმცა ამერიკამ არ განამტკიცა მისი პრეზიდენტის მიერ დაწყებული საქმე, მაგრამ მიუხედავათ ამისა, როგორი სამწუხაროც არ უნდა იყოს ეს საფრანგეთისათვის, ეს უკანასკნელი მაინც დარწმუნდა, რომ ამერიკა მის წინააღმდეგ არ არის. თუმცა ამ გარემოებამ საფრანგეთს წაართვა ამერიკის ოფიციალურ დახმარების შესაძლებლობა, მაგრამ მან მაინც არ უღალატა იმ გრძნობებს, რომელსაც გრძნობენ ერთმანეთის მიმართ ორივე სახელმწიფოები".

ოკუპაციის გარშემო

კომუნისტურ გაზეთების აკრძალვა.

პარიზი. 27 აგვისტო. საფრანგეთის ხელისუფლების მიერ აკრძალულია ყველა კომუნისტურ გაზეთების გამოცემა ოკუპაციის სფეროში.

მტაცებლობა გრძელდება.

პარიზი. 27 აგვისტო. ესსენში ფრანგებმა ხელში ჩაიგდეს 7 მილიარდი მარკა, რომელიც დანიშნული იყო რურის გზელთათვის ჯამაგირების დასარიგებლათ, და აგრეთვე 87 მილიარდი მარკა—მუნიციპალურ კასიდან.

კომპარტიის გავლენა იზრდება.

ბერლინი. 25 აგვისტო. კომპარტიის მდგომარეობა ოკუპაცია ქმნილ ოლქებში მეტისმეტად გამტკიცდა, რადგან ოკუპაციასთან ბრძოლაში კომუნისტები ყოველთვის პირველ რიგში იდგენ. მათ მშრომელი მასების და მოსახლეობის ნდობა მოიპოვეს იმით, რომ ყოველთვის კლასიურ პოზიციაზე რჩებოდენ.

ბოიკაუტების დაშლა.

პარიზი. 27 აგვისტო. „მატენ"-ი იუწყება. გენერალმა დეგუტმა ბრძანება გასცა, რათა რეინის ბოიკაუტების ორგანიზაციები დაშალონ, რადგანაც ამ ორგანიზაციების არსებობა საფრთხეს წარმოადგენს საფრანგეთის ჯარისათვის.

შორეულ აღმოსავლეთში

იაპონია

პრემიერ კატოს სიკვდილი.

ბერლინი. 25 აგვისტო. ტოკიოში გარდაიცვალა იაპონიის პრემიერი ბარონი კატო.

ჩინეთი აღშფოთებულია ინგლისის პროექტით.

პეკინი. 23 აგვისტო. გაზ. „პეკინ დეილი ნიუზ"-ი სწერს: „ინგლისი ჯერ კიდევ შარშან ამზადებდა ჩინეთის რკინის გზათა კონტროლის პროექტს და უთითებს იმაზე, რომ ჩინეთის რკინის გზებზე მომატებული ნაწილი შენობებისა ინგლისის ეკუთვნისო. გაზეთის აზრით, თუ პროექტი მართლა სისრულეში მოიყვანეს, მაშინ ჩინეთის ფინანსები სავსებით ინგლისის ჩაუვარდება ხელში".

პეკინში მყოფმა ჩინეთის ჟურნალისტებმა ტოკიოს მთავრობას მიმართეს და სთხოვეს, რათა იგი გამოესარჩლოს საერთაშორისო უფლებას და უარყოს განზრახული კონტროლი. ინგლისის პროექტით გამოწვეული აღშფოთება მთელს ჩინეთს ედება და საშიშ ხასიათს ღებულობს.

უცხოელების მიერ ჩინეთის გზების დაცვის გამო.

ტოკიო. 23 აგვისტო. რადგან დასავლეთის სახელმწიფოებს განზრახვა აქვთ ჩინეთის გზებზე უცხოეთის მცველები დააყენონ, იაპონია სცდილობს ისეთი შთაბეჭდილება შექმნას ჩინეთში, ვითომც ეს განზრახვა მას არ მოსწონს, თუმცა არ აპირებს აქტიურ გამოსვლას სახელმწიფოთა პოლიტიკის წინააღმდეგ,

იაპონიის პრესა აღნიშნავს, რომ უცხოეთის სადარაჯო რაზმის შეყვანა დარღვევა იქნებოდა ჩინეთის სუვერენობისა,

იაპონიის გაზეთები აგრძნობინებენ ჩინელებს, რომ იაპონია წინააღმდეგი არ იქნებოდა, თუ ჩინეთი იაპონიის მეტოქეებს დავას აუტეხდა.

ჩინეთი

უცხოეთის კონტროლი ჩინეთის რკინის გზებზე.

პეკინი. 22 აგვისტო. უცხოეთის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა კომისიის გადაწყვეტილების გამო, ჩინეთის პრესა ფიქრობს, რომ უცხოეთის სახელმწიფოები სარგებლობენ ინციდენტით ჩინეთის რკინის გზების კონტროლის ხელში ჩასაგდებათ. ზოგიერთი გაზეთები აშკარად მოუწოდებენ ხალხს აჯანყებისაკენ მტაცებლების წინააღმდეგ.

ბრიტანეთის მისიის დაწვა.

ნაუკინი. 23. აგვისტო. რეიტერი იუწყება, რომ ხანკოუში ბოროტმოქმედებმა ცეცხლს მისცეს ბრიტანეთის მისია, კათოლიკეთა ეკლესია და აიკლეს ქალაქი. ადგილობრივი გარნიზონი რვა კაცით დაზარალდა და იძულებული იყო უკან დაეხია.

ფიუმეს საკითხი

რომი. 25 აგვისტო. მუსოლინიმ მიმართა სამხრეთ-სლავიის დელეგაციას, რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას ფიუმეს შესახებ რიბართან, მოთხოვნილებით დაუყოვნებლივ იქნეს გადაჭრილი ეს საკითხი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაიტოვებს თავისუფალ მოქმედების უფლებას. ამ წერილის მიღებისას, რიბარი გაემგზავრა ეკლე-ბენში მოლაპარაკების დასაწყებად პრემიერ პაშიჩთან და გარეშე საქმეთა მინისტრ ნინჩიჩთან.

იტალია თავის მხრივ აყენებს შემდეგ პროგრამას: ფიუმეს, მისი სუსაკის მიდამოების. მახლობელ ნავთსადგურის—ბარროსის მმართველობა გადაეცემა პარიტეტულ კომისიას რომელშიაც შევლენ თანასწორად იტალიის და სამხრეთ-სლავიის დელეგატები, ბარროსი და რუსსაკი იქნებიან სამხრეთ-სლავიის სუვერენიტეტის ქვეშ, მაგრამ 99 წლის განმავლობაში უნდა დარჩენ კონტაქტში ფიუმესთან. თვით ფიუმე, სხვა ცნობების მიხედვით, რჩება ავტონომიურ ქალაქად. ფიქრობენ, რომ შეთანხმება მიღწეული იქნება.

სხვადასხვა

ავსტრია.

ჩიხში.

ვენა. 25 აგვისტო. ერთა ლიგის საბჭოს კომისარი ავსტრიაში, ლიგის საბჭოსადმი თავის ანგარიშში ამბობს, რომ რკინის გზების რეორგანიზაცია მეტის მეტად ნელა მიმდინარეობს. ციმმერმანი სწერს, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შესაძლებელი იყო დეფიციტის შემცირების მიზნით სასარგებლო ზომების მიღება შინაგან სამსახურის რეორგანიზაციისათვის, მაგრამ ავსტრიის მთავრობამ ეს არ შეასრულა. ეხლა კი ის ცდილობს შეამციროს დეფიციტი სამგზავრო ტარიფების გადიდებით. შემდეგ ციმმერმანი ჩივის, რომ მოსამსახურეთა ჯამაგირების დასარიგებელი თანხა ივნისის დამლევამდე გამონაგარიშებული იყო მხოლოდ 36.000 კაცზე 50.000-ის მაგიერ. „თუ მთავრობა არ დააჩქარებს თავის მუშაობას,—აცხადებს ციმმერმანი,—ჩვენ ჩიხში მოვემწყვდევით და ამის ბრალი სავსებით ავსტრიის მთავრობას დაედება".

„საგანგებო ზომები" ყალბი აღმოჩნდა.

ეს ანგარიში, ისევე, როგორც სხვა ანგარიშებიც, მოწმობენ, რომ ავსტრიის განთქმული „გაჯანსაღება" შეიძლება უიმედოთ ჩაითვალოს მიუხედავათ ამ „გაჯანსაღებისადმი" ავსტრიის სახალხო მეურნეობისა და მშრომელთა მასების ლტოლვისა. ეხლანდელი, შედარებითი გაუმჯობესება ავსტრიულ სახელმწიფოების მდგომარეობაში აიხსნება ერთა ლიგისაგან 372 მილიონ ოქროს კრონის სესხათ მიღებით. ამ თანხის დახარჯვის შემდეგ კი აუცილებელია სერიოზული კრიზისი.

პოლონეთი

ბრძოლა რევოლიუციონურ ახალგაზრდობის წინააღმდეგ.

ვარშავა. 25 აგვისტო. პოლონეთის ოხრანკა ახდენს მასიურ ჩხრეკას და დაპატიმრებას. ზოგიერთ გაზეთების ცნობით, „ოხრანკამ" მოახერხა პოლონეთის კომუნისტური პარტიის ორგანიზაციების აღმოჩენა. ამგვარ ცნობების მიზანათ აქვს გაუადვილოს „ოხრანკას" ბრძოლა რევოლიუციონურ ახალგაზრდობის წინააღმდეგ.

მთავრობის რეჟიმის მოწინააღმდეგების დევნა.

ვარშავა. 25 აგვისტო, პოლონეთში ჩასული ლვოვის მიტროპოლიტი შეპტიცკი შეიპყრეს საზღვარზე, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით, მიტროპოლიტის ვაგონი ლვოვის მაგიერ გაიგზავნა პოზნანში. „გაზეტა ვარშავსკა"-ს თანამშრომელთან საუბრის დროს განათლების მინისტრმა გლომბინსკიმ განაცხადა, რომ შეპტიცკის დაბრუნება ლვოვში გამოიწვევდა მღელვარებას და სისხლის ღვრას და ხაზი გაუსვა იმას, რომ მისი დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეპტიცკი მიიღებს პოლონეთის მთავრობის თვალსაზრისს და მოუწოდებს მრევლს პოლონეთისადმი ერთგულებისაკენ.

საფრანგეთი

მარტის მოწოდება.

პარიზი. 25 აგვისტო. მარტი „იუმანიტეში" აგვიწერს საფრანგეთის ციხეებში არსებულ სასტიკ რეჟიმს პოლიტიკურ ტუსაღების მიმართ და მოუწოდებს მუშებს, რათა მთავრობას მოსთხოვონ საყოველთაო ამნისტია.

სამხრეთ-სლავია

ბულგარეთის თეთრი ტერორის წინააღმდეგ

ვენა. 25 აგვისტო. სამხრეთ-სლავიის დამოუკიდებელი პარტიის ორგანო მოუწოდებს ყველა მუშათა ორგანიზაციებს. 25 აგვისტოს მოაწყონ საპროტესტო მიტინგი ბულგარეთში არსებულ თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

ლიტვა

სავაჭრო ხელშეკრულება საფრანგეთთან.

რიგა. 25 აგვისტო. საფრანგეთის ელჩმა, გრაფ დე-მარტელმა, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, განაცხადა, რომ იმედი აქვს ხელის მოწერის სავაჭრო ხელშეკრულებაზე ლატვიასთან.

რუმინეთი

ვრანგელის მომხრეების მდგომარეობა.

ვენა. 25 აგვისტო. რუმინეთის ბანაკებში მომწყვდეულ ვრანგელელების მდგომარეობის გამომკვლევმა კომისიამ აღმოაჩინა, რომ ისინი აუტანელ პირობებში ცხოვრობენ და სიმშილისაგან იხოცებიან მრავალი დაპატიმრებულები. მრავალი მათგანი შუამდგომლობს რუსეთში დაბრუნებაზე.

პოლონეთის სესხი ამერიკაში.

ვარშავა. 25 აგვისტო. „ნაშ პშეგლონდის" ცნობით, პოლონეთის კაბინეტმა მიიღო მორგანის პირობები პოლონეთისათვის სესხის მიცემის შესახებ, რაც არ არის ხელსაყრელი უკანასკნელისათვის. მონოპოლიები, ოქროს ფონდი და ყველა შემოსავალი გადასახადებიდან იქნება მორგანის უშუალო კონტროლის ქვეშ, რომელიც უკარნახებს მთავრობას პოლონეთის მცხოვრებთა დაბეგვრის ახალ პროექტებს.

უნგრეთი.

კრონა თანდათან ეცემა.

ვენა. 25 აგვისტო. უნგრეთის კრონის დაცემა იწვევს საშინელ სიძვირეს. რკინის გზებზე ტარიფი გადიდებულია 100 პროცენტით. საქონელი გაძვირდა 150-200 პროცენტით, მთავრობამ მაინც ნება დართო უნგრეთიდან პურის გაზიდვაზე, თითქოს, კრონის კურსის განმტკიცების მიზნით.

პროფინტერნში

წითელ პროფინტერნის ყველა მოძმეს, ყველა ქვეყნის მუშებს

ამხანაგებო! გერმანიის პროლეტარიატმა კვლავ შესდგა ფეხი გაფართოებულ ბრძოლის ხანაში.

იმ დროს, როდესაც სოციალ-დემოკრატიული პარტია და რეფორმისტული პროფკავშირები ხელს უწყობენ ბურჟუაზიის ძალა უფლების შენარჩუნებაში, პოლიციელები და ფაშისტური ბანდები სცემენ და ხვრეტენ გაძვალტყავებულ მუშებს. მთელ რიგ ქალაქებში გაიშალა საგაფიცვო მოძრაობა, რომელსაც თან სდევს სისხლის მღვრელი შეტაკებები ბურჟუაზიულ წესწყობილების ორგანიზაციებთან.

მუშები გაიფიცნენ, რადგან ცდილობდენ თავიანთ უმწეო მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან სურდათ ბოლო მოეღოთ როგორც მსხვილ კაპიტალისტების, ისე ვიგინდარა—შიბერების მთელი არმიის თავგასულ სპეკულიაციის ორომტრიალისათვის. გერმანიის მუშათა კლასმა ჯერ ვერ შესძლო ამის მიპოება. რევოლიუციონურ ძალთა მობილიზაცია ჯერ არ დამთავრებულა და ამიტომ ბურჟუა შტრეზემანი და სოციალ-დემოკრატი გილფერდინგი განაგრძობენ ჯერ კიდევ რამოდენიმე ხანს დირექტორ კუნოს საქმეს. მსხვერპლი მრავალდება. დამფრთხალი ბურჟუაზია მკაცრია და შურის მაძიებელი.

მოძრაობის აქტიურ ხელმძღვანელებს პოლიცია აპატიმრებს, რევოლიუციონურ პრესას რეაქციონურ ოფიცერთა ნება-სურვილის ანაბარათ სტოვებენ.

წითელ პროფინტერნის და მის მომხრე ყველა ორგანიზაციების და, აგრეთვე, ყველა შეგნებულ პროლეტარების ვალია—დროზე აღმოუჩინონ დახმარება გერმანიის მებრძოლ მუშებს.

ჩვენ არ უნდა დავუშვათ რევოლიუციონურ ავანგარდის დარბევა, ჩვენ არ შეგვიძლია ბედისა და ფაშისტურ ბანდების ანაბარათ დავტოვოთ ათასი და ათი ათასი მუშა, რომლებიც გამოყრილი არიან ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან ღამქირავებლების მიერ პროტესტის აქტიურად გამოხატვისათვის.

წითელ პროფინტერნმა საერთაშორისო პროფესიონალურ მოძრაობის სახელით შეაქვს ერთი მილიონი ოქროს მარკა ლოკაუტის ქვეშ ჩავარდნილ და დევნილ გერმანიის მუშების დასახმარებლათ. ეს თანხა გადაეცა გერმანიის საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტების ცენტრს.

წითელი პროფინტერნი მოუწოდებს ყველა ორგანიზაციებს და მის თანამგრძნობ მუშებს დახმარება აღმოუჩინონ გერმანიის მუშებს.

გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატს!

გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს საერთაშორისო სოლიდარობას!

წითელ პროფინტერნის აღმასრულებელი ბიურო.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

საბერძნეთი

შეუერთდენ გაფიცვას.

ვენა. 25 აგვისტო. ათინიდან მიღებულ ცნობის თანახმად, საერთო გაფიცვას შეუერთდენ ბეჭდვითი საქმის მუშები. 21 აგვისტოდან საბერძნეთში არ გამოდის არც ერთი გაზეთი.

ინგლისი

მუშათა მოძრაობის კრიზისი.

ლონდონი. 25 აგვისტო. ტრედ-უნიონების გენერალურ საბჭოს და მუშათა პარტიის აღმასკომის სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილების გამო, მუშათა პარტიის ორგანოს „დეილი გერალდის" 30 სექტემბრისათვის დახურვის შესახებ, გაზეთი სწერს:

„ის გადაწყვეტილება ლაპარაკობს ინგლისის მუშათა მოძრაობის ღრმა კრიზისის შესახებ ამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. მიუხედავათ გენერალურ საბჭოს და მუშათა პარტიის აღმასკომის მოწოდებისა, მუშათა პარტიის ტრედ-უნიონების მილიონიანმა წევრებმა ხელი შეუშალეს გაზეთის გავრცელებას.

პარტიის მემარცხენე ელემენტების აზრით, გაზეთის დაცემა აიხსნება იმით, რომ პარტიის ოფიციალურ წინამძღოლებმა ვერ მოახერხეს გაზეთისათვის მიეცათ მუშათა მასების ხელმძღვანელობითი ხასიათი.

სამხრეთ-სლავია

მეზღვაურთა გაფიცვა.

ვენა. 25 აგვისტო. მიუხედავათ მთავრობის მიერ ორჯერ გამოქვეყნებულ ცნობისა სამხრეთ-სლავიის მეზღვაურთა გაფიცვის დამთავრების შესახებ, გაფიცვა მაინც გრძელდება. გემების მეპატრონენი ყოველ ღონეს ხმარობენ ჩაშალონ გაფიცვა ავრცელებენ რა ხმებს იმის შესახებ, მეზღვაურთა პროფკავშირი დაიშალა და გაფიცვა უიმედოა, რადგან ხაზების ორი მესამედი დაიხურება და გემების მეპატრონეებს აღარ დასჭირდებათ მეზღვაურთა იმდენივე რიცხვი, რაც წინად. გემების მეპატრონეები აშინებენ მეზღვაურებს ხმებით იმის შესახებ, რომ თითქოს საზღვაო სამინისტრო მილიტარიზაციას ახდენს საზღვაო გზებისას.

მიუხედავათ ყოველგვარ დაბრკოლებათა, გაფიცვა იშვიათი სოლიდარობით გრძელდება.

ესპანეთი

სოლიდარობის გაფიცვა.

ვენა. 25 აგვისტო. ქალაქ ბილბაოს მუშებმა გამოაცხადეს გაფიცულ მემაღაროეთა მიმართ სოლიდარობის გაფიცვა. მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება მუშებსა და პოლიციას შორის.

საფრანგეთი.

პარიზის მუშების გაფიცვა.

ვენა. 25 აგვისტო. პარიზის გაზის ქარხნების მუშებმა ეკონომიური გაფიცვა გამოაცხადეს. ელექტრონის სადგურების მუშებმა აღუთქვეს მათ დახმარება.

ჩეხო-სლოვაკია.

მაღაროს მუშების გაფიცვა.

პრაღა. 25 აგვისტო. მეორე კვირაა, რაც საყოველთაო გაფიცვა გრძელდება. მდგომარეობა გამწვავდა მწარმოებლებს განზრახვა აქვთ უკიდურეს ზომებს მიმართონ მუშების წინააღმდეგ. მთავრობამ აღუთქვა ქვანახშირზე გადასახადისა და სარკინიგზო ტარიფის შემცირება. თუ მუშების მოთხოვნილებები არ დააკმაყოფილეს, მუშები დასტოვებენ მაღაროებს, შეჩერდება ელექტრო-სადგური და ღუმელებიც ჩაქრება.

მუშები ეხმარებიან მაღაროს მუშებს.

პრაღა. 25 აგვისტო. 120 ათასი მაღაროს მუშა განაგრძობს გაფიცვას. პროფ ორგანიზაციები ყოველის ძალღონით ეხმარებიან გაფიცულებს და სცდილობენ ერთიანი ფრონტის შექმნას.

ჩეხის მუშები გერმანიის მუშებს დაეხმარებიან.

პრაღა. 25 აგვისტო. გერმანიის უკანასკნელ ამბების გამო, ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის გერმანელთა სექციის ორგანო „რეიხენბერგერ"-ი სწერს: „ამ ამბებმა უნდა გააძლიეროს ჩეხის პროლეტარიატის ბრძოლა კაპიტალისტების წინააღმდეგ, რომ საჭიროების დროს, შესძლოს გერმანიის პროლეტარიატის დახმარება".

საბჭოთა კავშირში

ვირტი და ჰააზი ამხ. კრასინთან.

მოსკოვი. 26 აგვისტო. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ამხ. კრასინი ინახულეს გერმანიის რეიხსკანცლერმა ვირტმა და რეიხსტაგის დეპუტატმა ჰაზემ. უკანასკნელს აინტერესებდა საკითხი სატყეო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ რუსეთში.

უცხო ფინანსისტების წინადადება საზოგადოება „ექსპორტ-პური"-სათვის კრედიტების გახსნის შესახებ.

მოსკოვი. 25 აგვისტო. უკანასკნელი დროის განმავლობაში საზოგადოება „ექსპორტ-პური" აურაცხელ წინადადებებს ღებულობს უცხო ფინანსისტებისაგან, მათ რიცხვში საფრანგეთის ფინანსისტებისაგანაც, ჩვენი პურის ექსპორტისათვის კრედიტების გახსნის შესახებ. საზოგადოება მოლაპარაკებას აწარმოებს ცალკე ფინანსისტებთან.

დებულება კონცესიების მთავარ საკავშირო კომიტეტის შესახებ.

მოსკოვი. 25 აგვ. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა კონცესიების მთავარ საკავშირო კომიტეტის დებულება; კომიტეტი შესდგება თავმჯდომარისა და წევრებისაგან, რომელთაც სახალხო კომისართა საბჭო ნიშნავს. კონცესიების მთავარი კომიტეტი ხელმძღვანელობას უწევს უცხო კაპიტალის მოწვევას კავშირის ტერიტორიაზე სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სამეურნეო მოღვაწეობისათვის. საკონცესიო კომისიები, რომელნიც ეწყობიან საკავშირო რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან მოქმედებენ იმ დირექტივებისა, ინსტრუქციებისა და განკარგულებების თანახმად, რომელნიც გამოცემული იქნება კონცესიების მთავარ კომიტეტის მიერ.

რუსეთი

პროექტი დებულებისა საავტორო უფლების შესახებ.

მოსკოვი. 25 აგვისტო. განათლების სახალხო კომისარიატმა შეიტანა სახალხო კომისართა საბჭოში პროექტი დებულებისა საავტორო უფლების შესახებ ლიტერატურის, მეცნიერების და ხელოვნების ნაწარმოებებზე. სალიტერატურო ნაწარმოებთა ავტორის უფლების ვადა განსაზღვრულია 10 წლით.

სასოფლო სამეურნეო მუზეუმები.

ხარკოვი. 26 აგვისტო. სახალხო კომისართა საბჭო აპირებს სრულიად უკრაინის სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის რეორგანიზაციას ხარკოვში. მუზეუმში მოთავსდება აგრეთვე უკრაინის მიერ მოსკოვის გამოფენაზე გაგზავნილი ექსპონატები.

ციმბირის აღებ-მიცემობა უცხოეთთან.

ჩიტა. 26 აგვისტო. საზღვარ-გარეთიდან მოგვდის წინადადებანი, რომ ყოველთვიურად მივაწოდოთ 30.000 ტონა სუჩანის ქვანახშირი.

სამხრეთ-რუსეთის საექსპორტო ვაჭრობა.

ოდესა. 26 აგვისტო. მიმდინარე წლის შვიდი თვის განმავლობაში ოდესის ნავთსადგურში შემოსულა უცხოეთის 58 გემი, რომლებსაც ოდესიდან გაუტანია 400 მილიონი ფუთი სხვა და სხვა ტვირთი. ამავე დროს ნიკოლაევიდან გაუტანიათ 60 მილიონი ფუთი.

ბუხარა.

ბუხარის საბჭოების ყრილობა.

ბუხარა. 26 აგვისტო. აღმოსავლეთ ბუხარაში გაიხსნა ბუხარის საბჭოების ყრილობა. ყრილობაში მონაწილეობდა 3000 დელეგატი. კომპარტიის მიმართვაში ნათქვამია, რომ მოსახლეობა პარტიის ხელმძღვანელობით ახლოა აღმოსავლეთის ხალხთა სრულს განთავისუფლებასთან. ორატორები მოითხოვდენ გაბედულ ბრძოლას ბასმაჩებთან.

ბუხარა ეხმარება წითელ არმიას.

ბუხარა. 25 აგვისტო. აღმოსავლეთ ბუხარის მოსახლეობა წითელ არმიას ეხმარება ბასმაჩებთან ბრძოლაში. ყარათაგასა და დეხქანის გლეხებმა გაანთავისუფლეს 25 წითელარმიელი, რომლებიც 357-დან შემდგარ ბანდას ციხე-სიმაგრეში შეემწყვდია.

ოქროს სესხის იძულებითი განაწილება ბურჟუაზიას შორის.

მოსკოვი. 26 აგვისტო. გადასახადთა ცენტრალური სამმართველო ამზადებს პროექტს, რომლის ძალითაც ოქროს სესხი იძულებით დანაწილდება ბურჟუაზიას შორის.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

საზღვარ-გარეთის განყოფილების საზეიმო გახსნა.

მოსკოვი. 5 აგვისტო დღეს, დიპლომატიურ კორპუსის, მუშების, გლეხების და პარტიულ დელეგაციების, რუსეთის და უცხოეთის პრესის წარმომადგენელთა თანდასწრებით ზეიმით გაიხსნა საკავშირო გამოფენის საზღვარ-გარეთის განყოფილება.

ამხ. სვიდერსკის სიტყვა.

უცხოეთის განყოფილების ს. ს. რ. კავშირის მჭიდროთ დაკავშირება მსოფლიო ხალხებთან.

გახსნა რა განყოფილება ამხ. სვიდერსკიმ აღნიშნა, რომ გამოფენის რუსულ ნაწილს მიზნად აქვს დასახული მჭიდრო კავშირი სოფელსა და ქალაქს შორის, გლეხსა და მუშას შორის. უცხოეთის განყოფილებას კი—ს. ს. რ. კავშირის მშრომელი ხალხის კავშირი მთელი მსოფლიოს ხალხებთან სამეურნეო გამოცდილების გაზიარების მიზნით. უცხოეთის მრავალ ფირმების მონაწილეობა გამოფენაზე მოწმობს იმის შესახებ, რომ ჩვენ განვაგრძობთ მშვიდობიან მუშაობას, რომელიც დამყარებულია ხალხთა თანასწორობაზე

ამხ. კრასინის სიტყვა.

უცხოეთის განყოფილების მნიშვნელობა გლეხობისათვის.

ამხ. კრასინი აღნიშნავს, რომ უცხოეთის განყოფილებაში გლეხი გაეცნობა დასავლეთ ევროპის სასოფლო მეურნეობაში გაუმჯობესებულ ტეხნიკას და მეთოდებს; ჩვენი სასოფლო მეურნეობა და მიწათმოქმედება ბოლოს და ბოლოს მეცნიერულ ნიადაგზე უნდა მოეწყოს. ვესალმებით რა დასავლეთთან დაახლოვების ყოველ ცდას, ჩვენ არ შეგვიძლია ვაწარმოვოთ ვაჭრობა ე. წ. „თავისუფლების" ნიადაგზე, ამიტომ მთავარ პირობათ უყენებთ ჩვენთან მოვაჭრე უცხოელებს ამ ვაჭრობის სარგებლობაში საბჭოთა სახელმწიფოს მონაწილეობას.

გამოფენა არის პირველი რგოლი ს. ს. რ. კავშირისა და უცხო სახელმწიფოებს შორის.

გამოფენა დაანახვებს უცხოელებს ჩვენი სასოფლო-მეურნეობის დაუშრეტელ შესაძლებლობას. თუ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები უარს იტყოდენ საბჭოთა რესპუბლიკების ბლოკადის და ეკონომიური იზოლიაციის პოლიტიკაზე და მიიღებდენ წინადადებას გლეხის მეურნეობისათვის კრედიტების მიცემის შესახებ, ამით მიღწეული იქნებოდა ნიადაგის ნაყოფიერების გადიდება და მოსავალი დაფარავდა სესხად აღებულ კაპიტალის პროცენტებს. ამხ. კრასინი იმედოვნებს, რომ გამოფენა იქნება პირველი რგოლი, რომელიც დააკავშირებს უცხოეთის მთავრობებს საბჭოთა ხელისუფლებასთან სასოფლო მეურნეობის აღორძინების საქმეში.

ოსმალეთის ელჩის მუხტარ-ბეის სიტყვა.

გამოფენამ გამოიწვია არაჩვეულებრივი აღმშენებლობითი ენერგია.

ოსმალეთის ელჩი მუხტარ ბეი მიესალმა განყოფილების გახსნას დიპლომატიური კორპუსის სახელით. მან აღნიშნა საბჭოთა ორგანიზაციების არაჩვეულებრივი შემოქმედებითი ენერგია.

ამხ. ჩიჩერინის სიტყვა.

უცხოეთის განყოფილება არის საერთაშორისო მშვიდობიანობის ჩვენი პოლიტიკის გამომხატველი.

ამხ. ჩიჩერინმა, რომელსაც მქუხარე ოვაციებით შეხვდნენ, მადლობა გადაუხადა რა მთავრობის სახელით მუხტარ ბეის თავის მისალმებაში სთქვა:

„**გამოფენის უცხოეთის განყოფილება არის კიდევ ერთი რგოლი, რომელიც გვაკავშირებს ჩვენ მთელი მსოფლიოს ხალხებთან.**

იგი არის საერთაშორისო მშვიდობიანობის პოლიტიკის გამომხატველი. ხაზი გაუსვა რა განუწყვეტელ კავშირს ჩვენ წარმოებასა და მსოფლიო მეურნეობის შორის, ჩიჩერინმა აღნიშნა მსოფლიო ანტაგონიზმის და შეიარაღებათა ზრდა, **რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება უპირდაპირებს ხალხთა მშვიდობიან თანამშრომლობას.** გამოფენის უცხოეთის განყოფილება—არის ჩვენი პოლიტიკის ერთ-ერთი გამომხატველი მოვლენა, რომლის მიზანია **მშვიდობიანობის გამარჯვება ომიანობაზე, მშვიდობიან თანამშრომლობის გამარჯვება შეიარაღებასა და მსოფლიო ანტაგონიზმზე.**

ესალმება რა მეგობრულ სახელმწიფოების წარმომადგენლებს, ამხ. ჩიჩერინი გამოსთქვამს იმედს, რომ უცხოეთის განყოფილება ხელს შეუწყობს ჩვენს მუშაობას ყველა ხალხებთან მჭიდრო კავშირის [illegible]

უცხოეთის ექსპონენტები [illegible] ხელი-ხელ ჩაკიდებული ვიმუშავებთ ერთად.

უცხოეთის ექსპონენტების სახელით ტენდორმა ხაზი გაუსვა რა დასავლეთის ინტერესს გამოფენისადმი, განაცხადა, **რომ დასავლეთის ექსპონენტები მზად არიან ხელი-ხელ ჩაკიდებული იმუშაონ იმპორტ-ექსპორტის დარგში და მადლობა გამოუცხადა ასეთი მიღებისათვის.** მან დაასრულა თავისი სიტყვა შემდეგი ლოზუნგით:

„გაუმარჯოს მსოფლიოში პირველ საბჭოთა გამოფენას".

ზრუნვა ექსკურსანტებზე.

მოსკოვი. 26 აგვისტო. მოსკოვიდან ექსკურსანტების გამგზავრების გასაადვილებლად, მოსკოვის სადგურებზე მათ შეუძლიანთ დაუბრკოლებლად აიღონ ბილეთები როგორც ჯგუფობრივ, ისე თითო თითომ.

ამიერ კავკასიის რესპუბლიკებში

აზერბეიჯანი

კომუნალური მეურნეობის შემოსავალი.

ბაქო. 26 აგვისტო. ბაქოს კომუნალურ მეურნეობის სამმართველოში უძრავი ქონებიდან შემოსულია 317 მილიარდი მანეთი ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით, 264,540 ჩერვონცებით. ყველაზე დიდი შემოსავალი მოუცია სავაჭრო-სამრეწველო მაღაზიებს. ამ დარგიდან შემოსულია 274 მილიარდი მან. ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით და 188765 ჩერვონცებით.

კურსი რუსეთის ფულის ნიშნებისა.

ბაქო. 26 აგვისტო. აგვისტოს მე 3-მე ათეულში რუსეთის ფულის ნიშნების ფასი დადგენილია ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ 1923 წლის 1 მან.—18,000 მ.

სომხეთი.

საჭიროა მასწავლებლები.

კარაკლისი. 25 აგვისტო. კარაკლისის მაზრის პირველ დაწყებითი სკოლებისათვის მოწვეულნი არიან ახალი მასწავლებლები უმაღლესი განათლებით და სპეციალისტები. სოფლებში დიდი მოთხოვნილებაა მასწავლებლებისა. საჭიროა 113 მასწავლებელი, ეხლა კი მხოლოდ 35-ია სოფლის მასწავლებლებს უფასოდ ეთმობა ბინა, გათბობა და ზოგიერთი სურსათ-სანოვაგე.

გზების გაყვანა.

ერევანი. 25 აგვისტო, ჯელალოღლიდან იტყობინებიან, რომ ადგილობრივ სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ენერგიულად მუშაობს გზატკეცილის გაყვანაზე ჯელალოღლი-კალაგერან-შაგალის შუა. 10 ვერსი უკვე მზად არის.

პარტიული ცხოვრება

ვასრულებთ რ. კ. პ. მეთორმეტე ყრილობის დადგენილებებს.

როგორც იყო ველისით და საკარდონო ქარხნის შეფობის ქვეშ მყოფ სოფ. კახურელისაკენ გავემგზავრეთ. უფლისციხის ბაქანთან მატარებლიდან ჩამოვხტით.

ფეხმარდად მივაბიჯებდით საშეფო სოფლისაკენ, რომელიც კოხტად გაშენებულა მდ. მტკვრის პირად, ბაღების შუა.

მხიარულად შევედით სოფელში. ცნობის მოყვარეობით გვათვალიერებენ.

— ამხანაგო, სად არის თქვენი ფაბკომი, კომისარი?

— ჰა—ჰა—ჰა! ფაბკომი, აქ რა ქარხნები გაქვს თუ?

ფეხშიშველა ბიჭები გაგვიძღვნენ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარესთან. მაგრამ დაიმზნენ და მომავალ გლეხს მიმართეს.

— ვინ გინდათ?—შეგვეკითხა ჩვენ აფუხვით.

— კარგი, კარგი, წამოდით. ჩვენც უკან გავყევით. გადავსწერეთ რამდენიმე ქუჩა და საბჭოს თავმჯდომარის სახლს წავადექით.

— კოლა! კოლა!—შესძახა გლეხმა. სანდომიანი სახის გლეხი გამოვიდა. ძალიან გაეხარდა ჩვენი მისვლა.

— ჩვენ კი ვიფიქრეთ, დავავიწყდითო და გაზეთში გიპირებდით ჩაგდებას.

სკოლაში წავედით, აქ ყოფილა უჯრედის სხდომები. დაიწყო საუბარი. ჩვენ ავუხსენით მოსვლის მიზანი. თანდათან გამოვარკვიეთ ჩვენთვის საჭირო ცნობები.

ამ სოფელში სკოლა არის, ეხლა შეკეთებაშია, მაგრამ მასწავლებელი კი არა ჰყავთ. გორის კულტ-განათლების საბჭო ჰპირდება მასწავლებელს. არსებობს ბიბლიოთეკა, რომელშიაც არის 15 ქართული და 15 რუსული წიგნი. მოსდის გაზეთები „მუშა". და „მიწის მუშა" ამ სოფელში წერა-კითხვა სავალალო მდგომარეობაშია.

— ვინც წითელ ჯარში იყო იმან თუ იცის წერა-კითხვა.

— რამდენი გყავთ წიგნის მცოდნე, რომ თავისუფლად შეეძლოს კითხვა?

— ძალიან ცოტა, 3—4 კაცია.

— სხვები?

— 40 დე კაცი მოიპოვება, რომელსაც ხელის მოწერა შეუძლიან, მაგრამ სწავლა ბევრსა სწადიან, თავს გვაბეზრებენ. სკოლა კი გვექნება, მაგრამ ახლა ქაღალდი, საწერ-კალამი და წიგნები გაგვიძნელდება.

— მაგაზე ნუ სწუხართ, ყველაფერს თავსაყრელად მოგიტანთ.

გვთხოვეს გამოვუწეროთ გაზეთი „კომუნისტი" და „რაბოჩაია პრავდა".

ამ სოფელს თითქოს არც კი შეეხებია სააღგილ-მამულო რეფორმა. საშინელი მდგომარეობაა. მოვიყვანოთ მცირეოდენი ცნობები. ამ სოფელში 1890 წელს ყოფილა 90 კომლი. ჰქონიათ, საძოვარ ადგილების გარდა, 900 დესეტინა მიწა. ამჟამად ამ სოფელში 300 კომლია, მიწა კი მხოლოდ 400 დესეტინა ღა აქვს. საქონელი სიმშილით იხოცებათ. საძოვარი ადგილები არ გააჩნიათ. საქონელს აძოვებენ ნახნავებ შუა დარჩენილ ხავრეზებში და მთელი სოფლის ბიჭები ამ საქმეს უნდებიან. მათი მშობლები ამბობენ:

— „ბიჭები რა სკოლაში გავგზავნოთ, საქონელს ვიღა უდარაჯებს?

— შეადგინეთ ნახირი და მწყემსი გაუძღვება მაგ საქმეს.

— მაგრამ, სად აძოვებენ. მტკვარზე საძოვარი ადგილები როდია.

მიწათმოქმედების კომისარიატმა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს. აქ არის ოჯახი [illegible] სულით, რომელსაც მხოლოდ 3 დესეტინა მიწა აქვს. ეს ნამდვილი ფაქტია. ამბობენ, ახლო-მახლო სოფლებს მოჭარბებული მიწები აქვთო.

ამჟამად მთელი სოფელი გაჭირვებას განიცდის. ყანები სეტყვამ ჩაურეგვა. გლეხები სამუშაოს საძებრად გაიკრიფნენ. მათ უნდა მიეცეთ სათესლე, რომ შემოდგომის ანეულები მაინც დახნან და დათესონ. გვთხოვეს აგრონომი მოგვიყვანეთო, დავპირდით. ეს სოფელი სრულებით მოკლებულია სამკურნალო დახმარებას. დამახასიათებელია ახალქალაქის თემის სამკურნალო პუნქტის პასუხი: „ავად რომ გახდით, ჩამოდით და მუქთად გიწამლებთო". ავადმყოფმა 15 ვერსი უნდა გაიაროს პუნქტამდე. სოფელი კი საშინელ ციებ-ცხელებიანია. ამ სოფელში მუშაობს კომუჯრედი, რომელშიაც არი 4 ძველი წევრი და 7 ახლათ ჩაწერილი კანდიდატი. უჯრედის მუშაობა ნორმალურად სწარმოებს. უჯრედის მდივანი ამხ. ჯანეზაშვილი თავიანთი ყმაწვილია.

— მინდოდა კომუნ. ახალ. კავშირის დაარსება, ბევრია მსურველი მაგრამ...

— მაგრამ რა?

— ახალქალაქიდან არ მოდის ამხანაგი ორგანიზატორი. ერთი თვე იქნება ვწერ, მაგრამ ალბად, ადგილიდან დაძვრა უმძიმს.

ახალქალაქის სამაზრო კომიტეტმა ყურები გამოიბერტყე.

ზეციური საქმეები როგორ

—სოფელში ეკლესია არ არის იყო, მაგრამ აგერ, შეხედეთ. მივიხედეთ ეკლესიის ადგილას სვეტები დარჩენილა, ტრაპეზი კი გადარჩენილა. ბევრი დედაკაცები მაინც დაიარებიან. მიწის ძვრის დროს ღმერთმა აღარც თავისი სახლი დაინდო, ალბად იმისთვის, რომ ვერ ვიყავით კარგი მორწმუნენიო"-ამბობენ გლეხები.

მოგვიყვანეთ ამხ. ლექტორები ბუნებისმეტყველებისა.

დავპირდით, ჩვენ მივუტანეთ გაზეთები და ქართული წიგნები. მოლაპარაკების შემდეგ გადავწყვიტეთ: 1) შაბათს 1 სექტემბერს მოვიდეთ ამ სოფელში გავმართოთ უჯრედის სხდომა და იმ დროისათვის სპეციალურად დავძრათ ახალქალაქიდან კომ. ახალ. კავშირის სამაზრო ორგანიზატორი და ქალაქის უჯრედის წარმომადგენლებთან ერთად, დავაარსოთ კომუნისტური ახალგაზრდობის ჯგუფი. უჯრედების გაერთიანებულ სხდომაზე შემუშავდეს საერთო ყრილობისათვის დღის წესრიგი და სოფლის ყრილობა გაიმართოს 2 სექტემბერს. 2) კვირას, მიტინგის შემდეგ ადგილობრივი მცხოვრებლებით მოეწყოს ექსკურსია უფლისციხის გამოქვაბულში.

ამის შემდეგ გულთბილად გამოვეთხოვეთ და წამოვედით ტფილისისკენ.

საქართველოს მენშევიკური პარტიის ლიკვიდაცია

ყოფ. მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობა*)

პირველი სხდომა

(25 აგვისტოს, საღამოს)

კრება იხსნება სრულ 7 საათზე. მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს.

ყრილობის გახსნა. ამხ. ფარნიევის სიტყვა.

ფარნიევი. ამხანაგებო, დღეს აქ ყოფ. მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობაზე თავმოყრილია საქართველოს ყველა მაზრების წარმომადგენელნი. ჩვენ დღეს ვართ გადმოგზავნილი კონფერენციებისაგან იმ დადგენილების დასადასტურებლად, რომელიც იყო ადგილობრივ კონფერენციებზე გამოტანილი. იშვიათია, ამხანაგებო, ისტორიაში ასეთი საპასუხისმგებლო ნაბიჯის გადადგმა. ჩვენ, საქართველოს მშრომელმა ხალხმა, რომელიც ათეულ წლების განმავლობაში ვიბრძოდით შრომის განთავისუფლებისათვის, მრავალი სხვადასხვა გზა გაგვივლია; ის ტაქტიკა, რომელსაც ვიზიარებდით, რომელიც დღემდის სწორად მიგვაჩნდა, აი ეს ჩვენ, ყველა მაზრების და ქალაქების კონფერენციებზე დავიწუნეთ. და ამ დიად საქმისათვის გაბედულად მოვედით აქ. ჩვენი მოვალეობის შესრულება ეს პატარა გამბედაობა არ არის, და ამ გამბედაობისაკენ მოგიწოდებთ სრულიად საქართველოს ყრილობის მომწვევი საინიციატივო ბიუროს სახელით და ვაცხადებთ გახსნილად სრულიად საქართველოს ყოფ. მენშევიკების ყრილობას.

სანამ პრეზიდიუმს ავირჩევდეთ, აქ არის ფოტოგრაფი, რომელიც გადიღებს სურათს. ეს რამდენიმე წუთის საქმეა და გთხოვთ, რომ სიწყნარე დაიცვათ ან ცოტათ შელამაზდეთ, რომ კოხტად გამოხვიდეთ სურათში. გთხოვთ დაწყნარდეთ, რომ უკეთესად გამოხვიდეთ. (იღებენ სურათს).

პრეზიდიუმისა და კომისიების არჩევნები.

ამხ. ფარნიევი. ამხანაგებო, საინიციატივო ბიუროს საჭიროთ მიაჩნია არჩეულ იქნას პრეზიდიუმი, სამანდატო კომისია, სამდივნო კომისია და სარედაქციო კომისია. ამისათვის გთხოვთ დაასახელოთ კანდიდატები.

ვარდოიანი. ჩვენ, ადგილობრივ დელეგატებთან შეთანხმებით და მოლაპარაკებით შევადგინეთ სია.

პრეზიდიუმში შედიან: (კითხულობს) ფარნიევი ალ., ვ. სიხარულიძე (ტფილისი), ისიდორე თელია (სამეგრელო), ნესტორ ქერქაშვილი (გორი), თეიმურაზ ჭუმბურიძე (ქუთაისი), გოგიბერიძე კალინიკე (გურია), [illegible] (ქუთაისი), რუხაძე არჩილ (ტფილისი), გოგიბერიძე სიმონ ([illegible]), მაჭავარიანი ვასილ (შორაპნის მაზრა), ვაჭარაძე ნ. (ტფილისი), ქუნია აკ. (ტფილისი), ჯნოევი პეტრე (ტფილისი), ვარდოიანი გიორგი (ბორჯომი) თადოშვილი (ტფილისი), ჩოჩია ოლღა (სენაკი) [illegible] ალ. (ტფილისი), მიქირტუმოვი ბაგრატ (ტფილისი), ზერეკიანი ნ. (კახეთი). [illegible] (დუშეთი), სულიმაშვილი (ბორჩალო).

სამდივნოში: კვიცარიძე, თალაკვაძე და ანთიძე.

სარედაქციო კომისიაში: რუხაძე არჩილ, ქუნია აკაკი და ვარდოიანი გიორგი.

სამანდატო კომისიაში. ჩლაიძე, კაიტაძიანი, ნავროზაშვილი, ჯიბლაძე, ისეზუა, შარაშიძე, მახარაძე, ლუკაშევიჩი და რუხაძე.

ამხ. ფარნიევი. ამხანაგებო, თუ გაქვთ ვისმეს სხვა სია. (ხმები ადგილიდან - არ არის, არ არის). გაქვთ ვინმე თქვენგანს რაიმე დამატება, ან გჭირდებათ ვინმე კანდიდატი თუ არა? („არ არის“—ხმები).

დელეგატი—ადგილიდან: საინიციატივო ბიურო საჭიროა შევიდეს პრეზიდიუმში. (ხმები—შესულია და ეს არის).

ამხ. ფარნიევი. ვინაიდან სხვა სია არ არის, არ არის ლაპარაკი კანდიდატების შესახებაც, კენჭს უყრი წაკითხულ სიას. ვინ არის მომხრე. ვინ არის წინააღმდეგი. თავს ვინ იკავებს (ერთხმად არის მიღებული). სამდივნოში სამი კაცია. ვინ არის მომხრე, ვინ არის წინააღმდეგი (მიღებულია ერთხმად). სარედაქციო კომისიაში (კითხულობს) მიღებულია, სამანდატო კომისიაში 9 კაცია, გვარები უკვე იცით, ვინ არის მომხრე (მიღებულია) უყრი კენჭს მთლად სიას, რომელიც იყო აქ წაკითხული (ერთხმად არის მიღებული). ამხანაგებო, მე წავიკითხავ აქ მიღებულ სიას და ვთხოვთ დასახელებულ პირთ აქ გამოვიდნენ და დაიკავონ თავიანთი ადგილი (კითხულობს სიას, და კომისიის და პრეზიდიუმის წევრები იჭერენ ადგილს). რაც შეეხება სამანდატო კომისიის წევრებს, მათი დაძახება საჭირო არ არის, ვინაიდან ისინი თავის-თავად შეუდგებიან მუშაობას. საპატიო თავმჯდომარეების დასასახელებლად სიტყვა ეკუთვნის ამხ. რუხაძეს.

საპატიო თავმჯდომარეები.

რუხაძე. ამხანაგებო, აქ სიტყვა არ არის საჭირო. არის მხოლოდ წინადადება, რომ საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულნი იყვნენ შემდეგი ამხანაგები: ლენინი, ზინოვიევი, ტროცკი, ჯუღაშვილი, ცხაკაია, მახარაძე, მარტინოვი, სულ 7 კაცია (ტაში, მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს).

ადგილიდან დელეგატი თოპაძე: შეიძლება დამატების შეტანა (როგორ არა) მე მგონია, საჭიროა მაგათ დაუმატოთ ამხანაგი ლადო დუმბაძე, როგორც ასოთ-ამწყობის წარმომადგენელი, რომელიც მუშებს უყვართ.

ამხ. ფარნიევი. მაშასადამე, არის წამოყენებული დამატებით შემდეგნი: დუმბაძე და არაქელა. ამათ წინააღმდეგ, მე მგონი, არავინ არ იქნება. (ერთხმად არიან მიღებულნი). ვინაიდან ამ სხდომაზე მხოლოდ ორი ამხანაგი სჩანს, ჯერ-ჯერობით, ფილიპე მახარაძე და მარტინოვი,—ვთხოვთ ამხ. ფილიპეს დაიკავოს პრეზიდიუმში ადგილი (ტაში).

სანამ პრეზიდიუმის წესრიგს გაგაცნობდეთ, არის წასაკითხი ორი დეპეშა. ამას მოგახსენებთ ამხ. რუხაძე.

(ამ დროს ფილიპე მახარაძე გამოჩნდება სცენაზე. კრება ხელ-ახლად ტაშით ეგებება).

რუხაძე. ამხანაგებო, დეპეშა რუსულ ენაზე არის, ნება მიბოძეთ წაგიკითხოთ ასე, და მერე გადაგითარგმნით ქართულად. (კითხულობს რუსულად და მერე თარგმნის ქართულად).

ბერლინი. 23 აგვისტო. სოციალ-დემოკრატიულ დამოუკიდებელ პარტიის მუშა-წევრებისადმი მიმართვაში, გერმანიის კომპარტიის ბერლინის ბიურო, მოუწოდებს მუშებს გადავიდენ კომპარტიის რიგებში, რომელიც არის ერთად-ერთი რევოლიუციონური პროლეტარული პარტია, მოწოდება სოციალ-დემოკრატებს „მოღალატურ პარტიას“ უწოდებს, დამოუკიდებელთ კი—არსებობის უნარს მოკლებულს.

ბერლინი. 23 აგვისტო. გრძელდება გერმანიის კომპარტიაში ახალი წევრების შესვლა, გადადიან უმთავრესად გაერთიანებულ სოციალ დემოკრატიულ პარტიის საოლქო სექციებიდან და დამოუკიდებელ სოციალისტების პარტიიდან. შემდეგ კომუნისტების მხარეზე გადავიდა ცნობილი სოციალ-დემოკრატი ჰანს შტეინი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ფაბრიკა-ქარხნების მოძრაობაში. მასთან ერთად გადავიდა 8 სოც. დემოკრატი მუშა, რომელნიც ხსნიან თავის გადასვლას გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პოლიტიკით, რომელიც ეწინააღმდეგება მუშების ინტერესებს, აგრეთვე სოციალ-დემოკრატების მთავრობაში მონაწილეობით.

ახლად გაკომუნისტებულები უწოდებენ გერმანიის კომპარტიას მარქსისტულ [illegible] ერთად-ერთ პოლიტიკურ [illegible]. კომპარტიის საშუალო—რეინის ოლქის ორგანიზაციის წევრთა პარტიტაგში გამოირკვა, რომ [illegible] ტიის სექციის წევრთა რიცხვი ამ უკანასკნელ ნახევარი წლის განმავლობაში გაორკეცდა.

ასე, რომ, ამხანაგებო, იმ რღვევას და დაშლას, რომელსაც აქ ჩვენ ვხედავთ, იქაც, გერმანიაში აქვს ადგილი. ასეთი მოვლენები ხდება და სოც.-დემ. პარტიიდან და დამოუკიდებელ პარტიადან გამოდიან ძველი მუშები, ძველი წევრები და გადადიან კომუნისტურ პარტიაში.

ამხ. ფარნიევი. ამხანაგებო თქვენ მოისმინეთ დეპეშები. მე მგონია პრეზიდიუმს მივანდობთ ყრილობის სახელით გაუგზავნოს მისალმება გერმანიის სოციალ-დემოკრატიის იმ ფრთას, რომელიც, როგორც ჩვენ, აუხვია გვერდი მეორე ინტერნაციონალს და დაადგა პროლეტარიატის დიქტატურის პლატფორმაზე, მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

ამხანაგებო, მე მგონია მეტი არ იქნება, რომ ვთქვა, რომ ჩვენმა მოწოდებამ, რომელიც იყო მიმართული საერთაშორისო პროლეტარიატისადმი ტფილისის საქალაქო კონფერენციის მიერ და რომელიც უკვე გამოქვეყნებული იყო გერმანიის პრესაში, უკვე გამოიღო ნაყოფი და ჩვენც ალბად ისევ, გამოვეხმაურებით იმ ამხანაგებს, რომლებიც დაადგენ იმ გზას, რომელზედაც ჩვენ დავდექით. გაუმარჯოს გერმანიის გამოფხიზლებულ მუშებს, გაუმარჯოს მათ მიზანს, გაუმარჯოს ინტერნაციონალს. (ტაში და მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს).

ერთი მისასალმებელი დეპეშა არის, და მას წავიკითხავთ შემდეგ. არის ერთი ჯგუფის პოლიტიკურ ტუსაღების მომართვა და მისალმება კონფერენციისადმი. დანარჩენი მომართვები და შემდეგ ყველა მისალმებანი პრეზიდიუმმა გადაეცეს და ყრილობის ბოლოს მოგახსენებთ ყველას.

რუხაძე (კითხულობს ქვემო ჭალის თემის მომართვას კონფერენციისადმი). ამხანაგებო, შემოვიდა პრეზიდიუმში დეკლარაცია პოლიტიკურ პატიმართა ერთი ჯგუფისა, რომელსაც ხელს აწერს 23 ამხანაგი (კითხულობს დეკლარაციას და სიას).

ამხ. ფარნიევი: მისასალმებელი სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ხვიჩიას.

ყოფ. პოლიტიკურ ტუსაღების მოსვლა ყრილობაზე.

ხვიჩია: პატივცემულო ამხანაგებო, (ხმები: წინ წამოდით, თუ შეიძლებოდეს) პირველ ყოვლისა მე ბედნიერათ ვსთვლი ჩემს თავს, რომ დღეს ასე დიდებულ აქტის დროს, ყველა ჩემი ძველ ამხანაგებს, რომელთანაც ერთად ჭირი და ლხინი გამიცდია ყველას იმათ აქა ვხედავ. გარდა ამისა მიიღეთ გულწრფელი სალამი იმ ამხანაგებისა, რომელნიც დღეს ერთად მოედით აქ მეორე გამასწორებელ სახლის საპატიმროდან. მე, როგორც დღეს აქ მოსულს, შესაძლებელია ბევრი მქონებოდა სათქმელი, ბევრს ვეტყოდით ჩვენს წარსულზე და აწმყოზე, ბევრი შეგვეძლო ლაპარაკი მომავალზე, მაგრამ შვიდი თვის ტყვეობის გამო საშინელი სისუსტე არ მაძლევს საშუალებას გითხრათ ყოველივე ის, რაც გულში მაქვს. თქვენ დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ერთი პირველ ინიციატორთაგანი, რომელთაც განიზრახეს, რომ ეს ორი მოძმე პარტიები შეერთებულიყვენ, მეც ვიყავი და ეს იციან ჩვენმა ძველმა ამხანაგებმა, კომუნისტებმა. ეს იყო 1917 წელში, როდესაც ჩვენი პარტია ორად სკდებოდა და მეც როგორც მუშა, იმავე დროს ჩემი გული შუაზე მისკდებოდა იმიტომ, რომ ეს ორი ძმა, რომელნიც სამი ათეული წლები ერთად იბრძოდენ საერთო მტრის წინააღმდეგ. საუბედუროდ ჩვენდა, მუშათა საუბედუროთ, დაიწყო; ეს მიკლავდა გულს, რომ ამხანაგები არ დავშორებულიყავით და საერთო ფრონტი არ დაშლილიყო. მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ფაქტი მოხდა, ამას ჩვენც ვხედავთ და დღეს კი ჩვენი სურვილია და ეს გულწრფელი სურვილია, როდესაც მე ვხედავ ამ ვრცელ აუდიტორიაში იმ ამხანაგებს, რომელთაც ჩვენთან ერთად განიცადეს ჭირი და ლხინი, მე მოხარული ვარ, ვუსურვებ მათ გამარჯვებას. მაშ გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატს, გაუმარჯოს სოციალიზმს (ტაში).

ყრილობის დღის წესრიგი.

ამხ. ფარნიევი. თუ თქვენი სურვილიც იქნება ამიერიდან ყოველივე განცხადება და მისალმება ყრილობისადმი გადაეცემა პრეზიდიუმს და ის მოგახსენებთ ყრილობის ბოლოს.

დღიურ წესრიგში **პირველი** კითხვა არის მარტინოვის მოხსენება „კაპიტალისტურ ევროპის დაშლა და კომუნისტური ინტერნაციონალი“. **მეორე** საკითხი — „საქართველოს სოც.-დემ. ტაქტიკა და პარტიის თვითლიკვიდაცია“. **მესამე**—„ეროვნული საკითხი“ რუხაძის მოხსენება, **მეოთხე** — „საბჭოთა აღმშენებლობა“. **მეხუთე**—დეკლარაციები და წაკითხვა ყველა რეზოლიუციებისა და მიმართვებისა, რომელიც იქნება წარმოდგენილი და ერთად თავმოყრილი. **მეექვსე**—მიმდინარე საქმეები. გაქვთ თუ არა რაიმე საკითხები.

დელეგატი ადგილიდან,—ვინაიდან სოც. დემოკრატიული ორგანიზაცია ახდენს ლიკვიდაციას უნდა განვიხილოთ საკითხი და [illegible] რა უნდა ქნას ახალგაზრდა მარქსისტულმა ორგანიზაციამ.

ამხ. ფარნიევი. რამდენადაც ვიცი არსებობს ბიუროები ყოფ. ახალ-[illegible] მოაწყობენ ახლო-მომავალში კონფერენციებს ადგილობრივ და შემდეგ მოიწვევენ ყრილობას. მე მგონია, ამის შესახებ ლაპარაკი აქ უადგილო იქნება. საქმე დაწყებულია, მეტი რაღა უნდა უყოთ.

ხმა ადგილიდან—„თქვენი გარკვეული გზა“.

ამხ. ფარნიევი. ჩვენი გარკვეული გზა არის პარტიის თვითლიკვიდაცია. აი ჩვენი გზა. (ტაში). ვთხოვ არა დელეგატებს ხელს ნუ შეგვიშლით. ჩვენ გვაქვს საქმიანი სხდომა და თუ ვისმეს ექნება შეკითხვა, საქმის შინაარსით გამოწვეული, ჩვენ მივიღებთ, განვიხილავთ და ვთხოვ ზევით ქანდარას ხელს ნუ შეგვიშლის. გაქვთ თუ არა რაიმე დასამატებელი. შეიძლება გსურდეთ კითხვების გადასმა (არა). მაშასადამე, დღიური წესრიგი იმ სახით, როგორც წაკითხულია, მიღებულად უნდა ჩავთვალოთ.

დელეგატი (ადგილიდან) შევიტანოთ საკითხი პოლიტიკურ პატიმრების შესახებ.

ამხ. ფარნიევი. ეს იქნება მაშინ, როდესაც დეკლარაციას წარმოგიდგენთ. იქ იქნება პოლიტიკური და არა პოლიტიკურ პატიმრების შესახებ. არავითარი ახალი წინადადება არ არის. მაშასადამე, დღიური წესრიგი უნდა დავამტკიცოთ. ვინ არის მომხრე წაკითხული წესრიგისა. ვინ არის წინააღმდეგი. ვინ იკავებს თავს. (ერთმა შეიკავა თავი). ერთი იკავებს თავს, ეგება ის დელეგატი არ არის. (ადგილიდან - ხმა: არ შეიძლება დელეგატი ვიყვე და თავი შევიკავო). მაშასადამე, დღიური წესრიგი მიღებულია. ეხლა გადავიდეთ რეგლამენტზე, მომხსენებელს ეძლევა ერთი საათი მოხსენებისათვის. საბოლოო სიტყვისათვის ოცი წუთი; მოლაპარაკეს—პირველად ეძლევა 15 წუთი, მეორედ—6 წუთი. პირადი განცხადებისთვის—თვითეულ ორატორს ეძლევა სამი წუთი კრების ბოლოს. აი ის რეგლამენტი, რომელსაც პრეზიდიუმი გირდგენთ. ახლა თქვენ იცით, თუ გაქვთ რაიმე ცვლილება. მომხსენებელი — ერთი საათი. გაქვთ დამატება? (ხმები—„მისაღებია“. მომხსენებელს მიეცეს განუსაზღვრელი დრო“). მაშასადამე არის სამი წინადადება: მომხსენებელს მიეცეს—ერთი საათი, ორი საათი, და არ განესაზღვროს დრო. ვინ არის მომხრე, რომ ერთი საათი მიეცეს დრო. ვინ არის მომხრე გთხოვთ დათვალოთ, ვინ არის მომხრე ორი საათისა. მაშასადამე, ამხანაგებო, ხმის უმრავლესობით მიღებულია მომხსენებლისათვის ერთი საათი. შემდეგ მომხსენებელს საბოლოო სიტყვისათვის ეძლევა 20 წუთი. (მისაღებია; ათი წუთი.—ხმები). ორი წინადადებაა: მომხსენებელს ორატორების საპასუხოდ ეძლევა 20 წუთი, ეს პირველი წინადადება; მეორე—10 წუთი ვინ არის მომხრე 10 წუთისა. უმრავლესობა. ორატორებს ეძლევათ პირველად 15 და მეორედ 10 წუთი ვივ არის ამის მომხრე. (ხმები—ცოტაა, მისაღებია, პირველად ნახევარი საათი, მეორედ 20 წუთი). უყრი კენჭს ამ უკანასკნელ წინადადებას, რომ ორატორებს მიეცეთ პირველად 30 წუთი, მეორედ 20 წუთი. მიღებულია. პირადი განცხადებისათვის ორატორს ეძლევა 3 წუთი. (ხმები—5 წ.). უყრი კენჭს, ვინ არის მომხრე სამი წუთისა. ვინ არის მომხრე 5 წუთისა. მიღებულია 5 წუთი. ეხლა მარტინოვის მოხსენების შესახებ. ვინაიდან მისი მოხსენება ვრცელია, შევეკითხოთ მას, რამდენი დრო ეყოფა. (ხმა—განუსაზღვრელი მივცეთ). განუსაზღვრელი არაფერია ქვეყნიერებაზე. (რუსულად ეკითხება მარტინოვს). მარტინოვი აცხადებს, რომ მას ეყოფა ორი საათი. მე მგონია, მივიღოთ ასე. მაშასადამე, რეგლამენტი მიღებულია. ეხლა სხდომების დაწყების და დაბოლოვების შესახებ. წინადადება არის ასეთი: 6 საათზე იხსნებოდეს და თავდებოდეს 10 ს. საღამოს სხდომები. მაგრამ, ვინაიდან ხვალ კვირა არის, ყველა მოცლილია, ამიტომ ხვალ დილასაც იქნება კრება. წინადადება—10 ს. დავიწყოთ და დავამთავროთ 2-ზე. (ხმები—10 დავიწყოთ და სამზე დავათავოთ; 9 საათზე დავიწყოთ) მაშ, უყრი კენჭს ასე: ერთი წინადადება—10 დან 3-მდე; მეორე 9-დან 2-მდე. (ხმა ადგილიდან—8 დან 2-მდე; 5-დან 8-მდე). ოთხი წინადადებაა: ვინ არის მომხრე 9-დან 2 მდე; 10 დან 3-მდე. 10-დან 2-მდე. გასულია 10-დან 2-მდე (ხმა ადგილიდან: ვერ დაითვალეთ რიგიანათ). პრეზიდიუმი თქვენი არჩეულია, და თუ იმდენი ნდობა არა გაქვთ, რომ დაგვიჯეროთ—ეს თქვენი საქმეა. მაშასადამე, არის მიღებული ეს წინადება: საღამოს 6-დან 10-მდე. ხვალ დილით 10 დან 2-მდე. ეს დაიმახსოვრეთ ყველამ. ხვალ საღამოთაც იქნება სხდომა. ამხანაგებო, თუ რაიმე ცვლილებანი იქნება სხდომების შესახებ, ამას მოგახსენებთ. ჯერ-ჯერობით კი სხდომები აქ იქნება. სიტყვა ეძლევა მოხსენებისათვის ამხ. მარტინოვს *)

ამხ. ფარნიევი. (მარტინოვის მოხსენების შემდეგ)

ამხანაგებო, თუ ვისმე გაქვთ რაიმე შეკითხვები, გთხოვთ წერილობით შემოიტანოთ. [illegible] არის თუ არა საჭირო, რომ ამხანაგ მარტინოვის მოხსენება იქნეს გადათარგმნილი ქართულად (ხმები: არ-ს, [illegible] უყრი: ვინ არის მომხრე, რომ მოხსენება [illegible] თარგმნილი. როგორც ვხედავთ ძლიერ ცოტაა მსურველი. რა თქმა უნდა მოხსენება იქნება დაბეჭდილი: და ალბად გადათარგმნილიც ამ ყრილობის დამთავრების შემდეგ.

ეხლა, თუ რაიმე შეკითხვები გაქვთ, გთხოვთ წერილობით წარმოადგინოთ (ხმები: არ არის) ეგება ვისმეს სურს კამათი. სიტყვა თუ უნდა ვისმეს. ამხანაგებო არის შემოსული ერთი შეკითხვა. მაგრამ მე მგონია ამ შეკითხვის ავტორს ეძინა მაგრათ, მას არ გაუგია რაზე იყო აქ ლაპარაკი. (ხმები: წაგვიკითხეთ) ამხანაგებო, ჩვენ არ წავიკითხავთ ისეთ შეკითხვებს, რომლებსაც არა აქვს პოლიტიკური ხასიათის შინაარსი, არა აქვს საქმესთან კავშირი, ჩვენ კრებასთან და მოხსენებასთან (ხმაურობა) თუ ვისმეს გნებავთ მისი შინაარსის გაგება, მობრძანდით და წაიკითხეთ (ხმაურობა) ამხანაგებო, გთხოვთ ნუ ალაპარაკდებით. თუ ვისმეს აქვს კიდევ შეკითხვები გთხოვთ წარმოადგინოთ. სანამ ამხ. მარტინოვი მოვიდოდეს გთხოვთ მოითმინოთ. მოვა მომხსენებელი და გაგცემსთ პასუხს (მარტინოვი მოდის და შეკითხვაზე პასუხს აძლევს რუსულათ). *).

ამხ. ფარნიევი (მარტინოვის შემდეგ) ამხანაგებო, არსებითად თუ გინდათ ვისმე ილაპარაკოთ მოხსენების შესახებ, გთხოვთ შემოიტანოთ წერილობითი განცხადება.

(დელეგატი ლაპარაკობს რუსულათ).

ამხ. ფარნიევი პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ ყოველი მოხსენების ირგვლივ იყოს კამათი მოხსენების შესახებ. ასე, რომ გადაბმა ამ ერთი მოხსენების მეორესთან, შეუძლებელია. ამას გარდა, ამხანაგებო, ჩვენი დადგენილების თანახმად სხდომა უნდა დაიხუროს 10 საათზე, მაგრამ 10-ს აკლია 20 წუთი. როგორ გნებავთ (ხმები: არა უშავს რა) მეორე მოხსენება რომ დავიწყოთ, 20 წუთს ვერ მოთავდება. (ხმები: დაიხუროს). ამხანაგებო, სამანდატო კომისიის წინადადება არის, რომ ყველამ, ვინც მიიღო, (და ვისაც არ მიუღია, მიიღებს) შეავსოთ საანკეტო ფურცლები და ხვალ კრებას წარმოუდგინოთ.

ამხ. რუხაძე. ამ ანკეტებს ვავსებთ იმიტომ, რომ ვიცოდეთ ჩვენი ყრილობის შემადგენლობა, რა სტაჟი აქვს დელეგატებს, რა მონაწილეობა მიუღიათ მათ რევოლიუციონურ ბრძოლაში, ამას ჩვენი ყრილობისათვის აქვს დიდი მნიშვნელობა და ასეთ ანკეტებს ვავსებთ ყოველთვის, სადაც ხდება ასეთი ყრილობები. აი ჰკითხეთ თუნდ ამხ. ნოე დოლიძეს, მას ახსოვს, რომ ასეთ ანკეტებს ვავსებდით რკინის გზელთა ყრილობებზე, რომ გამოგვერკვია ყრილობის შემადგენლობა. ამისათვის არის საჭირო ამ ანკეტების შევსება.

დელეგატი ადგილიდან. ანკეტები ჩვენ უკვე სამაზრო კონფერენციებზე შევავსეთ. საჭიროა თუ არა ეხლა ხელახლად შევსება.

ამხ. ფარნიევი: აქ, ამხანაგებო, სალაპარაკო არა არის რა. ადგილობრივაც შეავსეთ, და აქაც უნდა შეავსოთ. ჩვენ დღიურ წესრიგში არ გვიდგა საკითხი ანკეტის ფურცლების შესახებ. და ამიტომ ამაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. არის წინადადება სამანდატო კომისიისა: რომ ეს [illegible] იმისთვის, რომ ჩვენ ვიცოდეთ ყრილობის შემადგენლობა, მისი წარსული და აწმყო, და ყველა ეს ანკეტებში არის ჩამოყალიბებული და უნდა შეევსოთ. ეს საკამათო არ არის, იქონიეთ ეს საქმეში და შეავსეთ ანკეტები. ეხლა, ვინაიდან მეორე საკითხზე ვერ გადავალთ, გვიან არის, ამიტომ სხდომას დახურულად ვაცხადებ (სხდომა იხურება).

მეორე სხდომა

(26 აგვისტო, დილას)

ამხ. ფარნიევი: ამხანაგებო, ყრილობის მეორე სხდომას გახსნილად ვაცხადებ (ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალის ჰიმნს). ამხანაგებო, გუშინ იყო შემოსული ერთი შეკითხვა, რომელზედაც მე გითხარით, რომ მის დამწერს ალბად ეძინა. გადავხიე და აქ დავდევი. მას შემდეგ ბევრ დელეგატს ჰქონდა სურვილი, რომ ეს შეკითხვა გამოგვეცხადებია, ბევრს ეგონა, რომ ის ძალიან სერიოზული შინაარსის არის და ჩვენ დავმალეთ. რომ გაუგებრობას არ ქონდეს ადგილი, პრეზიდიუმმა დაადგინა, გამოაცხადოს ეს შეკითხვა და ამხ. მარტინოვი გაგცემთ მასზე პასუხს. (მარტინოვი ლაპარაკობს რუსულათ)

თავმჯდომარე: ამხანაგებო, ყრილობის სახელით პრეზიდიუმი გაუგზავნის ლენინს იმ მისალმებას და სიხარულს, რომელიც ჩვენ ვიგრძენით, რა რომ შევიტყვეთ მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესება და კვლავ დაბრუნება საერთაშორისო პროლეტარიატის საქმის საკეთებლად.

(მარტინოვი ლაპარაკობს რუსულად).

ამხ. ფარნიევი: სიტყვა ეკუთვნის ამხ. ჭუმბურიძეს.

ამხ. თეიმურაზ ჭუმბურიძის მოხსენება

(საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკა და პარტიის თვითლიკვიდაცია)

ამხ.! უკანასკნელი ათეული წლის ისტორია ორ დიდ მოვლენას უჭირავს. ეს მოვლენებია—იმპერიალისტური ომი და ოქტომბრის რევოლიუცია. ეს ორი დიდი მოვლენა უდიდესი სიჩქარით ამოძრავებს ისტორიულ ჩარხს აუცილებლობის ღრმა გარდატეხისაკენ—მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციისაკენ.

მსოფლიო ომი და კაპიტალისტური ცივილიზაციის დაშლა.

მსოფლიო ომმა საშინელი ქექა-ქუხილით გადაირბინა კაცობრიობის თავზე; ამ გამანადგურებელმა ქარიშხალმა ძირიან ბუდიანათ შესძრა დასავლეთის კაპიტალისტური ცივილიზაციის ამაყი შენობა; მან საშინელი უფსკრული გათხარა ევროპის ცხოვრების ორ ხანას შორის—ომის წინა დროსა და ომის შემდეგ ხანას შორის.

ასე, რომ ჩვენი ეპოქა დიამეტრალურად უპირდაპირდება ომის წინა ეპოქას. ჩვენი ეპოქა წარმოადგენს უდიდესი რღვევისა, ღრმა სოციალური კატასტროფისა და მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდაქმნის ხანას. ის საერთაშორისო მოვლენები, რომლებიც ჩვენს თვალწინ მთელი თავისი მრავალფეროვანებით იშლებიან, აუცილებლათ მოასწავებენ კაპიტალისტური წესწყობილების ავი, უკურნებელი სენით შეპყრობილი ორგანიზმის დაშლას.

და როდესაც ჩვენ ვსვამთ კითხვას კაპიტალისტური სისტემის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, თანამედროვე ხანა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ამ სისტემის დაშლის პერიოდი.

ის ღრმა, უჩვეულო კრიზისი, რომელიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში თავს დაატყდა კაპიტალისტურ მეურნეობას, არ არის ჩვეულებრივი კრიზისი (ზედმეტი საქონლის დამზადებით გამოწვეული), რომელიც კაპიტალიზმმა რამდენჯერმე განიცადა დღიდან თავის წარმოშობისა და რომელიც განსაკუთრებით ამ ასი წლის განმავლობაში პერიოდულათ ეწვეოდა ხოლმე მსოფლიო მეურნეობას. უმუშევრათ დარჩენილია რამდენიმე მილიონი მუშა, წარმოების საშუალებანი უმოქმედოდ დგობენ, თუმცა ადამიანები სხვადასხვა საქონლის დიდ საჭიროებას განიცდიან. საქსოვი ფაბრიკები გაჩერებულია მაშინ, როდესაც ადამიანები ძონძებში არიან გახვეული.

სრული უაზრობა კაპიტალისტური წარმოებისა, რომელიც მიმართულია არა ადამიანთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, არამედ ერთი მუჭა კაპიტალისტებისთვის მოგების მოსაპოებლათ, ერთხელ კიდევ მთელი თავისი სიმწვავით მხილდება.

ჩვენ ავღნიშნავთ ამ უჩვეულო კრიზისს და მიუთითებთ იმ გარემოებაზე, რომ თანამედროვე კრიზისი არ წარმოადგენს წინადელი კრიზისის მზგავს გარდამავალ მოვლენას, როგორც ამას ბურჟუაზიული იდეოლოგიის წარმომადგენელთა უმრავლესობა და სოც.-დემოკრატები ამტკიცებენ, არამედ იგი წარმოადგენს კაპიტალისტური წესწყობილების სრული დარღვევის მომასწავებელ მოვლენას. მაგრამ არც თვით ზოგიერთ ბურჟუაზიულ მოაზრეს სწამს ის, რომ ეს კრიზისი ჩვეულებრივათ ჩატარდება.

ერთი წმინდა ბურჟუაზიული თანამედროვე ეკონომისტი პირდაპირ ამბობს, რომ „ამ კრიზისის დასასრული იქნება მთელი საზოგადოებრივი წესწყობილების დაშლა, რომელიც კრიზისის მსვლელობისა და მასების ტემპერამენტის მიხედვით ზოგიერთ ქვეყანაში ადრე მოხდება და ზოგიერთში-კი გვიან. მაგრამ ბოლოს და ბოლოს სოციალური რევოლიუცია ყველგან იფეთქებს“-ო.

მეორე ინტერნაციონალის მესვეურებმა და მათ ფრთებ ქვეშ შეფარებულმა ყველა ქვეყნის რეფორმისტებმა დაკვირვებით უნდა წაიკითხონ და კარგათ ჩაუფიქრდენ ამ ბურჟუაზიული ეკონომისტის სიტყვებს, რომ შესაფერათ დააფასონ თანამედროვე ისტორიული მომენტი.

თანამედროვე სამეურნეო კრიზისი, რომელიც შავი აჩრდილივით თავს დასტრიალებს კაპიტალისტურ ქვეყანას, არის იმ ცვლილების შედეგი, რომელიც მოხდა მსოფლიო მეურნეობაში უკანასკნელი დიდი იმპერიალისტური ომის დროს.

ამბობენ, რომ მსოფლიო ომი მოასწავებდა „დასასრულის დასაწყისს, წინააღმდეგობათა აფეთქებასო“. მართლაც უკანასკნელმა ომმა საბედისწეროთ შეაჯახა ერთმანეთს კაპიტალისტურ საზოგადოებაში დაბუდებული წინააღმდეგობანი, რომლიდანაც უკვე კაპიტალს აღარ ძალუძს თავის დაღწევა და რომელიც მას უფსკრულისაკენ მიაქანებს.

იმპერიალისტურმა ომმა გამოიწვია საწარმოვო ძალების უდიდესი დაშლა; [illegible] არ გამოუდგები ამ ძირითადი ფაქტის ციფრებით დასაბუთებას. ომის დროს ის ნაკლები პროცენტიც კი, რომელიც შემცირებული წარმოებით იქმნებოდა, როგორც ცნობილია მიდიოდა უნაყოფო და უსარგებლო მიზნების, სამხედრო მიზნების შესასრულებლათ. ომამდი დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმმა დააგროვა აუარებელი სიმდიდრე და ომის დაწყებამდი ეს კაპიტალის დაგროვება გიგანტიური ნაბიჯით მიდიოდა წინ. კაპიტალისტების ხელში უამრავი სიმდიდრე იყრიდა თავს. კაპიტალიზმი თითქოს მტკიცეთ და ურყევათ იდგა. თვით მუშებიც დარწმუნებული იყვნენ ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის მოსპობის შეუძლებლობაში. მაგრამ იმ წინააღმდეგობამ, რომელიც დაბუდებულია კაპიტალისტური სისტემის არსებაში, ევროპის ქვეყნების კაპიტალისტთა ბრძოლამ სხვადასხვა საახალშენო ქვეყნების ექსპლოატაციის მონოპოლიისათვის მიიყვანა კაცობრიობა მსოფლიო ომამდი. ამ უკანასკნელმა კი ძალზე შეარყია კაპიტალიზმის ამაყათ და მტკიცეთ მდგარი შენობის საფუძვლები.

საერთო გაღატაკება ევლინება რამდენიმე წლის წინათ აყვავებულ ევროპის ქვეყნებს. საერთოთ ევროპის კონტინენტზე ქვეყნები ყველა ძალზე დაზარალდა, ყველგან დაიშალა წარმოების აპარატი. ასე რომ დღეს საერთაშორისო ეკონომიური ცხოვრების ცენტრი არის არა ევროპაში, არამედ ევროპის გარეთ შეერთებულ შტატებში, რომელმაც ყველაზე უფრო მოიგო მსოფლიო ომით. ეკონომიური ჰეგემონიის შეერთებული შტატების ხელში გადასვლა კი ჰქმნის შეურიგებლობას, ანტაგონიზმს მსოფლიო მეურნეობაში ეკონომიური პირველობისათვის შეერთებულ შტატებსა და წინანდელ მსოფლიო ეკონომიური ცხოვრების ბატონს—ინგლისს შორის, რომელიც ახალი მსოფლიო ომის დაწყებით, ახალი სისხლის ღვრით ემუქრება კაცობრიობას. ასე, რომ მთელი ომის შემდეგ, ევროპის ისტორიის ეგრედ წოდებულ ვერსალის პერიოდში, ჩვენ თვალწინ არის სურათი დაშლილი მსოფლიო მეურნეობისა. ამ ხნის განმავლობაში მსოფლიო მეურნეობა არ აღდგენილა.

უკიდურესია ამ მხრით ცენტრალური ევროპის მდგომარეობა, რომელიც საწარმოვო ძალების სრული დეზორგანიზაციის პროცესში იმყოფება.

აქ, ყველაფერი ქვევით მიექანება და დიდის სიჩქარით უახლოვდება სოციალურ კატასტროფას. განსაკუთრებით უნუგეშოა ვერსალის უღელ ქვეშ მგმნავი გერმანიის მდგომარეობა. ეს ქვეყანა ჩავარდნილია აუტანელ ეკონომიურ კრიზისში.

მშიერთა გაფიცვები ედება გერმანიის სამრეწველო ცენტრებს.

ასე, რომ გერმანია აუცილებლათ სოციალისტური რევოლიუციის წინ სდგას. მხოლოდ პროლეტარული რევოლიუცია იხსნის გერმანიას იმ აუტანელ მდგომარეობიდან, რომელშიც ის იმყოფება. სისხლიდან დაცლილი განაწამები გერმანიის პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში აღება გადასწყვეტს აგრეთვე საბოლოოთ მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ბედს.

ომმა არა თუ ხელი შეუწყო მსოფლიო მეურნეობის ორგანიზაციას, არამედ შექმნა ისეთი პირობები, რომ სრულიად დაარღვია და საფუძველი გამოუშალა მას.

ასე რომ კაპიტალისტური მეურნეობის აღდგენა შეუძლებელი ხდება და მისი დარღვევით ირღვევა მთელი მასზე აშენებული საზოგადოებრივი წესწყობილების შენობა.

ამ დიდი კრიზისის მოსპობა, ევროპის მეურნეობის აღდგინა შესაძლებელია მხოლოდ დღევანდელი წესწყობილების მოსპობით, მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალ საფუძველზე გარდაქმნით.

ამგვარათ ჩვენ დღეს აუცილებლათ დიდი ისტორიული მომენტის წინაშე ვდგევართ; ჩვენ მოწმენი ვართ დიდი ისტორიული გარდატეხისა, ჩვენ თანამედროვენი ვართ ბურჟუაზიული წესწყობილების რღვევისა და ახალი, სოციალისტური წესწყობილების მშობიარობისა.

ამიტომ სავსებით გასაგებია მრავალ ბურჟუაზიულ იდეოლოგიის მოთქმა. გოდება იმის შესახებ, რომ ევროპის მზე ესვენება, დასავლეთის ცივილიზაცია კვდებაო.

დიაღ, იხრწნება კაპიტალისტური საზოგადოების ორგანიზმი და კვდება ამ კაპიტალისტური სისტემის პიედესტალზე აგებული ცივილიზაცია, ცივილიზაცია ზარბაზნებისა, მოწამლული გაზებისა, „ბაქტერიოლოგიური ბომბებისა“ და ჩვენ გვწამს, რომ შორს არ არის ის დრო, როდესაც საბოლოოთ დაიღუპება კაპიტალისტური ცივილიზაცია, იგი დაიმარხება შორსმსროლელ ზარბაზნებით, მოწამლული გაზებით [illegible] მრავალ [illegible] გვამებ ქვეშ.

ოქტომბრის რევოლიუცია

ჩვენ დავინახეთ, რომ იმპერიალისტური ომის მსვლელობამ დღიურ წესრიგში დააყენა მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის აუცილებლობა, კაპიტალისტური წესწყობილების ლიკვიდაცია; ძალა-უფლების პროლეტარიატის მიერ ხელში აღება და პროლეტარიატის დიქტატურის რკინის ხელით ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის დარღვევა. ამ დიდი ისტორიული მომენტის მიერ დღიურ წესრიგში აუცილებლობით დაყენებული მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის კითხვის გადაწყვეტა სცადა ოქტომბრის რევოლიუციამ. ასე, რომ ოქტომბრის რევოლიუცია არ იყო შემთხვევითი მოვლენა; იგი თვით ისტორიის მიერ იყო ნაკარნახევი; მას ჰქონდა თავის ღრმა ისტორიული აუცილებლობის გამართლება. სწორეთ ამით აიხსნება ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვება; სწორეთ ამით აიხსნება ის ბევრისთვის აუხსნელი, საიდუმლოებით მოცული ფაქტი, რომ ოქტომბრის რევოლიუცია რამდენიმე კვირის შემდეგ არ დაიმხო, როგორც ფიქრობდენ მისი შეურიგებელი მტრები, როგორც ერთ დროს ამას წინასწარმეტყველებდა ირ. წერეთელი, და დღემდი განაგრძობს ის თავის ძლევამოსილ მსვლელობას. რუსეთის მუშათა კლასი მთელი ექვსი წლის განმავლობაში მტკიცედ სდგას ოქტომბრის რევოლიუციის ნიადაგზე და გმირულათ იგერიებს მთელი კაპიტალისტური ქვეყნის შემოტევას.

რუსეთის პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში აღებით დაიწყო გმირული ცდა მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის ცეცხლის დანთებისა, რომლისათვისაც იმპერიალისტურმა ომმა, როგორც ავღნიშნეთ, უკვე მოამზადა ნიადაგი. ამ მიზნით ოქტომბრის რევოლიუციის მიერ გადასროლილი იქმნა მთელ მსოფლიოში პროლეტარული რევოლიუციის დიდი ლოზუნგი. პირველათ ოქტომბრის რევოლიუციას გერმანიის პროლეტარიატი გამოეხმაურა, რომელიც საიმპერატორო მთავრობის დამხობის შემდეგ შეეცადა ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას. მაგრამ იქ ძლიერი აღმოჩნდა ნოსკე-შეიდემანის პარტია და მათი კავშირი ეროვნულ ბურჟუაზიასთან, რომელმაც სისხლში ჩაახრჩო გერმანიის პროლეტარიატის ცდა ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ.

რაკი დასავლეთში მუშათა კლასი სუსტი აღმოჩნდა ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ და ვერ შესძლო ბურჟუაზიასა და მასთან დაკავშირებული მეორე ინტერნაციონალის პარტიებთან ბრძოლა, ოქტომბრის რევოლიუცია შეეცადა გადაელახა საზღვრები, რევოლიუციონური წითელი არმია გადასულიყო დასავ. პროლეტარიატის დასახმარებლათ. რუსეთის პროლეტარიატის ამ ტიტანიური ცდის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ვერსალის ზავით ძლევამოსილი ანანტის იმპერიალისტები მთელი თავის ძალღონით წინ აღუდგენ მოსკოვის მოქმედებას და დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების ბუფერი, თავისი სამხედრო ძალებით გამაგრებული პოლონეთი, აღუმართ ეს წინ.

ამას შემდეგ საბჭოთა რუსეთმა მთელი თავისი მოქმედების ასპარეზი გადაიტანა აღმოსავლეთის ხალხებში, რომლებიც დასავლეთის იმპერიალიზმის უღელქვეშ გმინავენ. აღმოსავლეთის ხალხების გამოღვიძება, მათი ამხედრება დასავლეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ამ უკანასკნელისთვის [illegible] ძალის, აღმოსავლეთის მდიდარი ბაზრის ხელიდან გამოგლეჯა, ჩამოცილება და ამით დასავლეთის იმპერიალიზმისთვის სასიკვდილო მახვილის ჩაცემა—ასეთი იყო რუსეთის აღმოსავლეთის პოლიტიკა. ასეთი იყო ოქტომბრის რევოლიუციის ნაბიჯები მსოფლიო იმპერიალიზმის დასამხობათა და პროლეტარული რევოლიუციის დასაწყებათ გადადგმული. როდესაც აკვირდები ამ გიგანტიურ ბრძოლას კაპიტალიზმის დასამხობათ წარმოებულს, სასაცილო [illegible] ის ბრძოლება, რომელსაც ოქტომბრის რევოლიუციის [illegible] წინააღმდეგ აყენებენ [illegible] რუნდებოდნენ კაპიტალიზმს, თითქოს ისინი თავის ეკონომიური პოლიტიკით ისევ ბურჟუაზიულ წყობილებას ამკვიდრებდენ.

ოქტომბრის რევოლიუცია და მენშევიზმი.

როგორ შეხვდა ამ დიდ ისტორიულ მოვლენებს, რომელთაც საბედისწერო მნიშვნელობა მიეცათ საერთაშორისო პროლეტარიატისთვის, მენშევიზმი და მისი მსოფლიო ორგანიზაცია მეორე ინტერნაციონალი? როგორ გამოიყენა მან ის დიდი კატასტროფა კაპიტალისტური საზოგადოებისა, რომელიც იმპერიალისტურმა ომმა გამოიწვია კაპიტალიზმის საბოლოო დასამხობათ და მუშათა კლასის განთავისუფლებლათ? როგორია მენშევიზმის დამოკიდებულება ოქტომბრის რევოლიუციისადმი?

[illegible] დიდ ისტორიულ მოვლენასთან იმპერიალისტურ ომთან და ოქტომბრის რევოლიუციასთან შეხვედრამ საბოლოოთ გამოააშკარავა საერთაშორისო მენშევიზმის ბუნება; სინათლეზე გამოიტანა მისი შეთანხმებელი, რეფორმისტული მიდრეკილებანი, დაამტკიცა მენშევიზმის საბოლოოთ ჩამოცილება, [illegible] მარქსის და ენგელსის პროლეტარული მოძღვრებიდან.

დაიწყო თუ არა მსოფლიო ომი მენშევიკური ჯგუფების საერთაშორისო ორგანიზაცია—მეორე ინტერნაციონალიც დაიშალა და ამ პროლეტარიატისთვის ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტში, მისი ხმა აღარსად გაისმოდა. ისინი გაითიშენ და თავ-თავის ეროვნულ ბურჟუაზიას ამოუდგენ გვერდში. ასე, რომ, როდესაც მოქმედების დრო დადგა, როდესაც მოვიდა მომენტი კლასობრივი ბრძოლის წარმოებისა, ისინი დაადგენ შოვინისტური პოლიტიკის წარმოების გზას. ნაცვლად სამოქალაქო ომის გაჩაღებისა, ისინი ქადაგებდენ ბურჟუაზიასთან შეთანხმებულ პოლიტიკას. ყველას გვახსოვს შეიდემან-ლეგინის, ვანდერველდესი, ალბერ ტომასი, პლეხანოვის და სხვების გამოსვლა მსოფლიო ომის დროს.

მსოფლიო ომის შემდეგ დაშლილი, მკვდარი მეორე ინტერნაციონალი „აღსდგა“ იმავე კლასთა თანამშრომლობის, შეთანხმების, კოალიციის ლოზუნგებით. მაშინ, როდესაც საჭირო იყო გაერთიანებული ფრონტით შეტევა კაპიტალიზმის ციხე სიმაგრეზე, მაშინ, როდესაც ამ ციხე სიმაგრის აღება ისე ძნელი აღარ იყო, მისი კედლები უკვე შერყეული იყო, მეორე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ გაერთიანებულმა პარტიებმა მოსკოვის მიერ გადასროლილ რევოლიუციონური დიქტატურის ლოზუნგს დაუპირდაპირეს საპარლამენტო დემოკრატიის იდეა.

ყველაზე უფრო მეორე ინტერნაციონალის ტაქტიკა და იდეოლოგია გაკოტრდა გერმანიაში, სადაც მეორე ინტერნაციონალის სულის ჩამდგმელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტიკამ დაღუპვის კარამდი მიიყვანა გერმანელი ხალხი.

მენშევიზმის იდეოლოგიისა და ტაქტიკის დამარცხება.

მაგრამ გადავიდეთ რუსეთის რევოლიუციაზე, რომლის პროცესშიც საბოლოოთ დამარცხდა მენშევიკური იდეოლოგია და ტაქტიკა.

დღეს ჩვენ რევოლიუციონური გულწრფელობით უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ რუსეთის რევოლიუცია უფსკრულში გადაიჩეხებოდა, რომ იგი ეხერ მენშევიკური ტაქტიკის მიერ ნაჩვენები გზით წასულიყო და ოქტომბრის რევოლიუციას არ დაემხო ბურჟუაზიასთან შეთანხმების, კოალიციის პოლიტიკა.

ბიულეტენი

ტექნიკური დაბრკოლებების გამო ყოფ. მენშევიკების ბიულეტენი ვერ გამოდის დღეს. გამოსვლა განახლდება ზეგიდან.

---

*) სტენოგრაფიული ანგარიშები.

*) ამხ. მარტინოვის მოხსენებას მოვათავსებთ ერთ-ერთ უახლოეს №-ში მოხსენებასთან ერთად.

*) პასუხი დაიბეჭდება ამხ. მარტინოვის მოხსენებასთან ერთად.

ოქტომბრის მესვეურებმა ამ თავი- წორ თ აულეს ალლო ისტო- მენტს, მათ ადრევ გაითვა- რუსეთის რევოლიუციის იო შვნელობა. რუსეთის იუციას იმ დიდი მსოფლიო ტროფის შემდეგ, რომელიც გა- იწვია იმპერიალისტურმა ომმა, ულ სხვა როლი დააკისრა ისტორიამ. რუსეთის რევოლიუციას იმ დროს, როდესაც ძალზე შეირყა კაპიტალისტური საზოგადოების საფუძვლები, ხელში უნდა აელო მსოფლიო რევოლიუციის მესვეურობა. ასეთი როლი არგუნა მას ისტორიამ. ასეთ ისტორიულ მომენტში, როდესაც საჭირო იყო მსოფლიო რევოლიუციის მესვეურობის ხელში აღება, რუსეთის რევოლიუციის ლოღიკა აუცილებლათ მოითხოვდა დამფუძნებელი კრების გარეკას, პარლამენტარული დოგმატიზმისაგან განწმენდას და რევოლიუციონური დიქტატურის გამოცხადებას.

ამგვარათ ისინი სავსებით მართალი იყვენ, როდესაც საყოველთაო საარჩევნო სისტემა ისტორიის არქივს ჩააბარეს და დამფუძნებელი კრება გარეკეს. და განა საყოველთაო საარჩევნო სისტემის დაცვა ყოველთვის სავალდებულოა რევოლიუციონური მარქსიზმის თვალსაზრისზე მდგომი ადამიანებისათვის? მარქსი და ენგელსი (აგრეთვე ადრინდელი გ. პლეხანოვიც) ხშირათ გამოსთქვამდენ იმ აზრს, რომ ჩვენ ფეხქვეშ გავთელავთ საყოველთაო საარჩევნო სისტემას, როდესაც ამას რევოლიუციის ინტერესები მოითხოვს რევოლიუციონური მარქსიზმის. მსოფლმხედველობის მატარებელი ვერ იქნება პარლამენტის კრეტინიზმით შეპყრობილი, მისი დოგმატიური დამცველი. ბოლოს და ბოლოს რევოლიუციას არაფერი დააკლდება იმით, თუ რომელიმე სპეკულიანტი, ან ბერი მოკლებული იქნება საყოველთაო საარჩევნო უფლებას. დამფუძნებელი კრების გარეკიდან იწყება ბრძოლა ესერ მენშევიკური იდიოლოგიის მატარებელ ჯგუფებისა საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ. ეს ბრძოლა გადაიქცა რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლათ. ამ ბრძოლის დროს აღნიშნულმა ჯგუფებმა აშკარად ამოყვეს თავი კონტრ რევოლიუციის ბანაკში. ყველაზე გავლენიანი პარტია რუსეთში—ესერების პარტია ისეთ კონტრ-რევოლიუციონურ დაღმართზე დაეშვა, რომ ანტანტის იმპერიალისტებსაც კი დაუკავშირდა. ეს ფაქტი ნათელჰყო ესერების ცნობილმა პროცესმა.

ამგვარად რუსეთის რევოლიუციამ თავის მსვლელობაში გარიყა მენშევიკური იდეოლოგიის მატარებელი ჯგუფები და დღეს, რევოლიუციის მეექვსე წელიწადზე, როდესაც უკან ვიხედებით და ვათვალიერებთ განვლილ გზას, მხოლოდ სექტანტური ფანატიზმითა და ჟონიანობით დაბრმავებულ თვალებს შეუძლია ვერ დაინახოს მენშევიკური იდეოლოგიისა და ტაქტიკის დამარცხება რუსეთის რევოლიუციის პროცესში.

საქართველოს მენშევიზმი.

რაც მოხდა რუსეთში, იგივე განმეორდა საქართველოშიც. მაგრამ ის დიდი კრიზისი, რომელიც ს.-დემოკრატიულმა იდეოლოგიამ დ ტაქტიკამ განიცადა რუსეთის რევოლიუციაში, საქართველოში კიდევ უფრო გაღრმავდა ეროვნული საკითხის გამწვავებით. მენშევიკური პარტია მოექცა ვიწრო ნაციონალისტურ ჩარჩოებში და დასაბამი მისცა ნაციონალისტურ-შოვინისტურ გრძნობის გაღვივებას.

ვის არ ახსოვს ქართველი სოციალ-დემოკრატიის წარსული, მისი არსებობის ისტორიაში იმ თავითვე წითელი ძაფივით არის გატარებული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა საერთოდ კავკასიაში და კერძოთ საქართველოში. იგი ყოველთვის სოლიდარობის ხიდსა სდებდა კავკასიის ერთა შორის და ძირშივე სპობდა ყოველგვარი ნაციონალისტური ზრახვების გამომჟღავნებას იმ მხარეში, სადაც ეს ყველაზე უფრო საშიში იყო.

ნაციონალიზმის წინააღმდეგ იბრძოდა ერთ დროს ქართველი სოც.-დემოკრატიის მეთაური ნ. ჟორდანია. მას დამღუპველათ მიაჩნდა ქართველი ხალხისთვის არა თუ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღიარება, არამედ პოლიტიკური ავტონომიაც კი.

დღიდან რევოლიუციის დაწყებისა, ქართველი სოციალ-დემოკრატია და მისი მეთაური ნ. ჟორდანია მომაკვდინებელ ცოდვათ უთვლიდენ მოწინააღმდეგე პარტიებს საქართველოში ყოველგვარ გამოყოფაზე, ავტონომიაზე ლაპარაკს.

რადგან ეს ქართველ ხალხს გამოთიშავდა საერთო რევოლიუციონური ფრონტიდან.

მაშ რა მოხდა 26 მაისს?

26 მაისს სოც.-დემოკრატიული პარტიისა და მისი მესვეურების წინაშე დაისვა კითხვა ძალა-უფლების შესახებ. თუ საქართველო გაყვებოდა ოქტომბრის რევოლიუციას, მაშინ პარტიას ხელიდან უნდა გაეშვა ჰეგემონია იმ ქვეყანაში, სადაც მას ისტორიულათ ყველაზე მეტი უფლება ჰქონდა მოპოვებული. ამიტომ სოც.-დემოკრატიამ აიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების ინიციატივა და ქართველ ხალხს ზურგი აბრუნებია ოქტომბრის რევოლიუციიდან.

ამგვარათ 26 მაისი არ იყო ნაკარნახევი არც ისტორიული აუცილებლობით, იგი არც ქართველი ხალხის, არც რევოლიუციის ინტერესებიდან გამომდინარეობდა.

გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ 26 მაისი არ იქნებოდა ქართველი სოც.-დემოკრატიისათვის, თუ მას პოლიტიკას იმგვარივე გასავალი ექნებოდა რუსეთში, როგორც კერენსკი-მილიუკოვების დროს ჰქონდა. **საქართველოს მენშევიკური პარტია ნახულობდა საერთო ენას გუჩკოვ-მილიუკოვების რუსეთთან, ხოლო მას ასეთი საერთო ენა არ სურდა ეპოვა და ვერ იპოვა ოქტომბრის მესვეურებთან**

26 მაისის ისტორიული შეცდომით საქართველო მოსწყდა რუსეთს და საბედისწეროთ ჩაიჭედა აზიის კიდლებში. მან ზურგი იბრუნა რევოლიუციისაგან და იმპერიალისტური რეაქციისაკენ ჰქნა პირი. ამ დროიდან დაწყებული თითქმის მთელი სამი წლის განმავლობაში საქართველო დამოუკიდებლათ ითვლებოდა, მაგრამ ნამდვილი დამოუკიდებლობა მას არ ჰქონია: საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლათ შემოდიოდენ და ბრძანებლობდენ ევროპის იმპერიალისტური ჯარები.

იტალიის ყოფილი პრემიერ მინისტრი ფრანჩესკო ნიტი აქვეყნებს თავის წიგნში („Европа без мира") მეტათ საინტერესო ცნობებს იმის შესახებ, რომ 1919-20 წლებში ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოები სწყვეტდენ იმ კითხვას, თუ რომელ სახელმწიფოს შემოეყვანა თავისი ჯარი „დამოუკიდებელ" საქართველოში, რომ აქედან დამუქრებოდენ საბჭოთა რუსეთს. ამას შემდეგ რევოლიუციონური წითელი ჯარის შემოსვლა საქართველოში სავსებით მართლდება. ამას მოითხოვდა ოქტომბრის რევოლიუციის ლოღიკა.

თავისი მხრით ემიგრანტული მენშევიზმი, საქართველოდან გაქცეული მთავრობა დ სხ. იმპერიალისტების გავლენით აწარმოებდა დ აწარმოებს მუშათა კლასისთვის ყოვლად მიუღებელ და წმინდა რეაქციონურ პოლიტიკას. მან გამოაცხადა გაერთიანებული ფრონტი საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ. ამ გაერთიანებულ ფრონტში შედიოდა ქვეყნის ყველა რეაქციონური ძალები—ყოფილი მემამულე თავადებიდან დაწყებული ბერ-მონაზონებით გათავებული. არსებითად ეს ბრძოლა რევოლიუციის წინა ღმდეგ ბრძოლათ გადაიქცა და ამ ბრძოლაში ქართველი სოციალ-დემოკრატია გაერთიანდა ქვეყნის კონტრ-რევოლიუციონურ ძალებთან, იმ ქართველ ბურჟუა-მემამულეებთან, რომლებსაც მთელი 25 წლის განმავლობაში ვებრძოდით და კლასობრივათ უპირდაპირდებოდით აი, **სწორეთ ასეთმა ტაქტიკამ გამოიწვია მენშევიკური პარტიის ის სწრაფი დაშლა, რომელსაც ჩვენს თვალ წინ აქვს ადგილი. ასე, რომ ეს მოვლენა არ აიხსნება ჩეკის და სხვა რეპრესიების გავლენით, როგორც ამას ამტკიცბენ ჩვენი მოწინააღმდეგენი; უხეში რეპრესიებით რომ პოლიტიკური პარტიის დაშლა ყოფილიყო შესაძლებელი, მაშინ სოც. დემოკრატიულ პარტიას ნიკოლოზის ჟანდარმერიის კლანჭებში ამოხდებოდა სული.** ეს მოვლენა აიხსნება მხოლოდ იმ ღრმა მიზეზით, რომელიც ჩვენ ზევით დავასახელეთ, ეს მოვლენა აიხსნება იმ ტაქტიკით, რომლის პარმშო შვილიც იყო პარიტეტული კომიტეტი, სამხედრო ცენტრი და სხვა ამგვარი წმინდა კონტრ-რევოლიუციონური არალეგალური ორგანიზაციები.

სოც.-დემოკრატიის საუკეთესო ნაწილმა მუშურ-გლეხურმა რევოლიუციონურმა ნაწილმა დასტოვა იმ პარტიის რიგები, რომელიც ასეთ ტაქტიკას დაადგა.

ავანტიურისტების ცეკა. ვინ არის მოღალატე.

არალეგალური მენშევიკური პარტიის ცეკა, რომელიც შესდგება ორიოდე ავანტიურისტისაგან და რომლის მთელი „პოლიტიკური მოღვაწეობაც" იმაში გამოიხატება, რომ ორ-სამ თვეში ერთი, ქუჩური ლანძღვა-გინებით აღვსილი პროკლამაცია გამოუშვას. მოღალატეებათ გვნათლავს ჩვენ. თუ აქ რომელიმე ღალატზე შეიძლება ლაპარაკი, ჩვენ უპირველეს ყოვლისა ვუღალატეთ ქართველ მემამულეებს, სპეკულიანტებს და ყველა ჯურის რეაქციონერებს, მაგრამ ქართველი მუშებისა და გლეხებისათვის კი ჩვენ არ გვიღალატნია. **ქართველი ხალხის მოღალატეების იარლიკს ისტორია და შთამომავლობა მათ მიაკრავს, ვინც ჩოლოყაშვილის ბანდიტებთან საერთო ენა გამონახეს.**

რატომ შევკრებილვართ დღეს. წარსულის რევიზია და ლიკვიდაცია.

ამხანაგებო, დღევანდელ ისტორიულ დღეს ჩვენ აქ მოვედით იმისთვის, რომ ჩვენი წინანდელი იდეოლოგიის და ტაქტიკის რადიკალური გადაფასება მოვახდინოთ, „რევიზია" ვუყოთ მთელ ჩვენ ნამოქმედარს, ჩვენს ახლო წარსულს და შემცდარათ ვაღიაროთ ის გზა, რომლითაც ჩვენ მივდიოდით რევოლიუციის პროცესში. ჩვენ უნდა უარვყოთ კოალიციისა, საპარლამენტო დემოკრატიის პრინციპი და დღევანდელი ისტორიულ მომენტში მივიღოთ პროლეტარიატის დიქტატურის იდეა. ამით ჩვენ დავუბრუნდებით რევოლიუციონური მარქსიზმის მსოფლმხედველობას, რომელსაც აუცილებლათ დავსცილდით.

პერსპექტივები.

რა უნდა ვქნათ მომავალში? რასაკვირველია, ჩვენ აქ იმისთვის არ მოვსულვართ, რომ ჩვენ თავს პოლიტიკური თვითმკვლელობის განაჩენი გამოუტანოთ, რომ ჩვენ მომავალში გულხელდაკრეფილი შევჩერდეთ იმ ტიტანიურ მოვლენებს, შრომასა და კაპიტალს შორის საბედისწერო შებმას, რომლის თანამედროვენიც ჩვენა ვართ. ეს დანაშაულობა იქნებოდა და **სწორეთ ასეთ დანაშაულებას სჩადიან ისინი ვინც, აცხადებენ, რომ ჩვენ თავს ვანებებთ ყოველგვარ პოლიტიკურ მოღვაწეობას და ხელს ვიღებთ ყოველგვარ პოლიტიკურ ბრძოლაზეო.** ეს მომაკვდინებელი იქნებოდა იმ მუშებისათვის, რომლებსაც ათეული წლები გაუტარებიათ პარტიისა და რევოლიუციის მოწინავე რიგებში, რომლებსაც საუკეთესო წლები თავისი სიცოცხლისა ნიკოლოზის ციხეებსა და ციმბირში გაუტარებიათ.

უპირველეს ყოვლისა, ამხანაგებო, ჩვენ აქტიურათ უნდა ჩავებათ იმ დიდ საქმეში, რომელსაც საბჭოთა აღმშენებლობა ეწოდება.

რაც შეეხება ჩვენს პოლიტიკურ ფიზიონომიას, თუ ვინ ვიქნებით ჩვენ მომავალში, როგორც განსაზღვრული პოლიტიკური პარტიის წევრები, ამის შესახებ შემდეგი უნდა მოგახსენოთ:

სხვათა შორის, უნდა ავღნიშნოთ, რომ ეს კითხვა ბევრს ჩვენ ამხანაგს აინტერესებდა და სხვადასხვა ადგილას, სამაზრო კონფერენციებზე ასეთ კითხვას მისვამდენ ხოლმე.

ჩვენ უნდა დავიწყოთ იქიდან, რომ გამოვაცხადოთ მენშევიკური პარტიის ყოფილი ორგანიზაციების **სრული ლიკვიდაცია, გაუქმება.** საქვეყნოთ განვაცხადოთ, რომ **ამიერიდან არავითარ არალეგალურ მენშევიკურ ცეკას უფლება არა აქვს ჩვენი სახელით ილაპარაკოს.**

ამას შემდეგ, რაც შეეხება ახალი, რომელიმე დამოუკიდებელი პარტიის შექმნას,—**ეს ყოვლად მიუღებელია და სრული პოლიტიკური უაზრობაა,** რადგან ჯერ ერთი, პოლიტიკური პარტიის არსებობას აზრი ეძლევა მაშინ, როდესაც ის **მიზნათ ისახავს პოლიტიკური ძალა უფლების ხელში ჩაგდებას** და თუ ეს მიზანი არა აქვს პოლიტიკურ პარტიას, მაშინ მისი არსებობის გამართლება ყოვლად შეუძლებელია; ასეთი პარტია ვერასოდეს ვერ იქნება ცოცხალი საქმის პარტია, მოქმედი პარტია.

მე ამით არავის შეურაცხყოფა არ მინდა, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ ჩვენში დღეს არსებობს ისეთი პარტია, რომელიც ცალკე პარტიის სახელწოდებას ატარებს და რომლის არსებობაც სრულ უაზრობას წარმოადგენს.

გარდა ამისა, რაც ყველაზე უმთავრესია,—ეს ის, რომ ჩვენ ვღებულობთ პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას დღევანდელ გარდამავალ ისტორიულ მომენტში და სავსებით ვდგებით საბჭოთა სისტემის ნიადაგზე.

მაშ რაღა პრინციპიალური განსხვავება დარჩა ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის? არავითარი. პროლეტარიატის დიქტატურისა და დღევანდელი საბჭოთა სისტემის აღიარებით ჩვენსა და მათ შორის ისპობა ყოველგვარი იდეოლოგიური და ტაქტიკური დავა. ჩვენ შორის ისპობა ის გაუვალი უფსკრული, რომელიც ამ ორი ათეული წლის განმავლობაში, დღიდან რუს. ს. დ. პარტიაში მომხდარ განხეთქილებისა და განსაკუთრებით კი უკანასკნელი 6—7 წლის განმავლობაში გაითხარა ჩვენს შორის. მე [illegible] ტყვი, **ჩვენ დღეს ნამდვილათ, არსებითად კომუნისტები ვართ,** ხოლო რაც შეეხება ფორმალურათ პარტიაში ჩაწერას—ეს მეორე ხარისხოვანი საკითხია.

დასასრულ, ამხანაგებო, ჩვენი დღევანდელი ისტორიული სიტყვა სრულიად გულწრფელი უნდა იყოს. სხვათა შორის, არალეგალური მენშევიკური ცეკა თავისი არალეგალური ორგანოს „ჩვენი ერთობის" ფურცლებზე ამას წინად აცხადებდა, რომ თითქოს ზოგიერთმა მათგანმა, ვინც სამაზრო კონფერენციებში იღებდა მონაწილეობას, განცხადება მისცა არალეგალურ ცეკას, რომ მასზე ძალდატანება მოახდინეს დაძალეს მიეღებიეს მონაწილეობა კონფერენციაში. „ჩვენი ერთობის" პოლიტიკოსები აღნიშნავდენ მაშინ, რომ შემდეგ ნომერში ჩვენ მათ გვარსა და სახელს გამოვაცხადებთ ინიციალებითო.

ჯერ ერთი ინიციალებით „ერთობის" ფურცლებზე მთელი საქართველოს მცხოვრებლების გამოცხადება შეიძლება და მეორეც ის, რომ მე არ მგონია ჩვენ შორის იყოს ვინმე ისეთი, რომელსაც ასე ორ სკამზე ჯდომა გადაეწყვიტოს.

მაგრამ ჩვენ ვიცით ამ მხრივ მენშევიკური ცეკას მოქმედება. აქ, ჩვენ **შორის არის ერთი ამხანაგი, რომელთანაც მივიდენ პარასკევს საღამოს მენშევიკური ცეკას აგენტები და უთხრეს, რომ მას შეეტანა ზემოაღნიშნული შინაარსის განცხადება, სამაგიეროთ მას აღუთქვამდენ მატერიალურად უზრუნველყოფას არალეგალური ცხოვრებისათვის; ასეთია ისტორიისაგან განწირული ხალხის მოქმედება.**

მაშასადამე, ამხანაგებო, ჩვენ, დღევანდელ ისტორიულ დღეს რუს. ს. დ მთლიანი პარტიის განხეთქილების 20 წლის თავზე, რევოლიუციონური გულწრფელობით ვაცხადებთ, რომ ისტორიამ და რევოლიუციამ გამარჯვება ბოლშევიკებს მიანიჭა და სწორი გამოდგა ის ტაქტიკა, რომელსაც ისინი თავიდგანვე აწარმოებდენ; ამასთანავე იმ მტკიცე რკინისებურ პროლეტარულ გადაწყვეტილებას ვადგებით, რომ ამიერიდან მე-3-ე კომუნისტური ინტერნაციონალის წითელი დროშის ქვეშ დარაზმული ვიბრძოლებთ მთელი ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლების დიადი საქმისათვის.

მაშ გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

გაუმარჯოს მის გენიოს ხელმძღვანელს ლენინს!

გაუმარჯოს მის მთავარ გენერალურ შტაბს, მე 3 კომუნისტურ ინტერნაციონალს!

ამხ. ფარნიევი. ამხანაგებო, თქვენ მოისმინეთ მოხსენება, თუ ვინმეს გაქვთ რაიმე შეკითხვები, გთხოვთ წარმოადგინოთ წერილობით ანდა სიტყვიერად (სიჩუმე) როგორც ეტყობა შეკითხვები არ არის.

დელეგატი (ადგილიდან): როგორც მომხსენებელმა განაცხადა ჩვენ უნდა გამოვაცხადოთ პარტიის ლიკვიდაცია. მე გეკითხებით, გვაქვს თუ არა ჩვენ ამის უფლება, ეს ერთი და მეორე, თუ გვაქვს, არის გარანტია, რომ თუ ჩვენ გამოვაცხადებთ ლიკვიდაციას, მართლა მოხდება ეს ლიკვიდაცია?

ამხ. ფარნიევი: სხვას ვის აქვს კიდევ წინადადება?

დელეგატი (ადგილიდან): აქ აღნიშნული იყო, რომ ვახდენთ პარტიის ლიკვიდაციას. მე გეკითხებით მის შემდეგ როგორი უფლებები გვექნება ჩვენ. ეს საინტერესოა. სოფელში, როდესაც დავბრუნდებით, ჩვენ მოგვთხოვენ განმარტებას, თუ როგორი უფლებები გვექნება. ვიქნებით თუ არა საერთო ოჯახის წევრი.

ამხ. ფარნიევი. ვის აქვს კიდევ შეკითხვა. თუ ვისმეს აქვს შეკითხვა გთხოვთ წარმოადგინოთ ეხლავე და მომხსენებელი ერთად გასცემს პასუხს და შემდეგ გადავალთ კამათზე.

დელეგატი ადგილიდან: საინიციატივო ბიუროს ჰქონდა რაიმე მოლაპარაკება კომუნისტური პარტიის წევრებთან იმის შესახებ, რომ, თუ ჩვენ მივიღებთ მესამე ინტერნაციონალის თეზისებს, გამოვაცხადებთ პარტიის ლიკვიდაციას, მიგვიღებენ კომუნისტურ პარტიაში, თუ ჩვენ ისევ უნდა ვატაროთ მოღალატეების სახელი და ხოლო ბოლშევიკებისთვის ვიქნებით საეჭვო. ჯერ ეს საკითხი უნდა გადავსწყვიტოთ და შემდეგ ვილაპარაკოთ ლიკვიდაციაზე.

დელეგატი (ადგილიდან) მართალია, ჩვენ ვტოვებთ მენშევიკურ პარტიას და ვეძებთ სხვა გზას, მაგრამ ეხლა რა გამოდის. ჩვენ უეროთებით საბჭოთა ხელისუფლებას და ვართ სრულუფლებიანი წევრები კომუნისტურ პარტიისა, თუ არა.

დელეგატი. (ადგილიდან) აქ, როცა მომხსენებელმა იხმარა სიტყვა, რომ ჩვენ ლიკვიდაციას ვახდენთ მენშევიკურ პარტიისაო, და ნაძალადევი აქ არსად არაფერი ხდებაო, მე მას უნდა უთხრა, რომ არა ორი სამი პროცენტი, არამედ სამოცი პროცენტი მაინც არის მისი მნახველი, რაც მე ვნახე. და თუ ამის თქმა არ რცხვენიათ, რომ ეს ნაძალადევი არ არის—მე ვიტყვი, რომ ეს ნაძალადევია (ხმაურობა. თავმჯდომარე რეკავს ზარს).

ამხ. ფარნიევი. შეკითხვა თუ არის—შეეკითხეთ კონკრეტიულად.

დელეგატი. (განაგრძობს) შეკითხვა არის, რასაკვირველია, და მომხსენებელმა ამაზე პასუხი უნდა გამცეს რა საბუთი აქვს მომხსენებელს, როცა აქ პარტიის ლიკვიდაციას აცხადებს, როდესაც ჩვენი აქ მოსვლა ნაძალადევია. მე, პირადად, შინ ვმუშაობდი და ჩეკისტები გვეცხა- [illegible] თო. და ჩვენც მოვდივართ. ამას თქვენ ნაძალადევს არ უძახით? (ხმაურობა).

ამხ. ფარნიევი. ნუ ხმაურობთ, დაწყნარდით. სხვა შეკითხვები არ არის. მაშასადამე, მომხსენებელი გასცემს პასუხს.

ჭუმბურიძე. უპირველეს ყოვლისა ამხანაგები მეკითხებიან, იქნება თუ არა კანონიერი, რომ მენშევიკური ორგანიზაციის სრული ლიკვიდაცია გამოვაცხადოთ აქ, ჩვენ ვამბობთ, რომ დღეიდან ჩვენ ვაცხადებთ გაუქმებულად ყოველ მენშევიკურ ორგანიზაციას. და დღეიდან, ამიერიდან არავის აქვს უფლება არავითარ, რა-რიგალურ ცეკას, რომ ჩვენი სახელით ილაპარაკოს, ან მიმართოს ვისმეს (ტაში) ილაპარაკოს ამ დელეგატების სახელით, რომელნიც აერთებენ დაახლოებით 12 000 მენშევიკურ პარტიის ყოფ. წევრებს, შესაძლებელია, ამას ვერ უარყოფთ, რომ გარეშე ამ ლიკვიდაციისა დარჩება 4 თუ 5 კაცი ავანტიურისტებისაგან შემდგარი ორგანიზაცია, მაგრამ გაცილებით დიდი უმრავლესობა, საუკეთესო ნაწილი პარტიისა შემოკრებილი არის ჩვენს გარშემო და ჩვენ ვაცხადებთ გაუქმებულად და სრულიად დაშლილად ყოფ. მენშევიკურ პარტიას.

რაც შეეხება საკითხს, როგორი იქნება ჩვენი მომავალი მდგომარეობა როგორ განისაზღვრება პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენი—ამის შესახებ მოხსენებაშიაც აღვნიშნე და ეხლაც ვიმეორებ, რომ მის შემდეგ, რაც მივიღეთ პროლეტარულ დიქტატურის იდეა, მივიღეთ დღევანდელი საბჭოთა ხელისუფლების სისტემა და ვადგევართ ამ პლატფორმას, ამის შემდეგ ჩვენ და ბოლშევიკებს შორის არავითარი პრინციპიალური და ტაქტიკური დავა აღარ არსებობს ჩვენ შორის ამის შემდეგ ისპობა ის განხეთქილება, ის უფსკრული, რომელიც გაითხარა ჩვენ შორის ამ ორი ათეულ წლის განმავლობაში. დღეს რუსეთის სოც. დემ. პარტიის შორის, განსაკუთრებით, 5 წლის განმავლობაში ეს დავა ისპობა, აღარ არსებობს.

დღეს, არსებითად, ჩვენ ნამდვილი კომუნისტები ვართ. რაც შეეხება პარტიაში ჩაწერას, ეს მეორე ხარისხის საკითხი არის. ამისთვის არსებობს წესდება და სხვა. მაგრამ, მე მგონია, თუმცა ოფიციალური მოლაპარაკება ამის შესახებ არ გვქონია, აქ ჯერ კონფერენცია გვაქვს, სადაც უნდა გავარკვიოთ ჩვენი პოზიცია და ამის შემდეგ შეიძლება იქნეს რაიმე მოლაპარაკება. დღეს ამის შესახებ არ გვილაპარაკნია, მაგრამ ვიცით პასუხისმგებელ პირის აზრი ამის შესახებ. და ასეც უნდა იყოს. რომ ის ამხანაგები, რომელთაც აქვთ ერთგვარი რევოლიუციონური წარსული რომელთაც მთელი წლობის განმავლობაში უღშავნიათ პარტიაში—მათ მიიღებენ წევრებათ ძველი სტაჟითაც დანარჩენი მასა კი ჩაებმება დიდ საბჭოთა აღმშენებლობაში, პირდაპირ და უშუალოდ. და ამით ჩვენ გავუწევთ საბჭოთა დაწესებულებებიდან იმ ელემენტებს, რომლნიც არიან ნამდვილი კონტრ რევოლიუციონური ძალები შემდეგ ერთი [illegible] ევრი დელეგატი აცხადებს, რომ ითომ ის ძალით არის აქ მოყვანილი ჩეკისტების მიერ. ლაჩარი ყოფილა ის რევოლიუციონერი, რომელიც აქ ჩეკისტების მიერ არის მოყვანილი და ამისთანა ლაჩრებს არც მომავალში ექნება ჩვენ შორის ადგილი.

აქ არის შეკითხვა—„თუ დღევანდელი ძალა უფლება უწევს ანგარიშს ცხოვრების ობიექტიურ პირობებს, ისტორიას, მენშევიკური ძალა-უფლება ამას არა შვრებოდა". ამხანაგებო, მე ეს შეკითხვა არ მესმის, გაუგებარია, და ამიტომ არ უპასუხებ.

ამხ. ფარნიევი. მომხსენებელმა ყველა შეკითხვებს გასცა პასუხი. ვის სურს არსებითად ილაპარაკოს. სიტყვა ეძლევა ხარატიშვილს.

ამხ. ბარატიშვილი. ამხანაგებო, მე სალაპარაკო აქ მაინც და მაინც ბევრი არაფერი მაქვს. მაგრამ მინდა დელეგატების საყურადღებოდ განვაცხადო, როგორც ერთმა ამხანაგმა სთქვა, თუ ასეთი დელეგატები არიან აქ, და ზოგი პროვინციიდან ჩ მოსული დელეგატები იმეორებენ, რომ ჩვენ ჩეკამ გამოგვგზავნაო, აი მე ვიძლევი წინადადებას, აქ მთავრობის წევრები არიან, მოვ დნენ და სთქვ ნ ამხანაგებმა—თუ რომელმა ჩეკისტმა გამოგზავნა. გუშინ იდგა ქუჩაში ერთი ამხანაგი და გარეთ ლაპარაკობდა და ყველა გამვლელ-გამომვლელი ყურს უგდებდა, რომ ჩეკის ძალდატანებით ვართ მოსულიო მე ვამბობ ასეთ რევოლიუციონერს. ჩეკამ დახვრიტა აქ ხალხი, მაგრამ თავის იდეას არ უღალატა, არ დაუთმია. გუშინ აქ ერთმა გურულმა ამხანაგმა სთქვა—მე აქ წამომიყვანეს, რა მინდა რას ვაკეთებო, საპროლეტარო რა მაქვსო, სახლში ძროხას უდექი და არ მაყენებდნენო. ეს არ შეშვენის რევოლიუციონერს. ყველა, ვინც გამოვა, უნდა სთქვას დანაშაულობა, როგორც მენშევიკებისა, ისე ბოლშევიკებისა, უნდა განაცხადოს, რომელმა ჩეკამ მოიყვანა. მე კი, პირადად, ვამბობ გაუმარჯოს შეერთებულ მუშაობას, მესამე ინტერნაციონალს და მასთან შეერთებულ ჩვენს მუშაობას.

ამხ. ფარნიევი. ამხანაგებო, ვინაიდან ყველას გვარები არ ვიცი, ამიტომ გთხოვთ ბარათები გამოგზავნოთ, ვისაც სურს ლაპარაკი. მე წავიკითხავ აქ სიას იმ ამხანაგებისას, რომელნიც რიგზე არიან ჩაწერილნი. მურმანიშვილი, შენგელია, ნუცუბიძე, ჯიბლაძე, ცინცაძე, რუხაძე და სხვ. ახლა რიგით სიტყვა ეკუთვნის მურმანიშვილს.

[illegible]: ამხანაგებო, მართალია ეს დღევანდელი დღე საშინელი ისტორიული დღე არის და. როგორც ჩვენმა ამხანაგმა სთქვა, დღეს ყველა მუშამ გულწრფელად უნდა სთქვას თავისი აზრი არ უნდა მიუდგეს არც მენშევიკებს და არც კომუნისტებს. ყველა რევოლიუციონერი მე მგონია ასე მოიქცევა. მაგრამ მე იმას ვლაპარაკობ, ეგებ მე აქ ვერ მიცნობენ მაგრამ მე ვარ მუშა, რომელიც 15 წლიდან ვიყავი აღზრდილი ფარაჯიანებთან. ეგებ მე კარგათ ვერ ვსთქვა, მე მუშა ვარ და ვერ მოვახერხებ ლაპარაკს კარგათ, მწიგნობარი არა ვარ. ეხლა პირდაპირ უნდა განვაცხადო ინტელიგენციის მიმართ, იმ ინტელიგენციის მიმართ, რომელთაც აქ ვხედავთ. მე აქ ვხედავ იმ მენშევიკებს, რომლნიც ჩვენ გვაშინებდენ, გვაფრთხობდენ ბოლშევიკების სახელით. მე როდესაც მენშევიკი ვიყავი, არ ვიყავი მადლიერი და არც დიდი პოსტი მქონდა და აქ კი ვხედავ (ხმაურობა) იმ ინტელიგენტებს, რომელიც გმობენ მენშევიკებს. გმობენ ისე, რომ მეტი არ შეიძლება. გმობენ როდის. განა შეძლება ადამიანის გმობა, როდესაც ის წაქციულია, მაშინ უნდა დავკრათ მას ფეხი? შენიშვნა მაშინ უნდა იმისი რაც აქ ილაპარაკეს, როდესაც ადამიანი ცოცხალი არის, სული უდგას. დღეს ის მასწავლებლები, ის ინტელიგენტები, რომლებიც გვაიძულებდენ რომ ზიზღით შევხედნოდით კომუნისტებს და ბოლშევიკებს, დღეს ეს პიროვნებები რას არ ლაპარაკობენ მენშევიკების წინააღმდეგ, როდესაც თვით მენშევიკების დროს პირველი ლიდერები ბრძანდებოდენ. მე, როგორც მუშა ვერ ვითმე მაშინ მე ბურთს მჩრიდენ პირში, როდესაც ვეუბნებოდი რა ვიცი ბოლშევიკები როგორი არიანო. ისინი კი გვაშინებდენ და როდესაც ბოლშევიკები მოდიოდნენ ჩვენ შიშისგან არ ვიცოდით საით გავრბოდით. მაგრამ საქმე სხვა ფრივ ყოფილა. მაშინ ჩვენი ინტელიგენცია გვიკიჟინებდა, ეხლა სხვა ანგელოზად გამოდის და სხვას გველაპარაკება. აი ამხანაგს ვიცნობ, ხაზურის მომუშავე. ბოლშევიკების შემოსვლის დროს შიშის ზარს გვცემდა. მე მუშა ვარ და მაშინაც ვიცოდი, რომ კომუნისტები მუშის ამხანაგები, მუშის მეგობარი, მუშათა და გლეხთა დამცველნი იყვენენ. მაგრამ ინტელიგენტებს კი მხოლოდ ეხლა გაუგიათ. აი ამიტომ, ამხანაგო მუშებო, მივაქცევთ თქვენ ყურადღებას იმ ინტელიგენციას, იმ მასწავლებლებს, რომლნიც მაშინ სულ სხვანაირათ გვიხატავდენ ბოლშევიკებს და ეხლა სულ სხვანაირად ლაპარაკობენ მათზე მე მაგალითად მუშა, რომელიც ვიყავი ბოლშევიკებთან ერთად, ძველ მუშებთან ერთად ციმბირში, ციხეებში დღეს სხვანაირად რათ უნდა ვილაპარაკო. როგორ გავიგოთ ეს. ჩვენი ბელადები ლანძღავდენ ბოლშევიკებს, ეხლა კი ლანძღავენ მენშევიკებს და სულ სხვანაირათ ლაპარაკობენ კომუნისტებზე; რომელს დაუჯეროთ, წარსულს, თუ ახალს აი ამიტომ, მუშებო, ფრთხილად უნდა ვიყვეთ, მართლა შეერთებული უნდა ვიყოთ იმ იდეურ კომუნისტებთან, რომელთა სიტყვა არის ბეჭედი (ტაში) ლითონი. აი ამხანაგებო, ზოგიერთი შეიძლება არ იყოს ისეთი, რომელთაც გულით უნდოდეთ შეერთება და დროებით არიან მეტიჩრები, გამოდიან აქ და ვითომდა კომუნისტობას ჩადიან და უნდათ ენის მლიქვნელობით მოატყუოს კომუნისტური პარტია და მოაწონონ თავი მათ, მაგრამ კომუნისტური მუშათა პარტია შეიტყობს ვინ როგორია და მან იცის ვის როგორ მოექცეს. გუშინ სხვას ამბობდენ დღეს სხვას ჩვენ მუშები გამოვდივართ და ვამბობთ: ციმბირში და ციხეებში თუ მათთან ერთად ვიყავით, ეხლაც მათთან ერთად ვიქნებით, და არ დაუჯერებთ იმ პირებს, რომელნიც მენშევიკების დროს ქება-დიდებას ასხამდენ მენშევიკებს, ბოლშევიკების შესვლის დროს შიშის ზარს სცემდენ, აი კომუნისტები მოვლენ და დაგვიღუპებითო და როდესაც მენშევიკები წაიქცენ მაშინ სხვანაირათ ალაპარაკდნენ. მე მახსოვს მოხუცებულ ისიდორე რამიშვილის სიტყვა სამტრედიაში. მან მითხრა მე: ჩემო ტეტია კოტე, შემცდარი ვართ, რომ ბოლშევიკებს ასე ვახასიათებდით. საქმეს უნდა დაუკვირდეთ და არ გადაეჩრათ ადვილად, რომ ასეთი შეცდომა ისეთ უფსკრულში მიგვაქანებს, საიდანაც ამოსვლა მეტად ძნელი იქნება. გაუმარჯოს იმ იდეურ მუშებს, კომუნისტებს და მენშევიკებს, რომელნიც წრფელი გულით შეერთდებიან.

(ტაში და უკრავს მუსიკა ინტერნაციონალს).

ქ. შენგელია: ამხანაგებო, დღეს არ ვიყავი სრულიად განწყობილი, რომ გამოვსულიყავი სალაპარაკოთ და თქვენი ყურადღება მიმექცია. მხოლოდ ცოტა არ იყოს გავლენა მოახდინა ერთი ამხანაგის განცხადებამ, რომელმაც აღიარა, რომ ის მოიყვანეს ძალით, რომ მას ეთქვას ეს თავის პიროვნებაზე, რომ „მე მომიყვანესო" მაშინ კარგი იქნებოდა. მაგრამ მან განაცხადა, რომ „ჩვენ მოგვიყვანესო". მაშ ამათ რიცხვში მეც ვარ და თქვენც, ამხანაგებო. მართლა მოგვიყვანეს თუ მოვედით ამხანაგებო. მოვედით. ჩვენ დაუწყეთ ძებნა იმ გზას, რომელიც ვიპოვნეთ თითონ ჩვენ. ჩვენ მოვედით იმისთვის, რომ აქ მოსვლა ჩვენი ამბობს საქმის კეთებას. ჩვენ ვართ მუშები. ჩვენ ვამბობთ. რომ მუშათა კლასის ხსნა უნდა იკისროს მუშათა შეერთებულმა ძალამ. ჩვენ, მუშები 20 წლის განმავლობაში დავდიოდით [illegible] ეხლა დადგა ჩვენ წინ საკითხი, ვიაროთ ისევ ცალკე თუ ერთად. და ჩვენ ვამბობთ, რომ აუცილებლათ უნდა შევერთდეთ და ერთი გზით ვიაროთ, რადგანაც ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის არავითარი სადავო-საჩხუბარი არ დარჩენილა. თუ ვინმე კიდევ ოცნებობს პორტფელებზე ან თბილ ადგილებზე—ჩვენ ვამბობთ მუშათა კლასი მთლიანად ისეთი ძლიერია, რომ თვით ნიკოლოზის შექმნილი რეჟიმი ვერ გაუჩერდა მას, ეხლა მე ვფიქრობ ეს შეერთება მუშათა კლასს ისეთ ძლიერებას მისცემს, რომ ბურჟუაზია ჩვენს წინაშე ქუდს მოიხდის, ჩვენ მას „ციცით" გავაჩერებთ, სისხლიც არ დაგვეღვრება. ჩვენი შეერთება არის მთელი მუშათა კლასის ერთ ოჯახში გაერთიანება და ვინც იძახის, რომ მე ძალით მომიყვანესო ზიზღი მას. (ტაში). ერთმა ამხანაგმა ინტელიგენციას ცოტა არ იყოს შოლტი გაგადაკრა (ხმა ადგილიდან) თვითონ გასცემდა პასუხს მოითმინეთ დ მომისმინეთ. მე თითონ ინტელიგენტი არა ვარ, ამას დაამტკიცებს აქ მყოფი ამხანაგები, მაგრამ რომ მარქსი არ გამოჩენილიყო, ჩვენ ერთმანეთი უნდა შეგვეჭამა. მარქსმა სთქვა, რომ კაცობრიობა ორ ნაწილად იყოფა. ერთი არის მშრომელი ხალხი მეორე კი მუქთა მჭამელი, მყვლეფელები. ერთი არაფერს ფიქრობს შრომაზე და ანვითარებს გონებას—ჭკუას, მეორე კი აკეთებს და შრომობს. როცა მარქსმა დაგვიწერა „სახარება", გვითხრა: საჭიროა თანასწორობა ჭამაში და შრომაშიო. ამის მისაღწევად კი სხვადასხვა გზები არსებობს. შეიძლება დაგვჭირდეს ომი, ეს არ არის ადვილი გზა, შეიძლება ხრამშიდაც გადავარდეთ და ჩაიხრჩოთ, მაგრამ თქვენ უნდა გაალოთ თვალები და მონახოთ მეორე გზა. ეს არის ტაქტიკის გამოცვლა. მან სთქვა, გამოსცვალეთ ტაქტიკა, არ უღალატოთ პრინციპს. ტაქტიკის გამოცვლა შეიძლება 24 საათში და ის იქნება დიდებული რევოლიუციონერი, რომელიც ტაქტიკას სცვლის, მაგრამ პრინციპებს არ უღალატებსო. ხოლო რა მოხდა სინამდვილეში, რა ვქენით ჩვენ? მართლაც და მართალი არის მენშევიკების არა ლეგალური ცეკა, რომელიც ჩვენ მოღალატეს გვეძახის პადვალიდან? ვის უღალატეთ ჩვენ? ჩვენ უღალატეთ მღვდლებს. ამას წინათ შემხვდა ერთი მღვდელი და მითხრა: „ტიმოთე შენგელია, როგორ არის ჩვენი საქმე"-ო. ამ კითხვამ დამკრა ლახვარივით და გაიარა ბოლომდე. 20 წელიწადია ჩვენ ვმუშაობთ და პატარ-პატარა აგიტაციას ვეწეოდით და მთელი ჩვენი აგიტაცია მიმართული იყო თითქმის მღვდლების წინააღმდეგ, იმიტომ რომ გვეწამდა, რომ სამღვდელოება იყო ჩვენი შრომის მტერი და ჩვენი მყვლეფელები. ჩვენ ვეწინააღმდეგებოდენ ისინი და ამჯღოხებდენ მუშათა კლასს ეხლა კი მენშევიკებს ის დრო დაუდგა, რომ მღვდელი მოდის და გვერდზე ურტყამს ხელს და ეუბნება როგორ არის ჩვენი საქმეო. (სიცილი) სასაცილო კი არა, ეს სატირალი და სამწუხაროა. როდესაც მუშა აკეთებს საქმეს, არკვევს საკითხებს, ჩვენ ნიკოლაძეების, ნაციონალ-დემოკრატების საქმეს კი არ უნდა ვაკეთებდეთ, აი აქ შეიძლება სადმე არიან ნაციონალ-დემოკრატები და სკდებიან გულზე, და გასკდენ. ამხ. ჭუმბურიძემ მართლად სთქვა, თუ სოციალისტები ხართ მაშ კომუნისტებიც ხართ ნუ გეშინიათ ამ სიტყვის. მაშასადამე, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ როგორც სოციალისტებს არაფერი სადავო გვაქვს, სადავო და საჩხუბარი კომუნისტურ პარტიასთან, რომ მქონდეს ვიბრძოლებთ მაგრამ, ვის ვებრძოლოთ — ჩვენ ამხანაგებს, კომუნისტებს?

რვა საათის სამუშაო დღე არ გაატარეს ცხოვრებაში? არ უთხრეს ადმინისტრაციას, თუ ეს არ დაიცავით, სასტიკათ დაგსჯითო? კი. მიწის საკითხი როგორ გადიჭრა ჩვენში? ჩვენ, მენშევიკების დროს, მუნიციპალიზაცია უნდა მიგვეღო და ამის მაგივრად მივიღეთ კერძო საკუთრება. 20 წელიწადია ქადაგობენ მიწის განსაზოგადოებას და ბოლოს კერძო საკუთრება დაამტკიცეს უთხარით—თოფიც ქონდეთ ხელში და თოხიცო. იმუშავე და კერძო საკუთრება დაიცავიო. ეს იყო ჩვენი პროგრამა. ჩვენ, 18 ქცევა ნორმა დაუტოვეთ მემამულეებს, და თან შენიშვნა გაუკეთეთ, რომელიც ამბობდა—სადაც ხე არის, ეს ბაღია, და ამიტომ მეორე ნორმაც მიეცესო. საქართველოში კი ისეთი მდგომარეობაა, სადაც ხეს დაარჭობთ, ყველგან ივარგებს [illegible] შენიშვნა შეიქნა კანონათ. და ყველას ორ-ორი ნორმა დაურიგდა, და მეტი მემამულეები [illegible] გაყავდა. კომუნისტებმა კი რა ქნეს? ვერ მოაწესრიგეს ეს საქმე? მოაწესრიგეს. მუშებზე არ ზრუნავენ? არ ინახავენ დაჩებზე? და არ უვლიან? იქ, სადაც ძველად გენერლები ფუფუნებაში ცხოვრობდენ, ეხლა ვხედავთ ჩვენი მუშები მშვენივრად ისვენებენ. (ტაში) სწავლა-განათლების საქმე როგორ არის? მე პროფესორად, რასაკვირველია, არ გამოვდივარ, მაგრამ არის ერთი ჩემი ამხანაგი—მემანქანე, რომელიც აქ სწავლობს მუშათა ფაკულტეტზე, ის სწავლობს, მუშაობს და შემდეგ ჩვენ ხელმძღვანელად გამოვა. მაშასადამე, იმ მუშებს, რომლებმაც წერა-კითხვა იცის და ერთი-ორი კლასი უსწავლია, მისცეს საშვალება გააჯ ნსაღონ თავიანთი გონება, სწავლა შეიძინონ და მერე გამოადგენ საზოგადოებას. ხომ იცით, რომ ბავშვებისათვის სავალდებულო სწავლაა. ასე, ამხანაგებო, რომელ ერთზე მიგითითოთ — ყველაფერი კარგია: მჭედელს, რომელიც ურტყავს ათ გირვანქიან უროს, ასმევენ იმას რძეს თუ არა? ასმევენ. ეკუთვნის თუ არა? ეკუთვნის. ამრიგად, ყოველი მხარე დაცულია. ეხლა დავაყენოთ კითხვა ჩვენი თავის წინაშე და ვიფიქროთ, რომ უარვყოთ ყოველმხრივ, ვრსად ვერ ვნახავთ მხარეს, სადაც დანაშაული არის. დარჩა ერთი ნაციონალური კითხვა, რომელიც მე-12 ყრილობამ საუცხოვოთ გადაჭრა: ყოველიფერი შენ ენაზე გააკეთეო. რა სჯობია ამას? ამასთან სოციალისტიც იყავიო. რა უჭირს ამას? არაფერი. მაშასადამე, არავის არ მოუყვანივართ ჩვენ აქ. ჩვენ თვითონ მოვედით აქ და ჩვენი ხმა უნდა მივიდეს მე-2 ინტერნაციონალთან, აბრამოვიჩთან, რომელიც გერმანიაში ლაპარაკობს: რუსეთის შეხედვა არ მინდაო, რუსეთში ოქროს წვიმა რომ მოვა, მე მაინც უბრალო წვიმა მეგონებაო. ის ისეა შეშინებული რუსეთისაგან, რომ რუსეთის აღარაფერი უნდა. მე, ქუთაისში, პატივცემულ მარტინოვს შევეკითხე: როდესაც ის იქ მოხსენებებს აკეთებდა და მეც რაღაცეები ვილაპარაკე. მე მას უთხარი—მარტინოვო, სილა რომ გაგარტყა; რას მიზამ, როგორ მიპასუხებ? მან მითხრა—თუ რევოლვერი მაქვს, რევოლვერს გესვრი, თუ არა სტოლს მოვტეხ აგერ ფეხს, და იმას გესვრიო. თუ მე შეურაცხმყავს—მე მეტი სასჯელი მინდა მივაყენოო. მე უთხარი—თქვენ ხომ დიდი სოციალისტი ხართ.—„კი, მაგრამ ადამიანი ვართ, და თუ ჩემს თავზე განვიცადე შეურაცხყოფა, ამას ისე არ გაპატიებო". მე კი მეგონა, რომ გაჩერდება, არ გაიღებს ხმასთქო. ის კი არა, თურმე ქეც მომკლავდა. ასე გახლავთ აბრამოვიჩიც რუსეთის რევოლიუციისადმი განწყობილი. ის გალახა რუსეთის რევოლიუციამ და გარიყა ევროპაში და შეურაცხყოფას ის ვერ ივიწყებს და ფიქრობს, რომ ტიმოთე შენგელიას მისცემს თოფს ხელში, ის აიღებს და ვანო სტურუას ესვრის. (ტაში).

ამისთვის, მე ვფიქრობ, რომ, რადგანაც ჩვენ ერთმანეთი ვნახეთ, ვიბრძოლეთ კიდეც, ჩვენი აზრები გაუზიარეთ ერთმანეთს, ჩვენ აქ მოსული ვართ სრულიად შეგნებულად და ჩვენი მიზანი არის სრულიად დაშლა მეორე ინტერნაციონალისა. და როდესაც ის დაიშლება გაიმარჯვებს რევოლიუცია. ტორმაზი მუშათა კლასისათვის და ამ რევოლიუციისათვის არის მხოლოდ მეორე ინტერნაციონალი. მოუშვი ტორმაზი, ვაგონი დაქანდება. ვინ არის მასთან და ვინ არის ჩვენთან. რამდენი ვართ ჩვენ. 15 000 საუკეთესო ამხანაგები. (ხმა—კარგი დათვლა გცოდნია). და როდესაც ჩვენ იმათ მოვშორდებით და ნამდვილ მუშურ გზას ვნახავთ, უფრო გავიმაგრებთ მკლავს და შევისისხლხორცებთ სოციალიზმს. მაშინ ჩვენი დღევანდელი მოსვლა და სრულიად საქართველოს მენშევიკების სახელით აქ მოქმედება ნიშნავს ყოფ. სოც.-დემ. მენშევიკების პარტიის გაუქმებას. ჩვენ გაუქმებულნი ვართ, ჩვენ ვიბრძოდით ჩვენი მიზნისთვის, ჩვენ საქმეს ვაკეთებდით, გზა იგივე არის. ლენინი ხულიგანი კი არ იყო. ის მებრძოლი იყო, უდიდა რევოლიუციონერი შესაფერ დროს, ნახა მომენტი და მოსეს ვით დაჰკრა კვერთხი, და თქვა: მტერი იქით იყოს, მუშათა კლასი იქითო. ახლა ჩვენ საითაც გვინდა იქით უნდა წავიდეთ სად უნდა ვიყოთ და სად წავალთ ჩვენ—კერზონთან, თუ [illegible] კერზონთან სიცოცხლეს მუშათა კლასთან სიკვდილი მირჩევნია. ამიტომ მოგიწოდებთ [illegible] საქართველოს ყრილობას, რომ ის საბიჯი, რომელიც მან გადადგა, პირნათლად შეასრულოს. და ის დროშა, რომელიც დღეს მან აფრიალა აქ, მესამე ინტერნაციონალთან ერთად მოგვიტანს სრული მსოფლიო მუშათა კლასის გამარჯვებამდე.

ამხ. ნუცუბიძე: ამხანაგებო, მე დღეს არ მქონდა მიზანი, მელაპარაკა დღევანდელ კრებაზე, მაგრამ მე მაიძულა რამდენიმე ამხანაგის აქ გამოსვლამ. და აგრეთვე იმან, რომ ზოგიერთები გზაში შემხვდენ და ვინ იცის რაზე არ ლაპარაკობდენ. გუშინ შემხვდა ერთი ახალგაზრდა მარქსისტი, რომელიც ეკამათებოდა ერთ ჩვენ დელეგატს და ეუბნებოდა: „თქვენ, ყოფილი მენშევიკები ხართო; ჩაქს სცხებთ დღევანდელ სოც.-დემ. პარტიასო". მე გულმა ვერ მომითმინა და შევეალაპარაკე; მან მითხრა; თქვენ უფლება გაქვთ თქვენი სახელით ილაპარაკოთ, და არა ჩვენი სოც. დემ. მუშათა პარტიის სახელითო.—მე უთხარი: შენ ბავშვი ხარ, სრულიად ახალგაზრდა და შენ როგორ უნდა დაგვიშალო; თუ გიჟი ხარ—საგიჟეთში უნდა იჯდე თორემ შენ მე როგორ მიშლი სოც. დემ. პარტიაზე ლაპარაკს. შენ დაბადებულიც არ იყავი მაშინ, როდესაც ჩვენ ამ პარტიაში ვმუშაობდით. ამ სიტყვაზე გადმომხედა, ეწყინა და წავიდა უკან. რაც გინდა ის ქენი—მითხრა. აგრეთვე წუხელ საღამოს აქ გამოვიდნენ ამხანაგები და, მაგალითად, ანკეტების შევსებაზე ლაპარაკობდენ. ზოგი ამბობდა—არ შევავსოთო, ზოგი კი ამბობდა შევავსოთო. ლაპარაკობენ—ეს საქმე ინტელიგენციამ მოაწყოო. მე სხვას ვიტყვი. აქ არის ამხ. შენგელია, რომელიც მოვიდა ჩემთან და მეუბნება საქმე ასეა და ასე ვიმუშაოთო, ასე სჯობიაო. (ჩეკა გიტყოდა, ჩეკა). აქ არავითარი ჩეკა არ ყოფილა. არ ვიცი, შეიძლება ვისმეს უთხრეს, მაგრამ ის რევოლიუციონერი, რომელსაც შეაშინებს ჩეკა, ან ციხე, ის მე ამხანაგათ არ მიმაჩნია და იმას მე ვიტყვი: შორს ჩვენგან. ასეთები ჩვენ არ გვინდა. დაგავიწყდათ, ამხანაგებო, ჟანდარმები, რომ გვტანჯავდნენ, როდესაც თვითმპყრობელობის ჩამოსაგდებათ ვიბრძოდით. სისხლით პოლიცია ობრუჩებს გვჭერდა, მათრახებით გვცემდა, მაგრამ ვიცოდით, რომ ბრძოლა გვქონდა მოსისხლე მტერთან და ამათი არ გვეშინოდა. მე დახვრეტა მქონდა გადაწყვეტილი. მოვიდნენ და მითხრეს—სთხოვე [illegible] ლოზა და გაპატიებსო. მაგრამ მე იმას წინაშე ქუდი არ მოვიხადე. მე ვთქვი: შორს ჩემგან, მე დეე ჩამომახრჩონ, მაგრამ ნიკოლოზს მე პატიებას არ ვთხოვ. მაგრამ ჩვენ

ყრილობის მისასალმებელი დეპეშა ამხ. ლენინს

საქ. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყოფილ წევრთა ყრილობა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ცნობას თქვენი ჯანმრთელობის გაუმჯობესების შესახებ, ათეულ წლობით ერთმანეთს დაშორებული საქართველოს მუშათა კლასი დღეს კვლავ მთლიან ოჯახს უბრუნდება. ჩვენი ყრილობა ამის თავდებია. ამ ისტორიულ მომენტში, როცა 12 ათასი ჩვენი მუშა-ამხანაგები მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ ირაზმება და გადაჭრით უარჰყოფს მეორე ინტერნაციონალის შემთანხმებელ გზას, თქვენი გამომრთელება და კვლავ საქმესთან დაბრუნება მით უფრო სასიხარულო და გამამხნევებელია ჩვენთვის, ამიერიდან ყოველი თქვენი სიტყვა მხურვალე გამოძახილს ჰპოვებს ჩვენს გულში. მთელი ჩვენი რიგები, რომლებიც გამოაბრძმედილი და გაკაჟებულია ათეულ წლობის რევოლიუციონურ ბრძოლაში, პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოთა ძალა-უფლების განმტკიცება-გამაგრებისაკენ იქნება მიმართული

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობას!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციონურ პროლეტარიატს და მის სიამაყეს, გენიალურ ბელადს ამხანაგ ილიჩს!

[illegible] გამოვდივართ და [illegible]ისტების წინა[illegible] რომ ჩეკამ [illegible] საქმეს. [illegible], რომ კომუნისტები იბრძვიან იმ სოციალიზმისათვის, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძოდით. მაშასადამე, ჩვენ არ გვაქვს საზღვარი და ამან მოახდინა გარდატეხა. შიში ამას ვერ მოახდენდა. ჩვენ ქართველები ვართ და რაც მეტი ვიბრძვით, მით ვკაჟდებით, და შიში ჩვენზე გავლენას ვერ ახდენს.

ეს ძალიან ტყუილია. ეს ერთი. მეორე ქუთაისის კონფერენციაზე ვიყავი მე ვუთხარი იქ მათ, რომ „თუ არიან ისეთი, რომელთაც ნამდვილი გულით არ სურთ შეერთება, მათი ურჩევნიათ გავიდენ იმ ბანაკში, სადაც ჩვენი მტრები არიან. ჩვენ ვართ რევოლიუციონერები. ვაკეთებთ რევოლიუციის საქმეს და თუ აქ გგონიათ, რომ ჩვენ ხელს მოგვიწერენ და თვითონ კი იმათ საქმეს გააკეთებენ—უსასტიკეს ბრძოლას გამოუცხადებთ ჩვენ მათ. კომუნისტებს კი არ დავეკითხებით, ჩვენ თითონ დავსჯით. გავიდენ ეხლავე და წავიდენ ფაშისტებთან და სხვა კონტრ-რევოლიუციონერებთან, რომელნიც ლამობენ მუშათა კლასის შთანთქვას. ამხანაგებო, ჩვენი დღევანდელი შეერთება უნდა იყოს ისეთი ურღვეველი, რომ ჩვენ ვერ დაგვაშორებს ვერავინ ერთმანეთისაგან. განა მენშევიკები და ბოლშევიკები ერთი არ ვიყავით. იყო დრო, 1903 წ. ჩვენ პარტიაში განხეთქილება მოხდა და ცალკე წავიდენ ბოლშევიკები. მენშევიკები—ჩვენ ბაქოს მუშები მაინც ვერ დაგვაშორეს ერთმანეთს, მაგრამ საუკეთესო ნაწილი მუშებისა 1907 წელში პროვოკაციის წყალობით ციხეში მოექცა. და როდესაც გამოგვიშვეს სამსახური არ მომცეს და კატორღაში გამგზავნეს. იქ ვიყავი მთელ მსოფლიოსგან მოწყვეტილი და იქ სულ ერთი იყო, ბოლშევიკი იყავი, მენშევიკი თუ ანარქისტი. შემდეგ გამოსვლისა ოქტომბრის რევოლიუციის მერმეთ ჩემი სიმპატია ცოტა არ იყოს ბოლშევიკებისადმი იყო მიმართული. მაგრამ ამხანაგებს რომ ვეტყოდი, ამბობდენ: ვნახოთ ჯერ, საქმე თავისთავად გამოკეთდებაო მაგრამ არ გამოკეთდა. ამხანაგებო, მაშ მე ბევრს აღარ შეგაწყენთ თავს. გაუმარჯოს დღევანდელ შეერთებას, გაუმარჯოს მებრძოლ ოჯახს, რომელიც მიიყვანს მუშათა კლასს იმ გამარჯვებისკენ, რომელსაც ჩვენ სოციალიზმს ვუწოდებთ.

ამხ. ფარნიევი: ამხანაგებო, დანარჩენი ორატორების საყურადღებოთ უნდა განვაცხადო, რომ საკითხის ირგვლივ ილაპარაკონ, თორემ ბევრი ამხანაგი უხვევს საკითხს გვერდს და ავტო-ბიოგრაფიებს გვიკითხავს და ტყვილა დროს გვაკარგვინებს. სიტყვა ეკუთვნის ამხ. ჯიბლაძეს.

ამხ. ჯიბლაძე: მე ამხანაგებო, [illegible] იმისა, რომ თავმჯდომარე აცხადებს საკითხს დაუახლოვდითო, უნდა გითხრათ მართალი, რომ დღეს ჩვენთვის ყველა საკითხი საკითხია, ყოველ ჭირ-ვარამს, რომელიც ჩვენ გულში გვაქვს უნდა ამოწურვა, არ უნდა დარჩეს ჭუჭყი ჩვენს გულში, რომ ჩვენ გარეთ გულწრფელი ვიყოთ. უნდა გითხრათ მართალი, რომ მუშათა კლასს—თავისუფლათ აზროვნების [illegible] ვიყავით დაბალი ფენები ერთნაირი კარნახის ქვეშ. ამ ორი წლის განმავლობაში, ჩვენ ინსტიქტიურად მივდით იმ მუშებთან, რომელნიც იცავენ მუშათა კლასის ინტერესს. ამხანაგებო, მე საშუალება მქონდა ქუთაისის მაზრა, სენაკის მაზრა შემომევლო, ყოფილი ამხანაგები მენახა იქ და მელაპარაკა და ის ბრალდება რომელიც იყო აქ წამოყენებული ვითომდა ძალა დაგვატანესო—არის სრული სიცრუე. იმისთვის, რომ არც ერთს თემში და არც ერთ მაზრაში კონფერენციაზე არ ყოფილა ასეთი საკითხი, რომ თუ მისი სურვილი არ იყო ძალათ ვისმეს მოეყვანა ის შემთხვევა, რომ ზოგიერთი პიროვნებები უარყოფდენ მესამე ინტერნაციონალის პლატფორმის მიღებას. ზოგიერთი მათგანი ლაპარაკობდა: მოგვეცით 20 წელიწადი ამ საკითხში გასარკვევად, მაგრამ შეიძლება ამ დროის განმავლობაში ან სულ დავიღუპოთ ან სულ გავკეთდეთ. რევოლიუციონერი კი არის ის ვინც თავის ტაქტიკას როგორც აქ იყო ნათქვამი 24 საათში სცვლის, დაადგება სწორ ხაზს. აქ ამბობდენ, ის, ვინც ჩვენი სახელით ლაპარაკობენ არც ვიცით ვინ არისო. ალბად არ ჰქონდათ ცნობა თორემ გვიცნობდენ, ვინაიდან უკანასკნელ წამებში, როდესაც სოციალ-დემოკრატიული მთავრობა მიდიოდა, მაშინ სწორეთ აი ამ ყრილობის მოწვევის ინიციატორთაგანს დიდი პასუხისმგებელი ადგილი ეჭირა. აქ არის ამხ. ბერეჟიანი, მან იცის, რომ თავდაცვის უკანასკნელ წუთებში სამტრედიის თავდაცვის კომიტეტში შევდიოდით ტიმოთე შენგელია, ჯიბლაძე და ჩხაიძე. ეხლა კი ამბობენ, რომ მათ არ ვიცნობთო. რომ ჩვენ არალეგალური ცეკა არ გვიცნობს ეს არ არის მართალი. მაგრამ, როდესაც ადამიანს უნდა მიზნები განახორციელოს ყველაფერს ხმარობს. მაგრამ ბრუნდი საშუალებანი ხანდახან ჩაამსხვრევს. მე მტკიცეთ ვდგევარ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე, ნიადაგზე და ვინც შეებრძოლება მას მე მისი მტერი ვიქნები და მას გავჰმირავ. მე არა ვარ ჯაშუში, რომ რომელიმეს მოქმედება დავაბეზღო ჩეკას, მაგრამ მე თითონ ვებრძოლებ მის წინააღმდეგ, მე ვიცავდი ხელისუფლებას, ყოველთვის მის გვერდში ვარ, გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს, გაუმარჯოს სოციალიზმს!

ამხ. ფარნიევი: ამხანაგებო, ჩაწერილია ძალიან ბევრი ორატორები და მე მინდოდა მომეგონებინა იმ ამხანაგებისათვის, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ამ პლატფორმას, რომლის ირგვლივ იყო კამათი—გთხოვთ შეიკავოთ თავი და თუ მოწინააღმდეგეები არიან ვინმე გთხოვთ გამოვიდენ და ილაპარაკონ. სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ცინცაძეს. (ცინცაძე უარს ამბობს) სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ კოტე მურმანოვს.

ამხ. მურმანოვი: ამხანაგებო, (ხმა ადგილიდან: შენი ამხანაგები იქ არიან...) უკაცრავათ აქაც ვიმყოფე. როდესაც შეკითხვა მოხსენებად გადამიქცეს ეს უცოდინარობის ბრალია, ნუ გაგიკვირდებათ. დრო ეხლა დადგა და ვიტყვი. მთელი რიგი ორატორებისა ზიზღს მიცხადებს, რომ ძალდატანებას ადგილი არ ქონიაო. მე კი მინდა განვაცხადო, რომ ამ ორი წლის განმავლობაში, ის, ვინც ამბობს ძალ დატანებას ადგილი არა აქვსო ის ან საქართველოში არ ყოფილა ან ყოფილა და არ ამბობს სიმართლეს, მე ვიყავი დატუსაღებული 21 წლის ქრისტეშობისთვიდან და სანამ ხელი არ მომაწერიეს არ გამომიშვეს. აქ მკითხე: სახელიო, ვინ იყოვო. ისე მევაჭრებოდა ბახტაძე, რომ ასეთ ვაჭრობას არც ერთი ვაჭარი არ იკადრებდა. როგორ გვეხვეწებოდა ხელი მოაწერეთო, კიდეც გვაშინებდა რუსეთში გადაგასახლებთო, იქ სიმშილით მოკვდებითო.. მოვაწერე ხელი ერთხელ მხოლოდ და ოთხჯერ კი ამოვიკითხე გაზეთის ფურცლებში. მე ჩემს ხელს ვიცნობ. მე მხოლოდ ერთხელ მოვაწერე ხელი. კიდეც დამიჭირეს, გადასახლებულთა სიაშიც მომახვედრეს და სანამ არ მოუწერე ხელი არ გამომიშვეს. (ხმები: ლაჩარი ყოფილხარ, დაგიმორჩილა ჩეკამ).

თავმჯდომარე: გთხოვთ ხელს ნუ შეგვიშლით.

მურმანოვი: თავის თავად ცხადია ყველას ერთი მოსაზრება არა აქვს. ჩვენდა საუბედუროთ ეს ფაქტია თორემ ყველა რომ ერთი აზრისა და ერთი მოსაზრების ვიყვეთ მაშინ არ მოხდებოდა ის, რაც ეხლა ხდება, მარქსს არ დაუწყებდით ჯიჯგნას, არა ჩემია და არა ჩემიო. და მეც ვფიქრობ თუ ვილაც რუსეთიდან შემოსულ სხვადასხვა ხალხს შეუძლიან აქ იცხოვრონ, თუ სომხების შოვინისტებს შეუძლიან იცხოვრონ საქართველოში, რათა მე, ქართველ მუშას არ უნდა მქონდეს უფლება, რომ მეც გარეთ თავისუფლათ ვიარო. მეც მინდა [illegible] საქართველოში, ეგებ მოტყუებით, ხელი [illegible] რაც არ მინდა, მაგრამ რა ვქნა. ჩემი აზრი ეს არის, მე ვამბობ ჩემს აზრს. და ზოგიერთ გამოძახილს ვიპოვნი აქაც. როდესაც მე ვთქვი, რომ ჩვენი აქ მოსვლა ნაძალადევი არის, მე მიყვირეს გვარი დაასახელეო ვინ დაგატანა ძალაო. მე გარე კახელი ვარ, საგარეჯოელი. იქ არის ჩეკა და იქ ერთმა ჩეკისტმა თოდუამ და მეორესი გვარი არ მახსოვს რჩევა მომცეს თუ არ წასულხარ იზარალებო. რა უნდა მეზარალოს, შევეკითხე მე. ეხლა რომ წახვიდე ერთი-ორი დღის მუშაობას მოლეო- [illegible] კონფერენციის შესახებ პლაკატს, განცხადებას აკრავდენ იქაური ჩეკა და კომუნისტები. რატომ აკრავდენ ისინი განცხადებას? მართლადა ჩვენი სტოროჟები არ იქნებოდენ. რა თქმა უნდა ბევრი, ასეთი იყო, მაგრამ ყველა მაგის მზგავს არ ჩამოვსთვლით. ერთმა ორატორთაგანმა სთქვა, არამც თუ მენშევიკური ორგანიზაციები ჩვენში, არამედ მეორე ინტერნაციონალი უნდა დავშალოთო. რა თქმა უნდა პიროვნება თავისუფალია, მას შეუძლია ლაპარაკი. მეც ვიტყვი აქაური კომუნისტური ორგანიზაციები გამოაცხადოთ დაშლილათ, მაგრამ ამით ისინი არ დაიშლება. მე ვუსურვებდი იმ ამხანაგებს, ვინც ლაპარაკობს პარტიის დაშლის შესახებ, მთლად ნუ დაკარგავენ სინიდისს და ბრძანებლობის ქვეშ ნუ ჩააყენებენ მენშევიკებს და, ნუ გაილაშქრებენ მათ წინააღმდეგ, ვინც აქ არ მოსულა, ვინც არ სარგებლობს დელეგატის უფლებით—იმათ მაინც ნუ შეურაცყოფთ. და იმათ ნუ აცხადებთ დაშლილათ და გაუქმებულათ.

ჩვენ შეგვიძლიან, როდესაც გამოვდივართ პარტიიდან, ვილაპარაკოთ ჩვენი თავის მაგივრად. სოც.-დემ. პარტიას ჩვენ დაშლილად ვერ გამოვაცხადებთ, ვინაიდან იქ ზოგი მკვდარია, ზოგი ცოცხალი, ზოგი კი ვინ იცის სად. მე კი ამ პარტიაში ვარ, ვიყავი და მოვკვდები კიდეც, რადგანაც კომუნისტური პარტიის ხელისუფლება ნაძალადევი არის და მე, მართალია, დიდი ნაკითხი კაცი არა ვარ, მაგრამ ქართული ნაწერები წამიკითხავს, და არსად არ შემხვედრია, რომ ნაკარნახევი იყოს ვინმესაგან, რომ უცხო ძალები უნდა შემოესიონ, დახოცოს საუკეთესო ნაწილი ხალხისა, შევიდეს სახელმწიფოში და იქ კარგი ცხოვრება მოაწყოს. თუ ასეა, როდესაც ჩვენ 17 წელში საყოველთაო არჩევნებზე ვლაპარაკობდით, რა უჭირდათ კომუნისტებს მიეღოთ ამაში მონაწილეობა და არ გაქცეულიყვნენ აქედან, და არ შემოეყვანათ უცხო ძალები. ამის გამო ჩვენ დიდი მსხვერპლი გავიღეთ, და დღეს კი მაგენი ამბობენ მსხვერპლი არ არის საჭიროო. რაღა მაშინ დასჭირდათ ამ მსხვერპლის გაღება. ნუ თუ დღევანდელი გამოძახილი, როცა ამბობენ, რომ საერთო ენა უნდა გამოვნახოთ, სხვა პარტია ჩვენში არ უნდა იყოს, რადგანაც ერთად ერთი სოციალისტური პარტია არისო, და მისი ხელისუფლება უნდა არსებობდესო. მე არ მინდა ამით დავამტკიცო, რომ ესენი სოციალისტები არ არიან, მაგრამ მათი მოქმედება, რომელსაც ჩვენ ვხედავთ საქართველოში, ზოგიერთების გამოკლებით, სოციალისტური არ არის.

რათ ეშინიათ მათ თავისუფალი არჩევნების? ისინი ამბობენ—დიქტატურა ჩვენ უნდა გვქონდეს ხელშიო. ამის წინააღმდეგი მე არა ვარ, მაგრამ დიქტატურა უნდა იყოს მუშათა კლასის, გლეხობის, პროლეტარიატის ხელში და არა ამის სახელის მომტაცებელ უბრალო ჯგუფის ხელში. ეს ნამდვილი მუშები კი დღეს ციხეებში ყრიან და გზავნიან მათ იმ სიშორეს, სადაც ნიკოლოზიც კი არ გზავნიდა. მე ზიზღს უცხადებ იმ მოძალადეებს, რომელთაც ჩაყარეს ციხეებში ჩვენი ამხანაგები, და ნიკოლოზზე უარესს სჩადიან. (ხმაურობა დარბაზში).

თავმჯდომარე—ფარნიევი. მე ვაცხადებ პრეზიდიუმის სახელით, რომ, ხმაურობა არ იყოს,—მე მგონია ამას ყრილობაც გაიზიარებს—თუ უნდა არა ლეგალურ ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელსაც შეუძლიან წამოვიდეს და ოფიციალურად სთქვას: მე ამა და ამ პარტიის, ჯგუფის, ან ჩემის საკუთარ სახელით ვლაპარაკობ. და მე გთხოვთ ხელს ნუ შეუშლით. ამით დავამტკიცებთ, რომ ჩვენ ჩვენი თავები გვაბია. ჩვენ სურვილი გვაქვს და ახალ გზას ვადგებით. ამიტომ ვისაც რა სურს—ილაპარაკოს. მხოლოდ ილაპარაკოს საკითხების ირგვლივ. სიტყვა ეძლევა ამხ. რუხაძეს.

რუხაძე: ამხანაგებო, მურმანიშვილის აქ გამოსვლას მთელი დარბაზი სიჩუმით შეხვდა. რას ნიშნავს ეს. ეს ნიშნავს იმას, რომ ეს სიტყვა არ იყო გამოძახილი ამ ყრილობის წიაღიდან. ეს არ არის ყრილობის სიტყვა, მისი გამოძახილი. ეს არ არის მუშათა კლასის სიტყვა. ეს არის სიტყვა და გამოძახილი იმ ზოგიერთი ავანტიურისტისა, რომელიც დღეს მოუწოდებს მუშათა კლასს ავანტიურიზმისაკენ და ხრამში გადაჩეხისაკენ. რა თქვა აქ მურმანოვმა? მან სთქვა: მე აქ მოველი იმიტომ, რომ მაიძულა ჩეკამ, მითხრეს, რომ გლახა მოგივა, თუ არ წახვედიო. რომელი რევოლიუციონური იტყვის ამას. განა ასე უნდა იმსჯელოს. ათი ათას ჩეკელს, რაც უნდა ეთქვათ ჩვენთვის, როგორი სასჯელიც არ უნდა გამოემუშავებინა ჩვენთვის, თავის თავად ცხადია, რომ თუ სურვილი არ გვექნებოდა გვეთქვა ის, რაც საჭირო არის, განა ამ სასჯელს შეეძლო 15000 ყოფ. მენშევიკისთვის თავი მოეყარა აქ და თავისი მოწმე გაეხადნა. ციხეში მოვაწერე ხელიო, იძახის ის, იმიტომ, რომ თუ არ მოვაწერდი—გადამასახლებდენო. მე არ ვიცი, რამდენად მართალია ეს ციხის ამბავი და არც გარე-კახეთის ამბავი ჩეკისა ვიცი, რომელიც აქ მოქალაქე მურმანიშვილმა სთქვა. ყოველ შემთხვევაში—ერთია აშკარა. თუ მოქალაქე მურმანიშვილი ესე იქცევა, რომ [illegible], ის არ [illegible] რევოლიუციონერი და ასეთ პირს ჩვენში არ ექნება ადგილი და მე მგონია, არც ბარიკადების იქით მდგომნი მიიღებენ იმას, ვინც ასე ლაჩრულად იქცევა. მურმანოვმა გაიმეორა ის, რაც მე-4 რაიონის კონფერენციაზე გამოსთქვა თარგამაძემ. აქ არაფერი არ არის სოციალისტური, არის ერთი მუჭა ხალხის დიქტატურაო. ის მოგვიწოდებს საერთო არჩევნებისაკენ. ნუ ეშინიანთ ამ არჩევნების კომუნისტებსო და სხვა. არ ვიცი ის გზა, რომლისაკენ მურმანოვი მოგვიწოდებს, დიდი ხანია განვლო ისტორიამ და თუ ვინმე იმეორებს ამას—შემცდარია, ან და განგებ უნდა შეაცდინოს ვინმე. რას ნიშნავს არჩევნები ყველასთან ერთად, როცა შენთან ერთად მღვდელიც არის, მემამულეც, რეაქციონერიც. შეუძლებელია ასე მსჯელობა? შეუძლებელია, მაშინ, როდესაც მუშათა კლასი გაყოფილია ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ, როდესაც ერთის მხრით სდგას მუშათა კლასის მოსისხლე მტერი და მეორე მხრივ—თვით მუშათა კლასი. გამოვიდეს ვინმე და სთქვას: ჩვენ ყველა ერთად შევერთდეთ და ავირჩიოთ პარლამენტი, მივიღოთ საყოველთაო არჩევნები. „ეს არის ღალატი მუშათა კლასის, მშრომელი მასის პრინციპებისა და მისი გზის. ისტორიამ არ გაამართლა ეს გზა რუსეთში, არ გაამართლა საქართველოში, არ ამართლებს ამას გერმანიაში და დღეს აქეთკენ მიწოდება და ამ გზის შესახებ ლაპარაკი ან არაფრის გაგება და არაფრის ცოდნა. არ შეთვისება იმისა, რასაც ცხოვრება ყველა ჩვენგანს უკარნახებს. აქ მურმანოვი ამბობს, რომ ჩვენ ვერ განვაცხადებთ დაშლილათ მენშევიკურ პარტიას; არ ვიცი რა საბუთით ლაპარაკობს ამას ჩვენ კი გვაქვს სხვა საბუთი. აქ არის წარმომადგენელი 12.000 ყოფ. მენშევიკურ პარტიის წევრები, აქ არის წარმოდგენილი მთელი აქტივი მენშევიკურ პარტიისა, საუკეთესო ნაწილი ამ პარტიისა, მთელი მისი უმრავლესობა. და რატომ არ შეიძლება, რომ ამ ყრილობამ განაცხადოს რომ დაშლილად აცხადებს მენშევიკურ პარტიას, და მაინცა და მაინც რათ უნდა მივყვებოდეთ იმ რამდენიმე პირს, რომელნიც შეადგენენ არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტს და პარტიის სახელით ლაპარაკობენ. მურმანოვი ლაპარაკობს უზურპატორობაზე და მიგვიწოდებს თვითონ ამ უზურპაციისაკენ. თქვენ არ ილაპარაკოთ მენშევიკების სახელითო, არ თქვათ, რომ პარტია დაშლილიაო, და ხუთი-ექვსი კაცი, რომელიც არის ფარულ ორგანიზაციაში მოკალათებული, რომელიც არავის არ აურჩევია, იმათ კი ეს შეუძლიანთ. სადაური ლოღიკაა? ვინ აირჩია მენშევიკური ცეკა. (ხმა—მღვდლებმა). არავის აურჩევია. 22 წლის 10 აპრილს სახაზინო თეატრის შენობაში ჩვენ დაშლილად გავაცხადეთ ყოველგვარი მენშევიკური ორგანიზაცია. შემდეგ არ მომხდარა არავითარი არჩევნები და სა-დან წარმოიშვა დღეს ეს ცენტრალური კომიტეტი? სად შესდგა იგი? ვინ აირჩია იგი? ან ისეთ ახალგაზრდებმა, რომელნიც გუშინ გამოვიდნენ და დღეს დიდ რევოლიუციონერათ მოაქვთ თავი და ჰგონიათ, რომ აკეთებენ საქვეყნო საქმეს, მაგრამ, საუბედუროდ, ისინი აკეთებენ მხოლოდ შავი რეაქციის საქმეს. ეხლა უნდა ორიოდე სიტყვით შევეხო მურმანიშვილის გამოსვლას. ინტელიგენცია გუშინ ერთს ამბობდა, დღეს მეორესო. არ ვიცი, რომელ ინტელიგენციაზე არის ლაპარაკი. მაგრამ იმ პირებზე თუ ამბობთ, რომლებიც დღეს აქ გამოდიან და აქტიურ მონაწილეობას იღებენ—ეს შეცდომაა. ჩვენი მოძრაობა იმით დახასიათდება, რომ ის დაიწყო არა ინტელიგენციამ, რომ საძირკველი მას ჩაეყარა არა ინტელიგენტების მიერ, არამედ მის გარეშე. თვით მუშებში დაიბადა, მუშები თვითონ ატარებენ ამ საკითხს და მიდიან ლოღიკურ დასკვნამდე. ეს დაიწყო რკინის გზის სახელოსნოებში. სამტრედიის დეპოში და მუშურ მასებში.

ჩვენ ვეცადეთ, რომ ჩვენი ძველი ლიდერები ჩაგვეთრია. ვწერდით ამის შესახებ, ვეხვეწებოდით, მაგრამ ისინი იმდენად გამწყრალი იყვნენ ამ ოქტომბრის რევოლიუციაზე, რომ ვერ მოინელებინათ ეს პირადი შეურაცხყოფა. რაშია საქმე. როგორ არის დაყენებული კითხვა. ჩვენ ასე ვამბობდით: აი ერთი გზა, აი მეორე გზა, რომელიც გინდათ აირჩიეთ, როგორ ფიქრობთ, ის გზა რომელზედაც თქვენ იდექით, არ არის გზა რეაქციისაკენ. თუ ბოლშევიზმი დამარცხდა რუსეთში, საქართველოს არ დაადგება საშინელი დღეები რეაქციისა? ალბად ეს ასე იქნებაო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უნდა ვებრძოლოთ ბოლშევიკებსაო. რას ნიშნავს ეს? პირადად ეს ელემენტები, რომლებიც ეხლა ჩვენ წინააღმდეგ იბრძვიან, არიან შეურაცყოფილნი, იმათ პორტფელები უნდათ, ისინი ელიან იმ დღეს, როდესაც ხელახლად პორტფელებს ჩაიგდებენ ხელში.

ისინი ელიან იმ დღეს, როდესაც კვლავ დაიბრუნებენ პორტფელებს. მე ვეუბნები მოქ. მურმანოვს, რომ ეს საქმე ინტელიგენციის მიერ არ იყო დაწყებული. თვითონ მუშები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა გაერთიანება, საჭიროა ერთი გზით სიარული [illegible] მთლიანი ოჯახის [illegible] პროლეტარული ოჯახი უნდა შევქმნათ, არ უნდა გვქონდეს სხვადასხვა გზა. ამხანაგებო, იყო დრო, როდესაც არ იყო არც მენშევიზმი, არც ბოლშევიზმი. ჩვენ გვქონდა საბოლოო მიზანი ერთი და გვინდოდა ერთად მივსულიყავით. მაგრამ რევოლიუციონური ბრძოლის პროცესმა გაჰყო ორ ფრთად ჩვენი მიმდინარეობა. ერთი ფრთა გადაეჩეხა კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკში, მეორე გზა შერჩა წმინდა სოციალისტურ გზას და ჩვენ თუ კი შეგნებულათ ვუკეთებთ ანალიზს, ჩვენ გავლილ გზას, სოციალისტური ლოღიკა გვეუბნება, რომ ჩვენ უნდა შევუერთდეთ იმ კომუნისტურ პარტიას, რომლის მიმართულება, გეზი არის დღეს სწორი და საჭირო. მაშასადამე ჩვენ სრულიად შეგნებულად მივდივართ იმ პარტიასთან, რომელსაც ვებრძოდით რამოდენიმე წლის განმავლობაში, მაგრამ ბრძოლის პროცესმა დაგვანახვა ჩვენ, რომ ისინი მართალი იყვნენ, ჩვენ კი შემცდარი ვიყავით. მაგრამ შეცდომების გამოსწორება არ არის დამამცირებელი და ჩირქის მომცხები. ჩვენ რევოლიუციონურ ომში ვართ და ამ ომის დროს შესაძლებელია გამოჩნდეს შეცდომები, მაგრამ რევოლიუციონერის მოვალეობაა გამონახოს ეს შეცდომები, გაუწიოს მათ ანგარიში და გამოასწოროს. ჩვენ გვქონდა შეცდომები, ამ შეცდომებს ვუწევთ ანგარიშს და ვამბობთ, რომ მომავალში აღარ გვექნეს ეს შეცდომები, ჩვენთვის სხვადასხვა გზა იყო დამღუპველი. ჩვენ ვამბობთ, რომ ამიერიდან არ უნდა გვქონდეს სხვადასხვა გზა, ჩვენ უნდა გვქონდეს ერთი მიზანი და ერთი გზა (ტაში).

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის ამხ. ტურას.

მაისურაძე (ტურა): ამხანაგებო, წინასწარ ბოდიში უნდა მოვიხადო, იმიტომ, რომ მე ამნაირ კონფერენციებზე არ ვყოფილვარ და წარმოდგენით მიღალატა აზრმა. აი სწორეთ, როგორც ამხანაგმა სთქვა, ჩემი შეხედულებაც ასეთია. პირველ გასაბჭოების შემდეგ ბათომიდან, რომ დავბრუნდით მოვახდინეთ მენშევიკების კონფერენცია სახაზინო თეატრში, იქ ჩვენ ვამბობდით: კომუნისტები თავის მოქმედებით ისე შეაძულებენ ხალხს თავს, რომ თავის თავად მოკვდებიან და მათ ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლა არ დაგვჭირდება. ვინაიდან ყველა იძახდენ კომუნისტები დაგლუპავენო, მეც ვამბობდი, რომ მაგენი წვრილ საკუთრებას ეხლავე გაანადგურებენ და ეს ხალხში გამოიწვევს საშინელ არევ დარევას. ეს მოახდენდა რევოლიუციის წაგებას მათთვის, და ჩვენთვის სასურველი იყო ბოლშევიკები დაგვემარცხებია. მაგრამ დროთა განმავლობაში გარემოებამ ფერი იცვალა: იმ მემამულეს, რომელსაც ჩვენ დაუტოვეთ 14 დესეტინა მიწა, ეხლა დარჩა ოთხნახევარი დესეტინა და არევ-დარევა კი არა პირიქით, იმ კომისიას, რომელმაც მათ მიწა ჩამოართვა მშვენივრად შეხვდნენ. კარგი სადილიც აჭამეს. ჩვენ კი გვეგონა, რომ ჯოხებით თავ-პირს დაამტვრევდენ. თუ ვიდექით იმ პლატფორმაზე იმიტომ, რომ არ გამოწვეულიყო არევ-დარევა. ბოლშევიკებმა კი ერთბაშად დაჰკრეს და გადასწყვიტეს ეს საკითხი. რაიცა შეეხება იმას, რომ ჩვენ დაუწყეთ კრიტიკა, როგორც ზოგიერთმა წეღან სთქვა, დაგმონ მეორე ინტერნაციონალი, ერთი აძაგა, მეორე აქო, არც ამის დროა. რატომ? იმიტომ, რომ შეცდომები, დეფექტები, გვქონდა როგორც ერთს ისე მეორეს, მაგრამ ამის გამოკვლევა რომ დავიწყოთ მთელი მილიარდების ქაღალდი არ ეყოფა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ შეცდომების დაშვება დანაშაული არ არის. ეხლა საერთაშორისო პროლეტარიატისათვის არის საჭირო არამც თუ მარტო მენშევიკების და ბოლშევიკების შეერთება, არამედ ყველა სოციალისტების, ვინაიდან ყველას მიზანი და იდეა არის სოციალიზმი, მხოლოდ სხვა დასხვა გზა აქვთ მის მისაღწევად, მაგრამ შესაერთებელი გზა არ უნდა გამოინახოს?—უნდა გამოინახოს. ნათქვამია სულ ხომ სახლი არ უნდა ვაშენოთ. გვინდა შიგ ცხოვრება. მე ცამეტი აღდგომა ციხეში გავატარე, და კიდევ უნდა ვიყო ციხეში? რატომ, რისთვის? ვისაც გუშინ ვებრძოდით, მას დღეს მამული დაუბრუნონ? პირიქით არა თუ ხელი შეუშალოთ ამას, არამედ კნოპკა უნდა დავარტყათ იქ, სადაც აკლია. მე მითქვამს რამდენჯერმე ნეტავ შემახვედრა ჟორდანია და მახარაძე, როდესაც ჟორდანიას ვხედავდი იქ მახარაძე არ იყო, დღეს ვხედავ მახარაძეს ჟორდანია არ არის. მე მინდა უთხრა მათ ერთად: თქვენ ხართ ხალხის ბელადები. მე ვერ წარმომიდგენია, რომ ან ჟორდანია ან მახარაძე იყოს ხალხის მტერი. მოწამე ვართ ჟორდანიას სიტყვების 17 წელში, მქონდა შეკითხვა; ბოლოს და ბოლოს თუ სოციალისტები ვართ როგორც ბოლშევიკები ისე მენშევიკები, ამდენი დავა და განხეთქილება ჩვენ შორის რაღა არის. მან მითხრა: ჩვენ არ ვამბობთ, რომ კომუნისტები ჩვენი მტრები არიან, მაგრამ იმათი გზა სხვა არის და ისინი ამ გზაზე დამარცხდებიან. საქართველოში კი სულ სხვა პირობებია, აქ უფრო მოუხერხებელია ბოლშევიზმი, აქ უფრო სხვანაირი კუთხეა და აქ ძალიან ძნელია მისი გატარება, ეს გამოიწვევს დიდ ანარქიას. თუ ჩვენ დავინახეთ, რომ რუსეთში კომუნისტების საქმე კარგათ წაიყვანეს, ჩვენ რაღა დაგვრჩენია. და მახსოვს ჩალის ქუდი ქონდა, აიღო ხელში და შემოატრიალა და სთქვა: აი როგორც ამ ქუდის შემოტრიალება არის ადვილი ისევე ადვილია სოციალისტური სახელმწიფოს გამოცხადება. კენჭის ყრაზე ლაპარაკობდენ, რომ თუ კომუნისტებს ჰქონდათ ძალა ხალხში, აი არჩევნები იხმარონ მოწინააღმდეგენის წინააღმდეგ და თანაც კენჭის უფლებას აძლევდნენ მღვდელს-თავად-აზნაურებს და მემამულეებს. დავდგებოდით ერთის მხრით ჩვენ, მეორე მხრით ისინი, მაშინ რევოლიუცია ვერ გაიმარჯვებდა. ბოლოს და ბოლოს მე არ ვიყავი მომხრე დამფუძნებელი კრების გარეკვის თუმცა იქ მილიუკოვი იჯდა, მე ვამბობდი რა უყოთ არ არის კარგი, მაგრამ ისინი ოთხი არიან და ჩვენ კი ასი ვიყავით. მაგრამ თურმე ჰქონია ძალა, ეს ძალა გახლავთ პროლეტარიატის დიქტატურა. ამხ. მურმანოვმა, რომელიც გარე კახელი არის ჩემი რაიონიდან გახლავთ. მე არ მოველოდი იმას, რაც მან სთქვა. მართალია ის იყო ციხეში, მაგრამ მე 13 აღდგომა გამიტარებია ციხეში 11—ნიკოლოზის დროს და ორი ამათ ხელში. მაგრამ რაც შეეხება მის ლაპარაკს, ის, რაც მან აქ სთქვა, მაგისთვისაც არავის დაუვალებია. (ხმა პრეზიდიუმიდან: აქ დაავალა მენშევიკურმა ცეკამ) დეკლარაცია გაქვსთ ჩვენი რაიონიდან წარმოდგენილი ხელმოწერილი, თუ ამას სხვა დააბარეს და დეკლარაციაში სხვა დასწერეს ამომრჩევლებმა, ეს არ ვიცი. მაგრამ ეს არ არის ნამდვილი. მისთვის ეს არ დაუვალებიათ. რაიც შეეხება საერთო გზას, ჩვენ ყოველთვის ვიცავდით მას და აი სწორეთ დღეს არის ამის მომენტი, ან ჩვენ გამოვიდოდით ინიციატორები ან სხვა, რომ ასე თუ ისე, ამ საისტორიო დღით ვისარგებლოთ. მე დღეს ჩვენს თავს ვგრძნობ როგორც ჩემს სახლში. მე ერთის ძაგება და მეორეს ქება რომ მქონდეს აზრათ, დრო არ მინდა, მე ვამბობ ამას ხაზგასმით. ჩვენ დღეს საკმაოთ გავლანძღეთ და საკმაოთ გავლანძღეთ ჩვენი აკვანი. რა არ სთქვეს, ძაგება მათი, ქურდებიც უწოდეს, ასე რომ ვილაპარაკოთ ცილისწამება სხვაზედაც არის. ყური რომ დაგვეგდო ამისთვის ბევრს ლაპარაკობდენ ბოლშევიკებზედაც. აი ვაგონები წაიღეს ბოლშევიკებმა, გაზიდეს ყველაფერიო. ამას ბოლო უნდა მოეღოს. ამას ხაზგასმით ვამბობ მე. აქ ამბობენ გვაქვს თუ არა უფლება პარტიის ლიკვიდაცია გამოვაცხადოთ. იურიდიული უფლება ჩვენ არა გვაქვს. ჩვენ ვამბობთ, რომ იმ პარტიას აღარ ვეკუთვნით. და თუ ვისმეს შესწევს კიდევ ძალღონე ბრძოლის იბრძოლოს, მაგრამ პასუხი აგოს თითონ. აი მე გამიგონია ჩხეიძის სიტყვა კერენსკის დროს, როდესაც კონფლიქტი ხდებოდა, ის ამბობდა: მე მაშინებს აგლეჯილი დათვის შეხვედრა. იმას მხედველობაში ქონდა რუსეთის მასა და ამიტომაც წამოვიდა აქეთკენ. რა თქმა უნდა პორტფელი აღარ ქონდა, ადგილი აღარ ქონდა და წამოვიდა. ის წამოვიდა შიშისაგან არ ქონდა რწმენა, რომ მუშები გაიმარჯვებდნენ შეერთებული ძალით. ინტელიგენციაზე, რომ ლაპარაკობდენ უნდა ვსთქვათ, რომ ძალიან ხშირად აღარ გვატყუებდნენ, ჩვენც ხანდახან ვატყუებდით მათ. მე ინტელიგენტი არა ვარ. მე გლეხი ვარ, ხანდახან, თუ გამოვდივარ და ერთ ორ სიტყვას ვიტყვი ეს არ ნიშნავს, რომ ინტელიგენტი ვარ. ჩვენ სათათბიროში გავისტუმრეთ დეპუტატები და ვუთხარით მათ: თქვენ იქ იბრძოლეთ და ჩვენ აქ ვიბრძვით. ჩვენ ისინი მოვატყუეთ. არჩილ ჯაფარიძემ იბრძოლა, ის მკვდარი ჩამოგვიტანეს. ჩვენ ბოდიში უნდა მოვიხადოთ მის წინაშე: ამხანაგო თქვენ მოკვდით ბრძოლაში და ჩვენ კი აქ არ ვიბრძოლეთ. ჩვენ ვეძახით მოღალატეებს და ჩვენ კი ვუღალატეთ. კაცი თუ თავის რწმენის არ არის, იყურება აქეთ იქეთ ბეცივით, ეს არის გამოუცდელობის ბრალი. ამის შემდეგ სირცხვილია, რომ ჩვენ ძველ მუშებს ანბანს გვასწავლიდენ ისეთი ახალგაზრდები, როგორც წეღან სთქვეს ერთ მარქსისტზე. გამოდიან და გვეუბნებიან: კრინტი არ დასძრათო. თუ კი მთელ მსოფლიოში ერთი კაცის ასხმული ძაფივით შეიქნა ასეთი ძლიერი პარტია, რატომ არ შეიძლება ჩვენ გამოვიდეთ და ვსთქვათ ჩვენი აზრი: რომ ჩვენ ვიყავით მენშევიკურ პარტიაში, მაგრამ ეხლა გამოვდივართ და ეს ოჯახი არ მიგვაჩნია ჩვენ ოჯახათ. მაგრამ მე იმას თავდები არ გავხდები, რომ ამის შემდეგ პოლქვეშ არავინ იმუშავებს.

თუ იმუშავებს, პასუხსაც თვითონ გასცემს. მე მხოლოდ ერთს ვიტყვი. გამარჯვება უთხრათ ჩვენ იმ პირებს, რომლებმაც ყველაზე წინეთ გამოსთქვეს ეს აზრი შეერთებაზე. შეიძლება გულში ბევრს ქონდა, მაგრამ სანამ გოგოლაძე წერილს დასწერდა, არავინ ამხელდა. მერე ყველამ გაიძახა—ჩვენც ეს გვინდოდა, ჩვენცო. აი ვინც იყო—ძაფის წვერის პირველი გამომნახველი. ამ ინიციატორებს უსურვებ გამარჯვებას. (ტაში).

მარტინოვი. (ლაპარაკობს რუსულად*).

(გაგრძელება ხვალ).

---

*) მოთავსებული იქნება.

მისალმებანი კომპარტიის ცეკას

ახალციხის ყოფ. მენშევიკებისაგან.

ახალციხის ყოფილი მენშევიკების სამაზრო კონფერენცია მოგესალმებათ თქვენ—რევოლიუციის მებაირახტრეებს და ფიცსა ვსდებთ, რომ ამიერიდან ჩვენც ვიბრძოლებთ კომინტერნის დროშის ქვეშ.

პრეზიდიუმი.

ახალქალაქის ყოფ. მენშევიკებისაგან.

ახალქალაქის ყოფილ მენშევიკების სამაზრო კონფერენცია გესალმებათ თქვენ—რევოლიუციის ბელადებს და გისურვებთ, რომ მომავალშიც ყოფილიყოთ მუშათა მოძრაობის მნათობნი. გაუმარჯოს კომინტერნს!

პრეზიდიუმი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(27 აგვისტო).

ჩერვონცები — — —	37,000
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ.—	2,450
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	36,600
ჩეკები —	35,000
დოლარები ეფექტ. —	8050
„ ჩეკები —	7350
ოსმ. ქაღ. ლირა	5100
იტალიური ლირა — —	250
ფრანგული ფრანკი —	340
საბჭ. ფულის ნიშ.	19

მუშკოპის ფასები.

(27 აგვისტო).

პური გირ.—120 ათ. ნატეხი შაქარი—2 მილ., ფხვნილი შაქარი—1.550 ათ. ძროხის ხორცი—450. თუშური ყველი 1 მილ., მაკარონი—550. ვერმიშელი—525. ბრინჯი—375. მზესუმზირას ზეთი—950. კარტოფილი—75. საპონი „ტოლლე“—1,100 ათ., მარილი—150. კვერცხი 10 ც.,—700 ხახვი—125.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(27 აგვისტო).

პური 1 ხარ.—300 ათასი. პური 2 ხარ.—200. ფქვილი—350. ნატეხი შაქარი—2,300 ათ., ფხვნილი შაქარი—1.800. ერბო—1.800—2200. კარაქი—1.800-2.300. მზესუმზირას ზეთი—1,300. თუშური ყველი—850-1.200. იმერული ყველი—700 ათასი. ძროხის ხორცი 600—ცხვრის ხორცი—800-850, კარტოფილი—75-100. წითელი ლობიო—80-90. მწვანე ლობიო—100. კომბოსტო—200. პამიდორი—150-250. საპონი „ტოლლე“ 1.200. მარმარილოს საპონი—1.100. კვერცხები 10 ც.—650-700.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(27 აგვისტოს)

ფხვნილი შაქარი რუსეთის, ფრანგული გაწმენდილი სკიპიდარი, გაზია და წყალსადენის მილები, ინგლისური თითრი თუნუქა, გამომწვარი აგურები, ფანჯრის მინები, ბოთლები, კაუსტიკური სოდა რუსეთის, რ. ს. ფ. ს. რ. ხორბალი და პურის პროდუქტები, ასანთი რუსეთის, ს. მ. უ. ს. საფეიქრო-საპნისა და ზეთის ტრესტის პროდუქცია, ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროსიის, სახურავის რკინეულობა, ქაღალდი და კარტონები, რკინეულობა, ნახიჩევანის ქვა მარილი.

ქრონიკა

— **სპეციალური ტექნიკუმები.** განათლების კომისარიატის დადგენილებით ტფილისის მე-11, მე-16 და მე-20 ტექნიკუმები გადაკეთდა სპეციალურ-ქიმიურ ტექნიკუმებად, რომლებში შესვლისათვის საჭიროა ჩაბარება კოლოკვიუმებისა ქართულ ენაში, ფიზიკაში, არითმეტიკაში და ბუნებისმეტყველებაში შრომის სკოლის კურსის ფარგლებში. თხოვნების მიღება გრძელდება სექტემბრის 5-დე. კოლოკვიუმები დაიწყება სექტემბრის 10-ს.

— **აგრარული რეფორმა ტფილისის მაზრაში.** ქალ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა შესდგეს კომისია 3 წევრისაგან, რომელიც მიწადმოქმედების განყოფილებასთან ერთად მიიღებს სათანადო ზომებს ტფილისის მაზრაში აგრარული რეფორმის დასამთავრებლად.

— **სანიტარული განათლება.** ჯანმრთელობის კომისარიატის ცნობებით ბორჩალოს მაზრაში წელს სანიტარულ განათლების დარგში სწარმოებდა გაცხოველებული მუშაობა. 1 მაისიდან 1 ივლისამდე შულავერში მოუწყვიათ 13 საუბარი და 2 ლექცია სანიტარული განათლების შესახებ.

— **ქართული ენის კურსები.** სექტემბრის პირველ რიცხვებში ჯანმრთელობის კომისარიატთან გაიხსნება ქართული ენის კურსები.

— **მოხსენება.** დღეს, 28 აგვისტოს ევანგულოვის ქ. № 12, შესდგება ჯანმრთელობის კომისარიატის თანამშრომელთა საერთო კრება, რომელზედაც ამხ. ჩიქოვანი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „უკანასკნელი ამბები გერმანიაში“.

— **აგრო-დახმარების ყრილობა.** ახლო ხანში თელავის მაზრაში ადგილობრივ მიწად-განყოფილების მიერ მოწვეულ იქნება აგრო-დახმარების სამაზრო ყრილობა.

— **საარშინო გადასახადი.** ქალაქის აღმასკომის კომუნალურ მეურნეობის განყოფილების დადგენილებით საარშინო გადასახადის შემოტანის ვადა განისაზღვრება ოთხი თვით, რომლის შემდეგ განყოფილებას უფლება ეძლევა სახლის პატრონის უძრავი ქონების გაყიდვისა.

— **დახმარება.** თელავის სამაზრო აღმასკომმა მსახიობ დავით აწყურელის და კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის ოჯახს დაუნიშნა ყოველთვიური დახმარება.

— **ქართული კინო-სექცია.** ქართული კინო-სექცია ამჟამად მუშაობს „წითელი ეშმაკების“ უკანასკნელ სურათზე.

— **მიწერილობები პროვინციის დამზღვევ კასებს.** რესპუბლიკის სოციალურ დამზღვევ კასის კოლეგიამ პროვინციის დამზღვევ კასებს დაუგზავნა ცირკულიარული მიწერილობები, რათა დაუყოვნებლივ გაასწორონ ძველი დავალიანება, ხოლო შემდეგში ანგარიშების გასწორება აწარმონ ყოველ ორი თვის განმავლობაში.

— **ჟურნალი „კოოპერაცია“.** 1-ლ ენკენისთვიდან ტფილისში გამოვა ქართული ჟურნალი „კოოპერაცია“ კოოპერატორ იასონ გაბილაიას რედაქტორობით.

— **ახალი კოოპერატივის დაარსება.** განზრახულია ტფილისში დაარსდეს საქართველოს მასშტაბით სააგარაკო კოოპერატივი „გული“.

— **ხანძარი.** 24 აგვისტოს, მე-7-ე სამილიციო ნაწილში, № სასურსათო საწყობში გაჩნდა ცეცხლი, რომელიც ცეცხლის მქრობელმა რაზმა სასწრაფოთ ჩააქრო.

ახალი კლუბი. ამ დღეებში ვერის უბანში გაიხსნება მუშათა ახალი კლუბი. საინიციატივო ჯგუფი დაჩქარებით აწარმოებს საჭირო შენობის შეკეთება-მოწყობას.

მეურმეების გაძარცვა. ტფილისიდან მარტყოფისაკენ მიმავალ მეურმეებს გზაში თავს დაესხენ ყაჩაღები და გაძარცვეს. ერთი ბოროტ გამზრახველთაგანი უკვე შეიპყრეს.

— **ქურდობა** მე-11 სამილიციო უბანში, ხუდადოვის ქ. 24 აგვისტოს ღამით გაქურდეს ელ. ტომარაძის ბინა, საიდანაც წაიღეს 1 მილიარდის ნივთები.

მისაბაძი მაგალითი. ა. კ. სახელმწიფო დაზღვევის განყოფილების მუშა-მოსამსახურეებმა დაადგინეს: აგვისტოდან ყოველთვიურათ ჯამაგირიდან წითელი საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ გადასდონ ნახევარი პროცენტი.

შრომის სახალხო სასამართლოში.

— **ჯამაგირის არ მიცემისათვის.** შრომის სახ. სასამართლომ ირ. სურგულაძის თავმჯდომარეობით, დაადგინა სასტუმრო „თელავის“ პატრონმა მოქ. კვიჩირელმა დაუყოვნებლივ მისცეს მაისის თვის ჯამაგირი მოსამსახურეს მარგარიტა კოსტანიანცს.

— **„გერმანულ კოოპერატივის“ მუშათა საქმე.** შრომის სახ. სასამართლომ ირ. სურგულაძის თავმჯდომარეობით დაადგინა. „გერმანულმა კოოპერაციის“ გამგეობამ კოოპერატივის გაყიდვის გამო მუშებს მისცეს სალიკვიდაციოს სახით ორმოცდაათ საქონლის მანეთი და 95 კაპ. კასსაციის უფლებით.

— **კომპენსაციის მიუცემლობის შესახებ.** ამავე სასამართლომ დაადგინა ა.-კ. რკინისგზის სამმართველომ მოსამსახურეს ლავრენტი შავნგირაძეს მისცეს შვებულებით არ სარგებლობის გამო კომპენსაცია 8 დღის ანგარიშით.

— შრ. სახ. სასამართლომ ირ. სურგულაძის თავმჯდომარეობით დაადგინა: ელისაბედ იაცენტკოვსკაიამ ხელზე მოსამსახურეს არშაკ მესკაროვს, რომელსაც აღნიშნულ იაცენტკოვსკაიასთან უმსახურნია ორი თვე, ხოლო ჯამაგირი დღემდე არ მიუცია, ბეკაროვის სასარგებლოთ გადაიხადოს დღემდე 5 საქონლის მან. [illegible] 33 მ. და 60 კაპ.

ხელოვნება

რამდენიმე სიტყვა სიმფონიურ ორკესტრზე და სიმფონიურ მუსიკის სალამოთ მ. ნეიმანის დირიჟორობით.

მშვენიერი კულტურული საქმე, მუსიკალური განათლების გავრცელება ხალხის მასებს შორის სიმფონიური კონცერტების გამართვის საშუალებით, როგორც გავს, რაღაც მძიმე კრიზისს განიცდის, რომელიც დღემდე ვერ იქნა მოგვარებული. უკანასკნელ დროის განმავლობაში ეს ერთი თვეა უკვე აღარ იმართება სიმფონიური კონცერტები შერჩეული პროგრამით, რეპერტუარი არ ახლდება და სიმფონიური მუსიკის სალამოებზე ორკესტრის მუსიკოსები რაღაც აპატიას, გულგრილობას იჩენენ; მუსიკალური ნაწარმოებები სრულდება უექსპრესიოთ, თითქოს ვალდებულების გამო. უმეტეს შემთხვევაში შესრულება მკრთალი და ტრაფარეტულია.

რა არის ამის მიზეზი? დირიჟორები ხომ ისევ ძველებია, ორკესტრიც ხომ იგივეა, მიუხედავათ ამისა შესრულება ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ხმების მიხედვით ორკესტრის აპატიური განწყობილების მიზეზი არის ორკესტრის მუსიკოსების არა საკმაო მატერიალური უზრუნველყოფა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ორკესტრს დიდი სამუშაოს წარმოება უხდება, თუნდაც მარტო ის, რომ კონცერტები ყოველ დღე იმართება და მუსიკოსებმა რეპეტიციებზე უნდა იარონ, და აგრეთვე ამას, რომ თითქმის ყველა მუსიკოსები დატვირთული არიან ოჯახით- სამართლიანობა მოითხოვს, რომ მათი შრომა განსაკუთრებით ფასდებოდეს, რასაკვირველია ამისათვის ბევრი საშუალებებია საჭირო.

მაგრამ როდესაც ხედავ, რომ ოპერის ბევრი მსახიობები და კონცერტმეისტრები კარგათ არიან უზრუნველყოფილნი და კონცერტებზე გამოსვლით მაინცადამაინც ხშირათ არ იწუხებენ თავს, უნებურად გებადება კითხვა, რისთვის ღებულობენ ზაფხულში ჯამაგირს ოპერის მსახიობები და კონცერტმეისტერები? უმჯობესი

მუშათა ცხოვრება

ლონიერი მუშა—ლონიერი მრეწველობის საფუძველია

(თამბაქოს ტრესტის საყურადღებოდ)

ყოველი საწარმოვო დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ მისი მუშა ცხადდებოდეს სამუშაოზე სრულებით ჯანსაღი და მოსვენებული ძალღონით.

ამ მხრივ თამბაქოს ტრესტი არ იჩენს არავითარ მზრუნველობას თავისი მუშებისადმი.

ა. | წ. ივლისში, გაზეთ „კომუნისტ"-ში იყო მოთავსებული შენიშვნა—ზოგიერთი ქალაქის განაპირა მცხოვრებ მუშებისთვის ტრამვაით მიმოსვლის უფლების ნიცემის შესახებ—ისე—როგორც ასეთი უფლება აქვთ შორს მცხოვრებ რკინისგზელებს, ყოფილ არამიანცის საავადმყოფოს მუშა-თანამშრომლებს და თვით ტრამვაის მუშებს.

მაგრამ აღნიშნულ შენიშვნის შედეგი დღემდე არ სჩანს. ტრესტი პასუხსაც არ გვცემს და ჩვენ ძველებურად გვიხდება თითქმის კაშკაშ მთვარისთან ერთად გათენებამდე შორი გზით სიარული, რომ ქარხანაში დაუგვიანებლად გამოვცხადდეთ. ჩვენ გვიკვირს, თუ ტრესტმა ვერაფერი გააწყო ტრამვაის დირექციასთან, რაშიდაც ჩვენ ეჭვი შეგვდის, რატომ არ შეიძლება ამ საქმეში გამოყენებულ იქნეს ქარხნების საბარგო ავტომობილები მაინც? მდგომარეობა ასე თუ ისე უნდა შეიცვალოს და მუშის კანონიერი მოთხოვნილება უნდა იქნეს დაკმაყოფილებული აუცილებლად.

მეთამბაქე მუშა ხახზო.

პროფკავშირთა მუშათა კლუბში

(შრომის კომისარიატის საყურადღებოდ)

პროფკავშირთა მუშათა კლუბში, ძმებს ამაშუკელებს აღებული აქვთ ბუფეტი. ეს ვაჟბატონები 8 საათის სამუშაო დღის მუშაობის მაგივრად ამუშავებენ 14—15 საათს იქაურ მუშა-მოსამსახურეებს. მუშები სამსახურში დილით მოდიან და მეორე დღეს მიდიან სახლში.

მუშები ჯამაგირს თავის დროზე ვერ იღებენ. მათ აპრილის და მაისის ჯამაგირები არ მიუღიათ ჯერ. ზოგიერთ მუშას საანგარიშო წიგნაკიც არა აქვს. კვირა და უქმე დღეებში ამუშავებენ მათ ისე, როგორც უბრალო სამუშაო დღეს და არ აძლევენ მათ ზედმეტ საათების ხელფასს. რას წარმოადგენს ამ შემთხვევაში ადგილკომი? არაფერს, ალბად ის ერთგვარ ნათესაობა-ბიძაშვილობას იწევს შრომის ექსპლოატატორებთან და ამ უსამართლობას ყურადღებას არ აქცევს. პროფკავშირი მაინც რაღას აკეთებს ამ უწესობის აღმოსაფხვრელად? იქნებ არ ატყობინებენ მას სრულებით ამის შესახებ? ყოვლად შეუძლებელია ასეთი ექსპლოატაციის დაშვება იქ, სადაც იმყოფება ადგილკომი. ბოლო უნდა მოეღოს ამნაირ უწყალო „ხაზეინების" თარეშს. უნდა აილაგმოს აუცილებლად მუშის მჩაგვრელები და მათი სისხლის მსმელები. თვით აღნიშნულ ბუფეტის პატრონებს არც შიათ, არც სცივათ და არც ახალ-ახალ ტანთსაცმელს იკლებენ, თუ დასჭირდათ, რამდენიმე ას მილიონებსაც ხარჯავენ, მუშებს ჯამაგირით კი 4—5 თვით არ უსწორდებიან. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება პროფკავშირის მიერ და დაცულ იქნენ მუშები. ექსპლოატაციის წინააღმდეგ უნდა იქნეს მიღებული სასტიკი ზომები ვისგანაც ჯერ არს და მუშებს თავისი ნაშრომი უნდა მიეცეს თავის დროზე.

მუშკორი ახოთ-ამწყობი.

კიდევ უბინაობაზე

(ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ)

თანამედროვე საბინაო კრიზისი ალარავისათვის გასაკვირველი აღარაა და მასზე თავის მტერევასა და უკმაყოფილებას ყოველ ნაბიჯზე ხვდება ადამიანი. ამ კრიზისს ყველაზე უფრო მუშები განიცდიან, რომელნიც თავიდანვე უბინაოდ დარჩნენ და თუ აქვთ, საცხოვრებლად სრულიად უვარგისი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი.

როგორც მრავალი სხვა, ისე გემოკვების № 14 საქარხნო კომიტეტის, მტკვრის წისქვილების მუშებიც, ამ მხრივ მეტად ცუდ მდგომარეობას განიცდიან. მათი უმრავლესობა ბნელ სარდაფებში სცხოვრობს, მათი მდგომარეობა კატასტროფიულია.

ბინის მომაკვდინებელი პირობები თანდათან ცლის მათ პატიოსანი შრომით თავის რჩენის ენერგიას და უდროოდ ასალმებს წუთისოფელს.

ზემოხსენებულ მუშების მდგომარეობის შესამსუბუქებლად, თუმცა ზომები დიდი ხანია მიღებულია, (აღრიცხულია კავშირისათვის ერთი სახლი, რომელშიაც მათ უნდა მიცემოდათ ბინები), მაგრამ დღემდი შედეგი არაფერი მიღებულა.

საჭიროა მათ ასეთ მდგომარეობაზე, გემო-კვების კავშირის ყურადღების მიქცევა და მათი ასეთი უბედურებისაგან გამოსაყვანად ფრიად სასწრაფო ზომების მიღება.

მუშკორი ველი.

ბათომის საბაჟოში

აღნიშნულ საბაჟოში ამჟამად მსახურობს 85 თანამშრომელი, რომელთაგან ქალი არის 6.

ყველა ეს მუშა-მოსამსახურეები ირიცხებიან პროფკავშირის წევრებათ.

ნივთიერი მდგომარეობა ამ მუშა-მოსამსახურეთა დამაკმაყოფილებელია, მოწესრიგებულია და ნორმალურ დონეზე დაყენებულია მათი შრომის ხელფასი; მხოლოდ ხანდახან საკმაო დროით იგვიანებს ხოლმე ხელფასის დარიგება მუშა-მოსამსახურეებისათვის. საგრძნობლად აწუხებს თანამშრომელთა ეს გარემოება და ამის მოწესრიგებას უნდა მიაქციოს დიდი ყურადღება საბაჟოს ადმინისტრაციამ.

კულტმუშაობაც აღნიშნულ მუშებს შორის დამაკმაყოფილებელია. მუშები აღშფოთებაში მოყავს იმ პროვოკაციულ ხმებს, თითქოს საბაჟოს მუშა-მოსამსახურენი ათასნაირ „თაღლითობას" და „კომბინაციებს" ეწეოდნენ. ეს ხმები სინამდვილეს სრულებით მოშორებულია. ამ უსინდისო მოქმედებას ეწევიან სპეკულიანტ-ვაჭრები.

მართალია, საბაჟოს გარშემო ასეთ გამათახსირებელ „თაღლითობას" და „მახინაციებს" აქვს ადგილი, მაგრამ ეს სრულებით არაა აქაური მუშების ბრალი, მას ეწევიან ის ექსპედიტორები, რომელთაც აქვთ ვაჭრებისაგან დავალება საქონლის გამოსყიდვისა და სხვა. ეს უკანასკნელნი არიან მუშა-მოსამსახურეთა პატიოსან ქცევის რწმენას მოსისხლე მტერნი და რომ შელახონ მათი პრესტიჟი, ისინი ავრცელებენ სხვადასხვა პროვოკაციულ ხმებს. მათი მახინაციების წინააღმდეგ უნდა იბრძოლონ მუშათა ორგანიზაციებმა.

მუშკორი ჩხმელი.

სახალხო სახლში

1923 წ. 16 აგვისტოს სახალხო სახლთან არსებულ ქართულ დრამატიულ დასის სარეპეტიციო დარბაზში მოხდა ამავე წრის მსახიობთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეობდა ალ. თავდგირიძე, მდივნობდა ივერელი.

დღიურ წესრიგში იდგა გამგეობის გადადგომა და ახალი გამგეობის არჩევნები.

მოხსენებას ამ საკითხის შესახებ აკეთებს ამხ. სამ. ტოროშელიძე, რომელმაც განაცხადა, რომ გამგეობა თავისთავს გადადგომილად აცხადებს, და მოუწოდებს კრებას ახალი გამგეობის არჩევნებზე.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, ფარული კენჭის ყრით გამგეობაში არჩეულ იქმნენ: ს. ახვლედიანი, სამ. ტოროშელიძე, ვარაზაშვილი, აბელიშვილი, ნიკო გერგესელი, კ. სალირაშვილი და ს. გესელიძე.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნენ: ს. რომანიშვილი, ს. ჯულელი და ალ. თავდგირიძე.

კრებამ სიამოვნებით აღნიშნა რა ახლათ არჩეული გამგეობის შემადგენლობა უსურვა ნაყოფიერი მუშაობა.

მუშკორი მელითონე.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს

(ადგილობრივი გადასახადის შესახებ)

კითხვა: სავალდებულოა თუ არა მუშა-მოსამსახურეთათვის ქალაქის ალმასკომის ა | წ. 9 აგვისტოს დადგენილება № 23 პირადი გადასახადის შესახებ?

პასუხი: აღნიშნული დადგენილება მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთათვის აუცილებლად სავალდებულოა, თუ კი ისინი თვიურად იღებენ შრომის ხელფასს არანაკლებ საქონლის ათი მანეთისა.

კითხვა: რა რაოდენობით იხდიან ზემოხსენებული დადგენილების ძალით ის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც იღებენ საქონლის ათ მანეთზე ზევით?

პასუხი: აღნიშნული პირები იყოფებიან ორ კატეგორიად; გადამხდელთა პირველ კატეგორიას ეკუთვნიან ის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც თვიურად იღებენ საქონლის 10—25 მანეთამდე; მეორე კატეგორიაში ითვლებიან ისინი, რომელნიც შრომის ხელფასს იღებენ 25 საქონლის მანეთზე ზევით. პირველ კატეგორიაში ჩარიცხული მუშა-მოსამსახურეები თვითონ და თავის ოჯახის თითოეულ წევრზე იხდიან ხუთი „ჩერვონის" კაპეიკს; მეორე კატეგორიის გადამხდელები კი იხდიან თვითონ და თავის ოჯახის თითოეულ წევრზე „ჩერვონის" ათ კაპეიკს.

კითხვა: ვინ არიან სრულიად განთავისუფლებულნი აღნიშნული გადასახადისგან?

პასუხი: აღნიშნულ გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლებულნი არიან ა) ის მუშა-მოსამსახურენი და მათი ოჯახის წევრები, რომელნიც (მუშა-მოსამსახურენი) თვიურად შრომის ხელფასს იღებენ ათ მანეთზე ნაკლებს; ბ) ის უმუშევარნი, რომელნიც სარგებლობენ სოციალურ დაზღვევის უფლებით; გ) სოციალურ უზრუნველყოფაზე მყოფი ინვალიდები და დ) ღარიბ-ღატაკი მოქალაქენი, თუ კი ეს უკანასკნელნი თავის სიღარიბის მოწმობას სათანადო დაწესებულებიდან წარმოადგენენ.

კითხვა: აღნიშნულ შემთხვევაში ვინ ითვლებიან ოჯახის წევრებათ?

პასუხი: ოჯახის წევრებად ითვლებიან; ქმარი და ცოლი, თუ თვითეულ მათგანს ცალკე შემოსავალი არა აქვს; შვილები 17 წლამდე და მშობლები, რომელთაც საკუთარი შემოსავალი არა აქვთ.

კითხვა: ვინ აწარმოებს აღნიშნულ გადასახადის ქალაქის მოსახლეობაზე გაწერას?

პასუხი: მას აწარმოებს ქალაქის სამისამართო მაგიდა, რომელსაც ვალდებულნი არიან მიაწოდონ სწორი ცნობები თვით გადამხდელნი, სახლის პატრონები და კომენდანტები.

(იხ. ქალ. ალმასკომის დადგ. 23 9 აგვისტო. ა. წ. გაზ. „კომუნისტი"-ს № 182-ში).

მუშათა ქრონიკა

შეფები სოფლებში მიემგზავრებიან

ა. | წ. 25 აგვისტოს თუთუნის ფაბრიკა „პროლეტარ"-ის მუშათა საშეფო კომისია გაემგზავრება კახეთში ს. ბადიაურში, საიდანაც კომისია გაემგზავრება ს. ყადურში. კომისიას თან მიაქვს გლეხებისათვის დასარიგებლად ნავთი, მარილი, წუმწუმა და სხვა.

დადგენილება № 32

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

25 აგვისტო, 1923 წ.

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის § 59-სა, შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. ს. ს. ს. რ. ტერიტორია ადგილობრივ ცხოვრების პირობების მიხედვით დაიყოს 2 სატარიფო ზოლათ: 1-ლ ზოლს (100 პროც.) მიეკუთვნოს ქ. ტფილისი, აჭარისტანი (ბათომი), აფხაზეთი, (სოხუმი), ბორჯომი, ტყიბული, ფოთი და მაზრები—რაჭისა და ლეჩხუმის; მე-2-ე ზოლს მიეკუთვნოს საქართველოს რესპუბლიკის დანარჩენი ტერიტორია.

2. დაწესდეს აგვისტოს თვეში საქართველოს ს. ს. რესპუბლიკისათვის შრომის ხელფასის მინიმუმი 1-ლ ზოლისათვის—18,500,000 მან., (თვრამეტი მილიონი, ხუთასი ათასი მან.), მე-2-ე ზოლისათვის—16,650,000 მან. (თექვსმეტი მილიონი, ექვსას ორმოცდა ათი-ათასი მანეთი).

ცხრილში შეფარდება წესდება 1 : 5-თან.

3. ამა დადგენილების მე-2-ე მუხლში დაწესებული განაკვეთება ნორმალურ სამუშაო დროისათვის წარმოადგენს თვიურ გასამრჯელოს სავალდებულო მინიმუმს, რომლის ნაკლების მიცემის უფლება არა აქვს არც ერთ სახელმწიფო და კერძო წარმოება-დაწესებულებას.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი ლ. დუმბაძე.

საერთო-საორგან. განყ. გამგე ლ. ქურდოვანიძე.

დამატება

სატარიფო ცხრილი შრომის ხელფასის სახელმწიფო მინიმუმისა (1000 მანეთ. ა | კავ. ფულის ნიშნებით).

თანრიგი	1-ლი ზოლი.	2-ე ზოლი.
1	18.500	16.650
2	22.200	19.980
3	25.900	23.340
4	29.600	26.640
5	33.300	29.970
6	37.000	33.300
7	40.700	36.630
8	44.400	39.960
9	49.950	44.955
10	55.500	49.950
11	59.200	53.280
12	64.750	58.275
13	68.450	61.605
14	74.000	66.600
15	79.550	71.595
16	85.100	76.590
17	92.500	83.250

საერთო-საორგან. განყ. გამგე ლ. ქურდოვანიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— ს. ა. კ. კ. ცეკას საღრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. გრიგოლ კაჭახიძეს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ცეკას საღრიცხვო-სასტ ქ | განყოფილებაში.

ცეკას საღრიცხვო-სასტატისტიკო განყ. გამგე: ლეკიშვილი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იბარებს ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის მე-2 უჯრედის წევრს ამხ. კ. დ. ხოშტარიას, თანახმად მისი განცხადებისა ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში შესვლის შესახებ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მდივანი მეგენეიშვილი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. ამხ. თომა არხიმანდრიტოვს და კარაპეტ მელკონიანს. გამოცხადდენ სამი დღის განმავლობაში ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის აღმრიცხავ ქვე-განყოფილებაში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: რუბენი.

— დღეს, 28 აგვისტოს ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში იწყება წევრების ჩაწერა საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებაში.

ჩაწერა ხდება საღამოს 5-დან 8 საათამდე.

საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების საორგანიზაციო კომისია.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს.

ცენტრალური კომიტეტი გაუწყებთ, რომ მიმდინარე აკადემიურ წლისათვის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში დაწესებულია 130 სტიპენდია, აქედან სახელმწიფო უნივერსიტეტში 90 და პოლიტეხნიკუმში—40.

სტიპენდიების განაწილება:

თანრიგ №	სამაზრო კომიტ. დასახელება.	სახელმწიფო უნივერსიტეტში.	პოლიტეხნიკუმში.
1	ახალქალაქის სამაზ. კომ.	1	2
2	ახალციხის "	2	1
3	ბორჩალოს "	1	1
4	გორის "	4	1
5	დუშეთის "	2	1
6	თიანეთის "	2	1
7	თელავის "	3	1
8	სიღნაღის "	2	1
9	ქუთაისის "	12	2
10	შორაპნის "	6	2
11	ოზურგეთის "	8	2
12	სენაკის "	6	1
13	ზუგდიდის "	3	1
14	ლეჩხუმის "	1	1
15	[illegible] "	3	1
16	[illegible]	5	1
17	ს. კ. [illegible]	[illegible]	[illegible]
18	აჭარის საოლქ. [illegible]	[illegible]	[illegible]
19	სამხ.-ოსეთ. საოლქო კომ.	2	
20	აფხაზეთის "	4	
		90	40

1. სტიპენდიანტების გასანაწილებლად პარტკომების საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებებთან ეწყობა კომისიები, რომლებშიაც შედიან: პროფესიონალური ორგანიზაციების, ახალგაზრდობის კომკავშირის, სახალხო განათლების განყოფილების და პოლიტიკური განათლების განყოფილების წარმომადგენლები.

ა) სტიპენდიები განაწილებული უნდა იქნენ კომუნისტურ პარტიასა, ახალგაზრდობის კომკავშირსა და უპარტიოებს შორის.

ბ) იგზავნებიან ისეთი პირები, რომლებიც უეჭველად, არიან პატიოსნები, ნიჭიერები და საბჭოთა ხელისუფლების ერთგულები.

გ) სტიპენდიები ეძლევათ მხოლოდ პირველ კურსზე ჩასარიცხებს.

დ) გამოგზავნილები ღებულობენ სტიპენდიას 15 საქონლის მანეთის რაოდენობით თვიურად და სხვა რამე უზრუნველყოფა მათ არ ეძლევათ.

სტიპენდიანტები იგზავნებიან განათლების სახალხო კომისარიატის მიერ ადგილობრივ სახალხო განათლების განყოფილებათათვის მიცემულ ადგილების რიცხვიდან.

2. ყველა დანარჩენ შემთხვევაში უნდა იხელმძღვანელოთ უმაღლეს სასწავლებელში მიღების პირობებით, რომლებიც დაგზავნილია განათლების სახალხო კომისარიატის მიერ სამაზრო სახალხო განათლების განყოფილებებისადმი.

ს. კ. პ. ც. კ. მდივანი ქართველიშვილი.

ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: კვირიკაძე.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული შვილები: კოლია, [illegible] დარახველიძე, და ელენა გამყრელიძე და სიძე გრიგოლ გამყ[illegible] აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოთ გარდაცვალებას საყვარელი დედისას

ნატალია დიმიტრის ასულის ჭინჭარაძისას

პანაშვიდი იქნება გადახდილი კადეტის შესახვევი № 8. საღამოს [illegible] საათზე. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს საღამოს 5 საათზე, წ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

ალექსანდრა სიმონის ასული, გიორგი კონსტანტინეს ძე [illegible]დიანი და ლუბა სიმონის ასული კახეთელიძე აუწყებენ ნათე[illegible] და მეგობრებს, რომ მათი საყვარელი და ძვირფასი

მარუსია კახეთელიძის

გარდაცვალებიდან სამი თვის თავზე, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე დღეს, 28 აგვისტოს, საღამოს სრულ 6 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი. (კრ. 1133 1—1)

ზემო-ავჭალის

ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 5 სექტემბერს მის მიერ და[illegible]ლია შეჯიბრება ერთ სართულიანი ყავრით დახურული [illegible] იჯარით აღების შესახებ. სახლი იქნება აგებული ნამტ[illegible] ქვისაგან და შემდეგი ზომის გეგმაში 1146,20, სულ დაახლ[illegible]ებით 140 კუბ. საჟ. მასალები იქნება „ზაჰესის", ხელსაწყო[illegible]ბი კი მოიჯარადრის. სამუშაო შესრულებული უნდა იქნეს [illegible] თვე ნახევარში.

იმ პირებმა, რომლებსაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუ[illegible] უნდა შემოიტანონ ამის შესახებ წერილობითი განცხადე[illegible] წესებული ნიმუშის ბლანკზე წარწერით: „ზაჰესი"-ს სამუ[illegible]თა უფროსს ა. წ. 5 სექტებრის შეჯიბრებისათვის. ამავე დღე[illegible]სვე გაიხსნება პაკეტები. ფასები აღნიშნული უნდა იქნეს ჩერვონეცის მანეთებში. ფულის გადახდა იწარმოებს საგადასახადო ქვითარის შედგენის დღეს ამიერ-კავკას. ფულის ნიშნებით თანახმად ტფილისის სავალიუტო ბირჟის კურსისა.

განცხადებასთან დართული უნდა იქნეს ქვითარი ზაჰესკომის სალაროში საიჯარო თანხის 5 პროც. შეტანის შესახებ. საწინდარი უძრავი ქონებისა და სხვა ამგვარის სახით მხედველობაში არ იქნება მიღებული და საწინდარის შემოტანის[illegible] არავინ არ განთავისუფლდება. საწინდარი იმ პირების ან [illegible]ნიზაციების, რომლებიც აიღებენ სამუშაოს, გადიდებულ იქნება საერთო ჯამის 10 პრ.-დი პირველი მისაღებ თანხებიდან 10 პროც. დაჭერით და დაბრუნებულ იქნება სამუშაოს შესრულების შემდეგ.

ზაჰესკომი იტოვებს უფლებას გასცეს სამუშაო არა უმცირეს [illegible]სებშიაც, მიიღებს რა მხედველობაში მოიჯარადრის წინანდელ მოღვაწეობას და მის გამოცდილებას. ვრცელი პირობების [illegible] ნახაზების გაცნობა შეიძლება ზაჰესის ტექნიკურ განყოფილებაში ყოველ დღის 10—12 საათ. ქ. ტფი[illegible] დუმბაძის [illegible] სახლი № 3. იქიდანვე გაიცემა დაწესებული ნიმუში ბლანკებისა და განცხადებისათვის.

(კრ. 586 3—1) კომზაჰესი.

სამშაბათს, 28 ამა აგვისტოს, შუადღის 12 საათზე

ქალაქის ალმასკომში

დანიშნულია სამოქალაქო შეჯიბრება ვერის [illegible]რანის იჯარით გაცემაზე.

ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის ალმასკომის ოთახში № 3[illegible]

(კრ. 584 2[illegible]

რ. ს. ფ. ს. რ. ს. მ. უ. ს.

ასანთის მრეწველობის სრულიად რუსეთი[illegible] სინდიკატი

„სპიჩსინდიკატი"

[illegible] სწარმოებს როგორც [illegible] რიკები.

სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერატივებს და საზოგადოებ[illegible] ორგანიზაციებს

შეღავათიანი პირობები.

(კრ. 585—1—1)

ვაძლევ მათემატიკის და რუსული ენის **გაკვეთილებს** და **ვამზადებ** მოწაფეებს მუშფაკზე, ტექნიკუმში და საერთო განათ[illegible] კურსებზე შესასვლელად. პლეხანოვის ქუჩა 25, შესავალი ალექსის ქუჩი[illegible] 5. ნახვა 9—2 ს. და 3—7 ს. (1120 4—3)

დაიკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი № 1227 ანნა[illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (1134

ამიერ-კავკასიის ს. ს. რ. რკინის გზათა

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 5 სექტემბერს, დილის 10 საათზე, ამ.-კავ. რკ. გზ. გამგეობის ბინაზე (ვაგზლის ქუჩა № 1) დანიშნულია წერილობითი საჯარო ვაჭრობა ერთი წლის ვადით იჯარით გაცემაზე:

ვაგონ-რესტორანების №№ 933 და 912 (მოიჯარადრე—ცხომელიძესი და მაჯანაშვილის).

ვაგონ-ბუფეტის, რომელიც მოძრაობს №№ 3 | 4 და 7 | 8 მატარებლებთან ერთად,—ცივი საჭმელებით (მოიჯარადრეები [illegible]შვილი, ძიძიგური, თოდუა და მუჯირი).

1 კლასის ბუფეტების შემდეგ სადგურებზე: ფოთი—სად. ფოთი—ნავთსადგური, სუფსა, რიონი, ქუთაისი, შორაპანი, მოლითი, ბ[illegible]მი, თელავი, კარდანახი, წნორის-წყალი, სანაინი, ბაგალი, ეჩმიაძინი, საგირი, სურახანი, იაშმა, კუსარ-ჩაი.

სავაჭრო კარვების შემდეგ სადგურებზე:

აბაშა (კიკნაძის შენობა), შორაპანი, ხაშური (ხარებავას შენობა), წალვერი, მუკუზანი, შაგალი, კარაკლისი, ალექსანდროპ[illegible] ბურუნი, საგირი, აჯიკაბული, სურახანი, კუსარ-ჩაი.

საპირფარეშოების შემდეგ სადგურებზე: ლანჩხუთი, საჩხერი, გორი, სანაინი, კარაკლისი, გუმრში, ერივანი, ნახიჩევანი, ხაჩმასი და[illegible]

შემნახველი კამერის სად. ტფილისში.

შკაფების შინა-მრეწველობის საგნებით ვაჭრობისათვის: სადგურები—ბაქო 1 და საბუნჩი.

ის პირები, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ საჯარო ვაჭრობაში, თავისი განცხადებები დაბეჭდილ კონვერტებში ჩააგდონ სპეციალურათ ამისთვის საბჭოს დარბაზის კარებთან გამოკიდულ ყუთში, ან გამოგზავნონ ასეთები წინდაწინ ფოსტით. [illegible]ტებზე, რომლებიც მოტანილი იქნება პირადათ ან ფოსტით გამოგზავნილი, უნდა ეწეროს: „ამ.-კავ. რ. გზ. სამმართველოს, ბუ[illegible] კარავებისა და სხვა საჯარო ვაჭრობისათვის". განცხადებაში კი აღნიშნული უნდა იყოს, სახელდობრ, რის აღება სურს იჯარ[illegible] და როგორია მის მიერ წინადადებული წლიური ფასი მშვიდობიან დროის მანეთის ანგარიშით.

განცხადებას თან უნდა დაერთვას:

1) ქვითარი ბეს შეტანის შესახებ, რომელიც უნდა შეადგენდეს წინადადებულ ფასის არა ნაკლებ 10 პროც. რამოდენ[illegible] აღების მსურველებმა უნდა შემოიტანონ ცალკე განცხადებები აღნიშნულ წესით და წარმოდგენილ საიჯარო ფასის ცალკე [illegible]ნით, რომელიც ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა შეადგენდეს საიჯარო ფასის არა ნაკლებ 10 პროც.-სა. 2) შემოტანილ განცხ[illegible] თან დართული უნდა იქნეს სადერბო გადასახადის ნიშნები.

იჯარით გაცემის დროს სამმართველო იხელმძღვანელებს არა მარტო განცხადებულ ფასებით, არამედ რკინის-გზის მეურ[illegible] ინტერესებიდან გამომდინარე სხვა მოსაზრებითაც.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 12—2 საათამდე, გარდა უქმე დღეებისა (ტფილისი—ვაგზლის ქუჩ[illegible] ოთახი № 64).

3-

არ იქნებოდა, რომ ის საშუალებები, რომელნიც მათ შესანახავათ მიდიან, ორკესტრის მუშაკების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას მოხმარდეს?

ამაზე საჭიროა დაფიქრება, თორემ რაღაც პარადოქსი გამოდის: სოციალისტურ სახელმწიფოში, სადაც აღმშენებლობის ერთ კარდინალურ საკითხათ დასმულია შრომის უზრუნველყოფა და დაცვა,—ერთის მხრივ სდგანან ორკესტრის მუშაკები. რომელნიც გაჭირვებულ მატერიალურ მდგომარეობას განიცდიან საშინელი სიძვირის გამო და მეორეს მხრივ—ოპერის მსახიობები, რომელნიც დიდ ჯამაგირებს ღებულობენ და აგარაკებზე ისვენებენ და კონცერტმეისტერები, რომელნიც არაფერს არ აკეთებენ და აგრეთვე დიდ ჯამაგირებს კი იღებენ თავის „dolce far niente"-სთვის.

მაგალითისათვის შორს არ მოგვიხდება წასვლა: მიუხედავათ იმისა, რომ ოპერის ყავს კონცერტმეისტერი, რომელიც კარგ ჯამაგირს იღებს და წლიურ სამსახურში ითვლება,—ის თითქმის არასოდეს არ ღებულობს მონაწილეობას სიმფონიურ კონცერტებში, კონცერტებისათვის კი მოწვეულია სხვა აკომპანიატორი ქალი, რომელიც, რასაკვირველია, აგრეთვე ჯამაგირს ღებულობს. სწორია ეს?

არა, უეჭველად იმათ ხარჯზე ვინც ისვენებს უნდა გაუმჯობესდეს მუშაკების მატერიალური მდგომარეობა. ხელოვნება თავისუფალია და ვერავითარი რეპრესიული ზომებით ვერ აიძულებ ის ხალხს დაუკრას უკეთესათ (ისინი დაუკრავენ, მაგრამ როგორ დაუკრავენ! მხოლოდ ვალდებულების გამო) როგორ უკრავს ორკესტრი ჩვენ ვხედავთ ამ უკანასკნელი დროის განმავლობაში და შეიძლება კი მათ სერიოზული მოთხოვნილება წაუყენოთ?

ორივე დირიჟორები მოქ. ბრონიც და მოქ. ნეიმანიც დამთავრებულ შესრულებისაკენ მიისწრაფიან, მაგრამ, სამწუხაროთ, მათი ცდა უნაყოფოთ რჩება.

მოქ. ნეიმანმა გამართა საინტერესო პროგრამიანი კონცერტი. სალამოს კარდინალურ ნომრათ იყო შვეციის კომპოზიტორის სვენდსენის სიმფონიური პოემა „ზორაგაიდა". ის მშვენიერი ნაწარმოებია. ის თბილი გრძნობითა და საუცხოვო მელოდიით არის გამსჭვალული თავიდან ბოლომდი. მუსიკალური შინაარსი მისტიურია. ეს მეამბოხე სულის გაბრწყინება უმაღლესი ძალების ზეგავლენით. მეამბოხე, დაუდგრომელი სული განხორციელებულია ქალის ზორაგაიდას სახეში, უმაღლესი ძალები კი იასინტას (ქალი) სახეში, რომელთანაც დამოკიდებულება ზორაგაიდას სიმშვიდეს მოუპოვებს.

პოემის შესრულება ძნელია: აქ საჭიროა ემოციალობა, ზედმიწევნითი ფრაზიროვკა და მკაფიო ნიუანსებიანი მელოდიური სურათი. მოქ. ნეიმანი მუსიკალურია, მან გააკეთა ყველაფერი რაც შეეძლო, მაგრამ, რასაკვირველია, ემჩნეოდა რეპეტიციის უქონლობა, საორკესტრო მუშაობის ნორმალურ პირობებში, მოქ. ნეიმანი, რა თქმა უნდა, დამთავრებულ შესრულებას მოგვცემდა.

მშვენიერია ბოკერის მენუეტი, მაგრამ ის უფრო სტილიურ და რიტმიულ შესრულებას მოითხოვს. კარგათ იყო შესრულებული intermezzo „დემე" ნაპრავნიკის ოპერა „დუბროვსკი"-დან ლამაზათ იყო შესრულებული არენსკის უვერტიურა „იმარი ვოლგაზე".

აღსანიშნავია მოქ. სტუპელის მიერ solo-ს შესრულება პიანოზე პოემა „ზორაგაიდა"-ში.

მუსიკოსი.

პროვინციაში

ხარაგოულის რაიონის უპარტიო გლეხთა კონფერენცია.

(შორაპნის მაზრა)

ხარაგოულის რაიონის უპარტიო გლეხთა კონფერენცია შესდგა ხარაგოულის თეატრის დარბაზში 12 აგვისტოს დილით კვირას. მას დაესწრენ დელეგატები ყველა თემებიდან რიცხვით 400-მდი, მათ შორის იყვნენ ქალებიც. თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. ლუკა არჯევანიძე, მდივნათ ბაგრატ შარიქაძე.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა საკითხები: საერთაშორისო მდგომარეობა, მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, საბჭოთა აღმშენებლობა, კოოპერაცია, ტყის დაცვის საქმე, საჰაერო ფლოტის შესახებ და სხვა.

მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე გააკეთა შორაპნის სამაზრო პარტკომის მდივანმა ამხ. ა. ქავთარაძემ, მან გადაუშალა რა დამსწრეთ საერთაშორისო მდგომარეობა, გაუცნო აგრეთვე საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობა წარსულში, როდესაც ადგილი ჰქონდა სამოქალაქო ომს და ინტერვენციას.

აღნიშნა რუსეთის სიმშილი, წარსული წლის მოსავლიანობა, წლევანდელი მოსავლიანობა და საზოგადოთ თანდათანობით ცხოვრების გაუმჯობესება, მრეწველობის და მეურნეობის აღორძინება. შეჩერდა იმ გარემოებაზე, რომ დღეს-დღეობით მრეწველობის ნაწარმოები უფრო ძვირია სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებზე, მაგრამ იმედი გამოსთქვა, რომ მათ შორის დამყარდება წონასწორობა.

გლეხების მიერ შემოტანილ იქნა შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

ამის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: ხარაგოულის რაიონის უპარტიო გლეხთა კონფერენციამ მოისმინა რა მოხსენება შორაპნის სამაზრო პარტკომის მდივნის ამხ. ა. ქავთარაძის საერთაშორისო მდგომარეობაზე, დაადგინა: ჩვენ უპარტიო გლეხები გულმხურვალეთ მიესალმებით საბჭოთა მთავრობას, რომელიც მუშების და გლეხების ინტერესებს ერთგულად იცავს. მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად არაფერს არ ზოგავს და აწყობს ისეთ კონფერენციებს, რომელიც გააცნობს გლეხებს თანამედროვე საკითხებთან და ხელს შეუწყობს მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას და მის ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას!

მეტად საინტერესო კამათი გაიხსნა საბჭოთა აღმშენებლობის და ტყის დაცვის შესახებ.

გამოტანილ იქნა დადგენილება: ეთხოვოს სამაზრო ალმასკომს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ხარაგოულის რაიონის მდგომარეობას, მოაწესრიგოს ტყის საკითხი, რომ უღარესად ღარიბ გლეხებს საშუალება მიეცეს უფასოდ შეიძინოს ხე-ტყე, ხოლო ზოგიერთებს კი ხელმისაწვდომ ფასებში.

აგრეთვე ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს გზების, სკოლების შენობების შეკეთებას და სხვა.

კოოპერაციის გარშემო უპარტიო გლეხთა კონფერენციამ დაადგინა: ეთხოვოს სამაზრო ალმასკომს აღძრას შუამდგომლობა სადაც ჯერ არს და მოაწყოს კოოპერატივები თემებში და ამით იხსნას გლეხები ვაჭრების სპეკულიაციისაგან.

დანარჩენი საკითხები მიღებულ იქნას ცნობად.

ვიოლეტა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 54

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა:

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიის მიერ ამა 1923 წ. ივნისის 21 ს მიღებული საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამართალის წყობილების დებულების მე-56 მუხლის თანახმად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარედ დაინიშნება ამხ. კოტე ცინცაძე. 1923 წლ. სექტემბრის 1-დან.

2. ამავე დებულების მე-41 და 24 მუხლების თანახმად მტკიცდება: აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ ამხ. კაჭარავა და დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ ამხ. გალ. ვაშაძე, ორივე 1923 წ. სექტემბრის 1 დან ერთი წლის ვადით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი სახაშვილი.

1923 წ. აგვისტო „16"
ტფილისი—სასახლე.

„შრომის სინდიკატის" სტამბა. [illegible] ქუჩა № 4